# ალია

## კახა კალაძის არასწორ განცხადებებს „ფრონტერა“ ღია წერილით პასუხობს 5

FRONTERA RESOURCES

N19/3335/ 17-19 თებერვალი 2016 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## კახა კუკავა: „კომპრომატები პირდაპირ მიდის ივანიშვილთან“ 4



## რა შეზღუდვები უწესდებათ ონლაინ კაზინოებს და მოთამაშეებს? 13



## „პროკრედიტ ბანკი“ საქართველოს ბაზარს ტოვებს? 12

ProCredit Bank

## რატომ არ აღიძრა საქმე ირაკლი ოქრუაშვილზე, როცა „ომეგას“ დარბევისას გენპროკურორი ის იყო? 8



## რა მოხდა ისანი-სამგორის პოლიციაში?

რაში ამხელს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე პოლიციელებს? 11



რატომ წაუყენეს ზურაბ ადეიშვილს ახალი ბრალი, როდესაც ვერ იჭერენ? თუკი ევროსაბჭო იშლება, მაშინ ჩვენ სადღა შევდივართ? რატომ არ ითვალისწინებს ხელისუფლება ვენეციის კომისიის რჩევებს? 3



## რომის პაპი კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს აღდგომის ერთ დღეს აღნიშვნის ინიციატივით მიმართავს 5



## „ლარზე ზეწოლა შემცირდება“ — პრემიერი მთავრობის გეგმაზე საუბრობს



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ლარის კურსის გამყარების მოლოდინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად საბიუჯეტო ხარჯების შეკვეცას ასახელებს, რომელიც საგადასახადო რეფორმას უკავშირდება.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, როგორც ადმინისტრაციული, ისე სხვა ხარჯები დაახლოებით 350-დან 400 მილიონ ლარამდე მცირდება და ამ კუთხით ლარზე ზეწოლა შემცირდება.

პრემიერის თქმით, ასევე, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმ ნაბიჯებს, რომლებსაც მთავრობა ვიზიტორების გაზრდის მიმართულებით დგამს.

– კონკრეტულად გაწერილი გეგმა გვაქვს, რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ ამ მიმართულებით – ეს იქნება ირანთან სავიზო რეჟიმის გაუქმება და დამატებითი რეისები თუ სხვა, – განაცხადა პრემიერმა. (ნიუპოსტი)

## „ჩემ მიმართ მიმდინარეობს მიზანმიმართული დევნა“ — ბაია გადაბაძე



„მაესტროს“ დირექტორი ბაია გადაბაძე მის მიმართ მიზანმიმართული დევნის დაწყებაზე საუბრობს და სასამართლოს მიმართავს.

გადაბაძე მოითხოვს, რომ, სანამ დევნაზე მისი განცხადების თაობაზე გარემოებები არ დადგინდება, მანამდე ყველა კრების ოქმი შეჩერდეს.

გადაბაძემ ამის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოში საჩივრის შეტანის შემდეგ განაცხადა.

– ჩემ მიმართ მიმდინარეობს მიზანმიმართული დევნა. ამოცანა არის ის, რომ 19 თებერვალს, როდესაც დანიშნულია კრედიტორთა კრება, მე არ ვიყო დირექტორი. მიმაჩნია, რომ ნაწილობრივ ამ პროცესში სასამართლოც მონაწილეობს, პირდაპირ კი ამას აკეთებს გაჩეჩილაძეების მხარე. თეორიულად არსებობს შანსი, რომ 48 საათის განმავლობაში ორი ინსტანციის სასამართლომ განიხილოს საჩივარი, ორივემ მიიღოს გადაწყვეტილება, მიაწოდოს საჯარო რეესტრს, რეესტრმა კი სასწრაფოდ განიხილოს ეს ყველაფერი და პარასკევს, 19 თებერვალს, 14:00 საათზე მე აღარ ვიყო დირექტორი. ამის ეჭვი მაქვს. ჩემ მიმართ მიმდინარეობს დევნა და სასამართლოს ვთხოვ, ყველა ოქმის შეჩერებას, ვიდრე ეს საკითხი გაირკვევა. ლევან გაჩეჩილაძეს სურს, რომ ის გახდეს დირექტორი და ჩაშალოს ყველაფერი, რაც „მაესტროს“ რეაბილიტაციისთვის არის საჭირო, – განაცხადა ბაია გადაბაძემ. (ნიუპოსტი)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



**ვინ და რატომ დაამუხრუჭა ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე სოსო ჯაჭვლიანი, რატომ გამოიტანა პარლამენტიდან მის მიერ ინიცირებული კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც დასჯადი ხდებოდა როგორც მორწმუნეთა გრძნობების, ასევე, რელიგიური შენობების შეურაცხყოფა... ვისი პოზიცია გაითვალისწინა ჯაჭვლიანმა — საპატრიარქოსი თუ ბიძინა ივანიშვილის, რომელზეც ამბობენ, რომ კატეგორიული ტონით მოსთხოვა ჯაჭვლიანს მისივე ინიცირებული კანონის უკან გატანა...**

შეგახსენებთ, რომ კანონპროექტის მიხედვით, რელიგიური სიწმინდეების, რელიგიური ორგანიზაციების, ღვთისმსახურისა და მორწმუნეების მიმართ სიძულვილის საჯაროდ გამოხატვა, ან ისეთი მასალის გამოქვეყნება, ან ჩვენება, რაც მიზნად ისახავს მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფას, დაჯარიმდებოდა 300 ლარით. რელიგიური შენობებისა და სხვა რელიგიური სიწმინდეების წაბილწვა, მასზე ნებისმიერ წარწერის გაკეთება, ან დაზიანება კი – 500 ლარით...

ცვლილებებს ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში პირველი მოსმენით მხარი დაუჭირეს, მაგრამ კანონპროექტი მალევე თავზე გადაალუნეს სოსო ჯაჭვლიანს და ამ კანონის ავტორს. პირველი, ვინც კანონპროექტის არსებობასაც კი გაემიჯნა და დაგმო, სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი იყო, განსხვავებით „ლგბტ“ პირების უფლებების დაცვისგან.

ზოგადად, ნანუაშვილის საქმიანობით თუ ვიმსჯელებთ, ის ამ ქვეყანაში ძირითადად „ლგბტ“ პირების უფლებებს იცავს და არ რჩება განცდა, რომ იგი ყველას უფლებების დამცველია.

მოკლედ, საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ კანონპროექტი, რომელიც რელიგიისა და მათი მიმდევრების გრძნობების შეურაცხყოფისთვის დაჯარიმებას ითვალისწინებს, ეწინააღმდეგება გამოხატვის თავისუფლებას, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს და განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ განვითარებას. ხოლო თუკი ამ ქვეყნის უმრავლესობა დაგმობს „ლგბტ“ პირების აღლუმს, პედერასტობისა და ლესბოსელობის პროპაგანდას, ამ შემთხვევაში „გამოხატვის თავისუფლება“ ჩვენს წინააღმდეგ ამუშავდება. რბილად რომ ვთქვათ, ეს არის ორმაგი სტანდარტის კლასიკა და გლობალიზაციის გზაზე პატარა ერების გადაგვარების სქემა.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ კანონპროექტის ავტორი საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება 21-ეს ხელმძღვანელი ზვიად ტომარაძეა, რომელიც გაკვირვებას ვერ მალავს და აცხადებს, რომ იმ „ალიაქოთის“ შემდეგ, რომელიც საზოგადოებაში „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის“ შესახებ კანონპროექტის საკითხზე ატყდა, რასაც თან დაერთო საპატრიარქოს განცხადება, დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანი ამ საკითხზე თავს ენერგიულად და მხნედ ვეღარ გრძნობდა. ტომარაძემ მედიით შეიტყო ჯაჭვლიანის გადაწყვეტილება და იგი ეჭვობს, რომ ამ საკითხში მარტო აღმოჩნდა. ჯაჭვლიანი უფრო მეტ მხარდაჭერას ელოდებოდა იმავე საპატრიარქოს მხრიდან თუნდაც იმ კუთხით, რომ, როგორც პრინციპს, საპატრიარქო მხარს ღიად დაუჭერდა, მაგრამ ჯაჭვლიანმა საპატრიარქოსგან მხარდაჭერა ვერ მიიღო.

**„ალიასთან“ საუბარში უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი სოსო ჯაჭვლიანი თავის გადაწყვეტილებას ხნის და ჩვენს კითხვაზე — იყო თუ არა ამ საკითხში ჩართული ივანიშვილი და ვინ მიაღებინა კანონპროექტის გატანის გადაწყვეტილება, აცხადებს:**

– ბიძინა ივანიშვილს ჩემთვის არ დაურეკავს და არ უთქვამს, უკან გამეტანა კანონპროექტი და თუკი ვინმეს ჰგონია, რომ მან მიმაღებინა ეს გადაწყვეტილება, ძალიან ცდება. კანონპროექტს ძალიან დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა, გაუთავებელი სჯა-ბაასი დაიწყო. მოკლედ, რა მიკვირს, იცით? ჩვენ ხომ ევროპისკენ მივდივართ და ვექტორი დასავლეთზე გვაქვს გასწორებული. სწორედ ევროპის წამყვანი ქვეყნების კანონმდებლობით ვიხელმძღვანელეთ ამ კანონპროექტის დაწერისას: გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი, ბელგია, ავსტრია... ამ ქვეყნებში რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის არის სხვადასხვა სასჯელები. ზოგან სასჯელი ითვალისწინებს 2-წლიან პატიმრობას, ზოგან ფულადი ჯარიმაა... როცა იყო მსჯელობა, როგორ განვსაზღვროთ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაო, ევროპის სასამართლომ თქვა, რომ ამის განსაზღვრება ძალიან რთულია. ზოგიერთ ქვეყანაში სულ რომ დილიდან საღამომდე დედა აგინო, კვდებიან სიცილით, ზოგიერთ ქვეყანაში კი გითხარით, როგორც ხდება. ამიტომ ეს უნდა განსაზღვროს თითოეულმა ქვეყანამ და მისმა სასამართლომ. ჩვენ ავირჩიეთ ყველაზე „ლაითი“ კანონის „ულაითესი“ ვარიანტი. ნაგვის გადაყრაზე ჯარიმა ხომ 200 ლარია და მეჩეთზე ღორის თავის მიჭედება შეურაცხყოფა არ არის?! რატომ არ უნდა იყოს ასეთი ქმედება დასჯადი?! მე ეს არ მესმის... საქართველო ტოლერანტული ქვეყანაა, აქ ცხოვრობს ყველა კონფესიისა და რელიგიის წარმომადგენელ და იცით, რატომ არის საჭირო, რომ დასჯადი გახდეს რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა? მუსლიმანებს ღორის თავი რომ არ მიუჭედონ თავიანთ სიწმინდეებზე და დაცული იყოს რეგიონალური უსაფრთხოება, რითიც თავიდან ავირიდებთ ძალიან ბევრ საფრთხეს....

# რას ეუბნება დეპუტატი „ალიას“ რელიგიის კანონის უკან გატანაზე?

### ვისი პოზიცია გაითვალისწინა ჯაჭვლიანმა — საპატრიარქოსი თუ ბიძინა ივანიშვილის?



**— ვინ და რამ გაიძულათ, რომ კანონპროექტი გაგეტანათ პარლამენტიდან და თანაც ისე, რომ მისი ავტორი ზვიად ტომარაძე არ ჩააყენეთ საქმის კურსში?**

– კანონპროექტი გავიტანე იმიტომ, რომ ამ ინიციატივას ჰყავს ორი მხარე, მოწინააღმდეგე და მომხრე... ძველი ქართული სიბრძნე არის ასეთი: „ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც შენ გეწყინებაო“... ამის იმპულსი მომცა საპატრიარქოს წერილმა... ამ წერილის შინაარსი გავიგე შემდეგნაირად – სოსო, ხომ არ გვესაუბრა უფრო სიღრმისეულად, სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებთან ერთად, აჩქარების გარეშეო... მე რომის პაპზე უფრო დიდი კათოლიკე ვერ გავხდები, ამიტომ გავაკეთე ის, რაც გავაკეთე!

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ციხისძირის შემდეგ ზუგდიდი — ივანიშვილი ბოტანიკური ბაღის 200-წლოვანი ხეებით დაინტერესდა?!

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, ციხისძირის ხეების შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა თვალი ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის 200-წლოვან ხეებს დაადგა.

როგორც ადგილობრივები ყვებიან, სამი უიშვიათესი ხე, რომელიც ეკატერინე დადიანმა საზღვარგარეთიდან ჩამოიტანა, ყოფილი პრემიერის დაინტერესების საგანი გახდა.

ადგილობრივები ამბობენ, რომ მათი ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილს ამ ხეების გადატანა შეკვეთილში სურს.

რესპონდენტები ივანიშვილის გაუხმაურებელ ვიზიტებს იხსენებენ, როდესაც ამ უკანასკნელმა ბიზნესმენ მამუკა ხაზარაძესა და მხარის გუბერნატორთან ერთად ბოტანიკური ბაღი დაათვალიერა.

ბოტანიკური ბაღიდან 2-საუკუნოვანი ხეების შესაძლო გადატანის ფაქტს ადგილობრივი ხელისუფლება არ ადასტურებს.

ბოტანიკური ბაღი ზუგდიდის შუაგულში 26 ჰექტარ მიწის ნაკვეთზეა განთავსებული. აქ ზოგიერთი ხე 2 საუკუნისაა და მთელ ევრაზიის კონტინენტზე ერთადერთ ეგზემპლარს წარმოადგენს.

ზუგდიდელების განცხადებით, ციხისძირელების მსგავსად, წინააღმდეგობას გაუწევენ ოლიგარქის ჩანაფიქრს და თუ საჭირო გახდება, უიშვიათესი ჯიშის მცენარეებს პარტიზანულად დაიცავენ. (ნიუპოსტი)



## ავსტრიაში ჩასულ საქართველოს მოქალაქეებს თავშესაფარზე უარს ეტყვიან



ავსტრიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა საქართველო ე.წ. უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეიყვანოს, რაც ნიშნავს, რომ ავსტრიაში ჩასულ საქართველოს მოქალაქეებს თავშესაფარზე უარს ეტყვიან.

როგორც სააგენტო „ასოშიეითედ პრესი“ წერს, ოფიციალური განცხადება ამის შესახებ ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა.

ამ გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს მოქალაქეების განცხადებები თავშესაფრის მიღების შესახებ განხილული იქნება მაქსიმუმ 10 დღეში, მაშინ როცა სირიის მოქალაქეებისთვის ეს პროცესი დაახლოებით ერთ თვეს გრძელდება.

ავსტრიის მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს გარდა, უსაფრთხო ქვეყნების სიაში შეყვანილია ალჟირი, განა, მაროკო, მონღოლეთი და ტუნისი. (bpn.ge)

## ზურაბ მელიქიშვილი — ლარი წვალობს და ეს ხელისუფლების ბრალია



საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ზურაბ მელიქიშვილმა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე ისაუბრა და ხაზი გაუსვა, რომ მიმდინარე წლის იანვარში ექსპორტი 22, ხოლო იმპორტი კი 25 პროცენტით შემცირდა.

მისი თქმით, იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებიც 100 მილიონით გაირღვა, რაც ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველაზე უარყოფითი მაჩვენებელია.

– სამწუხაროდ, ეკონომიკური პრობლემები არათუ გვარდება, არამედ ღრმავდება. საქსტატის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით ირკვევა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში ეს ყველაზე უარყოფითი მაჩვენებელია. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები – ყველაფერი ასოცირების ხელშეკრულების ამოქმედების პარალელურად ხდება და ამავდროულად, ხელისუფლება ამბობს, რომ მათ რუსულ ბაზართან ურთიერთობა „დალაგებული“ აქვთ, – განაცხადა მელიქიშვილმა.

მისივე თქმით, ის, რომ ექსპორტი და ინვესტიციები შემცირებულია, ლარის კურსზე პირდაპირ აისახება, ხოლო იმპორტის შემცირება პირდაპირ სამუშაო ადგილებს ურტყამს.

– ხელისუფლება კი არაფერს აკეთებს და არც ძალუძს, რომ აღნიშნული პრობლემები დაძლიოს. ჩვენ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ მთავრობას, რეალურად გადადგას ის ნაბიჯები, რომელიც ეკონომიკურ მდგომარეობას გამოასწორებს და მოქალაქეებს ამით გამოწვეულ ტვირთს შეუმსუბუქებს, – განაცხადა მელიქიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ნანი ბრეგვაძე სააკაშვილზე: „არც ერთი ქართველი არ რჩება საზღვარგარეთ, ყველა უბრუნდება თავის მიწას“



უკრაინულ გამოცემა „GORDON“-თან ექსკლუზიურ ინტერვიუში ქართველი მომღერალი ნანი ბრეგვაძე 80 წლის იუბილეს გეგმებზე საუბრობს. საიუბილეო საღამო 8 მარტს კიევში გაიმართება.

ქართველი შემსრულებელი საიუბილეო საღამოზე ქალიშვილ ეკა მამალაძესთან და შვილიშვილ ნატალია ქუთათელაძესთან ერთად წარდგება. როგორც ცნობილია, საღამოზე იმღერებს ბუბა კიკაბიძეც.

გამოცემასთან ინტერვიუში ნანი ბრეგვაძე პოლიტიკაზეც საუბრობს:

– ვუყურებ ახალ ამბებს და ვიცი, რა ხდება, მაგრამ არ ვერთვები დისკუსიებში. სიბერეში სულიერი სიმშვიდე მინდა. როგორ შეიძლება თქვა: ეს ადამიანები მიყვარს, ეს ადამიანები – არა. მე ყველა მიყვარს. მიყვარს უკრაინელები, რუსები, ბელორუსები, აზერბაიჯანელები, სომხები... ყველგან არიან არაჩვეულებრივი ადამიანები. ეძიეთ მათში კარგი და არა ცუდი. ასეთ შემთხვევაში ყველა ბედნიერად იცხოვრებს დედამიწაზე, – ამბობს ნანი ბრეგვაძე.

მომღერალი მიხეილ სააკაშვილის შესახებაც საუბრობს.

ჟურნალისტმა გაიხსენა ის ფაქტი, რომ სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობაზე თქვა უარი და დაინტერესდა იმით, რას ფიქრობს ქალბატონი ნანი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით:

– ეს საკითხი მე არ მეხება. მე მიყვარს ჩემი სამშობლო. ჩემი მშვენიერი ქვეყანა. რა შეიძლება გიყვარდეს მეტად?! ვერ წარმომიდგენია დავტოვო თბილისი!

ყველას თავისი ცხოვრება აქვს. რადგან მიემგზავრებიან, ალბათ, ასეა საჭირო. ერთი რამ ზუსტად ვიცი: არც ერთი ქართველი სამუდამოდ არ დარჩენილა საქართველოს საზღვრებს გარეთ და ნებისმიერ შემთხვევაში უბრუნდება საკუთარ მიწას, – ამბობს ნანი ბრეგვაძე. (etanews.ge)

**დიახ, ქალბატონო ნანი, უბრუნდებიან ხოლმე და ალბათ, სააკაშვილიც დაბრუნდება - შესაძლოა, ხელბორკილებით, თუმცა „ოცნების“ დედლობას რომ ვუყურებთ, არ არის გამორიცხული, შარავანდედდადგმული მოგვევლინოს. ასეა თუ ისე, სააკაშვილი ცოცხალია და აქვს საქართველოში დაბრუნების შანსი, რასაც ვერ ვიტყვით იმ უამრავ ადამიანზე, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობისას სასტიკად ჩახოცეს. აი, ისინი კი ვერასოდეს დაბრუნდებიან სამშობლოში, ვერასოდეს!..**


ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33

**რატომ წაუყენეს ზურაბ ადეიშვილს ახალი ბრალი, როდესაც ვერ იჭერენ? თუკი ევროსაბჭო იშლება, მაშინ ჩვენ სადღა შევდივართ? რატომ არ ითვალისწინებს ხელისუფლება ვენეციის კომისიის რჩევებს საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით?**

**„ალიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრა:**

**— პროკურატურამ ტელეკომპანია „იბერიის“ დახურვის საქმე გახსნა და ყოფილი გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი და მისი პირველი მოადგილე გიორგი ლაცაბიძე პასუხისგებაში მიეცა. რა აზრი აქვს ადეიშვილის პასუხისგებაში მიცემას, როცა ვერ ჩამოგყავს ვერ სჯი?**

– მე მაგალითად ამას უძლურ შურისძიებად ან რამე ასეთად შევაფასებდი, ყოველ შემთხვევაში, ცოტა სოლიდურობას მოკლებული აქტია, თუ პროკურატურას ასეთი ნაბიჯებით უნდა, დაამტკიცოს, რომ ის მუშაობს და რაღაცას აკეთებს, არ ვიცი...

მე მგონია, რომ დღეს პროკურატურას უფრო მეტი საქმე აქვს სხვადასხვაგვარ დანაშაულთან, რომელიც არ არის გახსნილი. ახლა, მაგალითად, გუშინ დაეწყო პატიმრობის ათვლა ისრაელის ყოფილ პრემიერ-მინისტრს. ისრაელი უნიკალური ქვეყანაა, სადაც ახლა ერთდროულად, ციხეში სხედან ყოფილი პრემიერიც და ყოფილი პრეზიდენტიც. თანაც ორივე პასუხისგებაში მისცეს მაშინ, როდესაც თანამდებობა ეკავათ და არა ისე, რომ ისინი ქვეყნიდან გაიქცნენ... აი, ეს არის ნამდვილად პროკურატურის, სასამართლოს მუშაობა. დაუსწრებელი სასამართლო დიდი ხანია, მორალური ეჭვის ქვეშ არის დაყენებული ცივილიზებულ მსოფლიოში. იქ მხოლოდ განსაკუთრებული, სამხედრო დამნაშავეები შეიძლება ასე გასამართლდნენ.

ჩემი აზრით, აქ ცოტა სოლიდურობა და ეფექტურობა მოიკოჭლებს, აქ უფრო პირადი, სახელმწიფო თუ პოლიტიკური შურისძიების ეჭვები იბადება. როდესაც პიროვნებას ვერც დაიჭერ, როდესაც შენს განაჩენს ვერ აღასრულებ, ან ფორმალური იქნება, დაუსწრებელი გასამართლების არც ერთი ასეთი პროცესი ისტორიაში არ შევა, როგორც სამართლიანი და სამართლიანობის აღდგენის პროცესი. ადეიშვილი გინდა გაასამართლე, გინდა ხუთი ციხე მიუსაჯე, ამას რა ეფექტი მოჰყვება? მე არ მესმის. როდესაც მთელ მსოფლიოში იჭერენ კორუფციონერებს, მაღალი რანგის მალალჩინოსნებს, ჩვენთან გამოდის, რომ ყველაზე მაღალი რანგის მალალჩინოსანი კორუფციონერი ბოდოკია ყოფილა, ეს ხომ სასაცილოა, არა? დღეს ხომ უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, იგივე თქვენი გაზეთი და სხვები, რომ რაც ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს, პრაქტიკულად, თითქმის, იგივე ხდება ახლაც, ნეპოტიზმიდან დაწყებული ტრივიალური კორუფციით დამთავრებული. ამ დროს კი ამ სასამართლოების მარგი ქმედების კოეფიციენტს ვერ ვხედავ, სიმართლე გითხრათ.

**— ევროსაბჭოს პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა განაცხადა: ევროკავშირს დაშლის რეალური რისკი შეექმნება, თუ დიდი ბრიტანეთი წევრობაზე უარს იტყვისო. როგორ ფიქრობთ, ნამდვილად შეიძლება ევროკავშირი დაიშალოს? და თუ დაიშლება, მაშინ ჩვენ სადღა მივდივართ?**

– ეგ კარგი კითხვა იყო, ჩვენ სადღა მივდივართო (იცინის). არა, ევროკავშირი გინდ დაიშალოს გინდ არა, ჩვენ სადაც ვართ ისევ იქ დავრჩებით, არსად არ მივდივართ, რადგან არსად არავინ არ გველოდება. უბრალოდ, ჩვენ ვცდილობთ, ბოდიში ამ სიტყვისთვის, შევეტენოთ ხან ევროკავშირს, ხან ნატო-ს, მაგრამ ყველაზე დიდი, რაც შეიძლება მივიღოთ, არის ეს – ჩვენი მინისტრი სადღაც ვახშამზე დაპატიჟონ და ჩვენც ამით გული მოვიფხანოთ, რომ აი, ჩვენი მინისტრი იჯდა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მინისტრების გვერდზე.

რაც შეეხება ინგლისის გასვლას, ინგლისის მმართველი წრეები თვლიან, რომ ძალიან დიდია საწევრო შენატანი, რაც ინგლისს შეაქვს ევროკავშირის ხაზინაში, რა ხარჯებიც ბრიტანეთის ინტერესებს არ პასუხობს. დიდი ბრიტანეთის გადაწყვეტილება გასვლაზე, მადლობა ღმერთს, ჯერ არ არის მიღებული. მე მაინც მგონია, რომ მანდ მიდის ჩვეულებრივი დიპლომატიური ვაჭრობა, კამერონი ითხოვს შეღავათებს, გადასახადების შემცირებას, მეტ უფლებებს და ვფიქრობ, გამოსავალი მაინც მოიძებნება, ვინაიდან ევროკავშირიდან ახლა ინგლისის გასვლა არა მგონია, მთლად კატასტროფული იყოს, თუმცა როდესაც ყველაზე დიდი და ყველაზე გავლენიანი წევრი ტოვებს ამა თუ იმ თანამეგობრობას, ეს შეიძლება კატასტროფის ტოლფასი იყოს. ამიტომ ევროპა არ დაუშვებს ამას, ყველა დათმობაზე წავა და ეს კამერონმა მშვენივრად იცის. ამიტომაც იმუქრება რეფერენდუმით, მაგრამ არანაირი აქტიური მზადება რეფერენდუმის ჩასატარებლად დღეს ბრიტანეთში არ მიმდინარეობს.

**— საქართველოში ვენეციის კომისიაა ჩამოსული, მაგრამ ხელისუფლება საარჩევნო კოდექსზე ოპოზიციას არაფერს არ უთმობს. რატომ ჯიუტობენ, რატომ არ ითვალისწინებენ ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს?**

– არ გაითვალისწინებს იმიტომ, რომ თვითონ ვენეციის კომისია არ იმსახურებს თავისი ავტორიტეტით იმას, რომ მისი რეკომენდაციები გათვალისწინებული იყოს. შეიძლება ცოტა კატეგორიული გამოთქმა გამომივიდა, მაგრამ მე ბუკიკიოს ორჯერ შევხვდი წინა ხელისუფლების დროს, მაშინ საკონსტიტუციო კომისიის წევრი ვიყავი და ეს ადამიანი არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ მაინცდამაინც მზად არის, ბარიკადებზე ავიდეს თავისი იგივე ევროპული ფასეულობებისა და ღირებულებების დასაცავად. რა არის, იცით? როგორც საბავშვო ბაღის პატარა ბავშვებს, ისე მოექცა ჩვენი პარლამენტი ვენეციის კომისიას – ჯერ დაამტკიცეს ეს კანონი და შემდეგ ეკითხებიან, მოგწონთ თუ არ მოგწონთო. ეს რა არის? ეს, უბრალოდ, შეურაცხყოფაა, ვენეციის კომისიას რომ თავმოყვარეობა ჰქონდეს, ის საერთოდ არ ჩამოვიდოდა თბილისში. ბუკიკიომ მშვენივრად იცის, რომ პრინციპული გადაწყვეტილებები უკვე არ შეიცვლება. საბოლოოდ, ალბათ, რამე კოსმეტიკურ ცვლილებებს შეიტანენ საარჩევნო კანონში, რაც არაფერს არ შეცვლის, ეს ვენეციის კომისიაც წავა... სხვათა შორის, ინგლისელების უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ასეთი არაეფექტური კომისიები ძალიან ბევრი შეიქმნა, რაც ძალზე ძვირი უჯდება იგივე ინგლისის გადასახადის გადამხდელებს, მათი ეფექტი კი ნულია. მე 5-6 ასეთ კომისიასთან ვარ თავის დროზე შენახვედრი და ჩემთვის უკვე ცხადია, ისინი უბრალოდ ჩამოდიან, რომ დააფიქსირონ, აი, ჩვენ აქა და აქ ვიყავითო, ხელფასებს იღებენ და მშვენივრად ცხოვრობენ.

**— ელისაშვილის ბესელიასა და კობახიძესთან დაპირისპირება ისევ აქტუალურია. რატომ არ ქმნიან პარლამენტში საგამოძიებო კომისიას, რომ დამთავრდეს ეს თემა?**

– ალეკო ელისაშვილი, რამდენადაც მე მას ვიცნობ, წესიერი, პატიოსანი ბიჭია, მაგრამ ასეთი დიდი ბრალდებისთვის თვითონ არ იყო მზად. მერაბიშვილი რისი ხერხემალი იყო არ ვიცი, მაგრამ ეს ორი ქალბატონი – ბესელია და კობახიძე პარლამენტის ხერხემლები თუ არა, ნეკნები მაინც ნამდვილად არიან და როდესაც ასეთ ორ ძლევამოსილ ფიგურას უყენებ პოლიტიკოსისთვის მომაკვდინებელ ბრალდებას, რომელსაც მხოლოდ მორალური კი არა, კრიმინალური ელფერიც გასდევს, მეტად მომზადებული უნდა იყო და მყარი მტკიცებულებები უნდა გქონდეს მზად. როდესაც ამნისტია უნდა ჩატარდეს მოკლე ვადაში, აქ უკვე შეიძლება მოხდნენ შემთხვევით ადამიანები, თეორიულად ანგარებით, ან უანგაროდაც. საქართველოა, ყველა ყველას იცნობს, ყველა ყველას მამიდაშვილ-ბიძაშვილია, შეიძლება ვიღაცამ იმაზე სთხოვა, ვიღაცამ ამაზე, მაგრამ იმის დამტკიცება, რომ აქ იყო ქრთამი, კრიმინალი და ანგარება, ძალიან ძნელია და მარტოხელა ადამიანი, რომელსაც არც აპარატი აქვს, არც თანაშემწეები ჰყავს, არც რაღაც ფართო კავშირები აქვს, ძალიან გაუჭირდება და ამას ვერ შეძლებს. ის რომ ელისაშვილის ბრალდებები თანდათან გაფერმკრთალდებოდა, თავიდანვე მოსალოდნელი იყო და ასეც მოხდა, რადგან საქმე გადაეცა პროკურატურას, რომელსაც ამ დროს აქვს საუკუნეების დამუშავებული მეთოდი – რაც შეიძლება გააჭიანუროს პროცესი. აი, აქ უკვე ბესელიასა და კობახიძის წინააღმდეგ რა იქნება და როგორ, ყველაფერი დამოკიდებულია ივანიშვილის გადაწყვეტილებაზე. ელისაშვილს თუ მართლა ჰქონდა ასეთი მასალები, უფრო საფუძვლიანად უნდა მომზადებულიყო, რომ არ გამოსულიყო ის, რაც გამოვიდა – ბევრი ხმაური, შედეგი კი – ნული.



**რატომ წაუყენეს ზურაბ ადეიშვილს ახალი ბრალი, როდესაც ვერ იჭერენ? თუკი ევროსაბჭო იშლება, მაშინ ჩვენ სადღა შევდივართ? რატომ არ ითვალისწინებს ხელისუფლება ვენეციის კომისიის რჩევებს?**

**„მერაბიშვილი რისი ხერხემალი იყო არ ვიცი, მაგრამ ეს ორი ქალბატონი — ბესელია და კობახიძე პარლამენტის ხერხემლები თუ არა, ნეკნები მაინც ნამდვილად არიან და როდესაც ასეთ ორ ძლევამოსილ ფიგურას უყენებ პოლიტიკოსისთვის მომაკვდინებელ ბრალდებას, რომელსაც მხოლოდ მორალური კი არა, კრიმინალური ელფერიც გასდევს, მეტად მომზადებული უნდა იყო და მყარი მტკიცებულებები უნდა გქონდეს მზად“**

## აჰა, როგორც იქნა, უშვებენ პრეზიდენტს საზღვარგარეთ ისე, რომ არაფერს აყვედრიან



მარტის ბოლოს ვაშინგტონში ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე, საქართველოს დელეგაციას პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი უხელმძღვანელებს. როგორც პრეზიდენტის მრჩეველმა საგარეო ურთიერთობების საკითხებში თენგიზ ფხალაძემ განაცხადა, მთავრობასთან კონსულტაციების შედეგად გადაწყდა, რომ სამიტზე საქართველო წარმოდგენილი იყოს პრეზიდენტის სახით.

– ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მთავრობასთან კონსულტაციების შედეგად, გადაწყდა, რომ საქართველო წარმოდგენილი იყოს პრეზიდენტის სახით და, შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი გაემგზავრება ამ სამიტზე, – განაცხადა თენგიზ ფხალაძემ.

მისივე ინფორმაციით, გიორგი მარგველაშვილი ორმხრივ შეხვედრებსაც გამართავს.

– ამჟამად მიმდინარეობს პროგრამაზე, ორმხრივი შეხვედრების დაგეგმვასა და დელეგაციის შემადგენლობაზე მუშაობა, რის შესახებაც საზოგადოებას დამატებითი ინფორმაცია მიეწოდება, – აღნიშნა ფხალაძემ.

ცნობისთვის, აშშ-ში ბირთვული უსაფრთხოების სამიტი 31 მარტს არის დაგეგმილი. მასზე აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ რამდენიმე თვის წინ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მიიწვია. (kvira.ge)

## თბილისში მომხდარ სროლას მსხვერპლი მოჰყვა



სისხლიანი გარჩევა აღმაშენებლის ხეივანში. ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურზე, სავარაუდოდ, 5-მა პირმა ცეცხლი გახსნა. სროლის შედეგად გარდაცვლილია ერთი ადამიანი, არიან დაჭრილებიც.

წინასწარი ინფორმაციით, დაჭრილი და გარდაცვლილი პირები ძმები არიან. შემთხვევა აღმაშენებლის ხეივანში მე-9 კმ-ზე მოხდა. სამართალდამცავებმა ინციდენტის მონაწილე ერთი პირი უკვე დააკავეს.

მოგვიანებით დაზუსტდა, რომ დაჭრილი და გარდაცვლილი პირები ძმები ზურა და გია ბერიშვილები არიან. ორივე მათგანი 40 წლამდეა. დაჭრილს დაზიანება თავისა და ფეხის არეში აქვს მიღებული.

შემთხვევის ადგილზე მისულმა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ დაჭრილი მამაკაცი ქირურგიის ინსტიტუტში გადაიყვანა. (newposts.ge; kvira.ge)

## 6 ქართველ მოჭიდავეს დოპინგის გამოყენებაში ადანაშაულებენ



საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრების 6 წევრი დოპინგის გამოყენებაშია დადანაშაულებული. sportall.ge-ს ინფორმაციით, შემოწმება გრძელდება და არაა გამორიცხული, ეს სია კვლავ გაიზარდოს.

გამოცემა საერთაშორისო ანტიდოპინგური სააგენტოს წესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით სპორტსმენთა ვინაობას არ ასახელებს, რადგან ჯერ სპორტსმენებს ანალიზის პასუხები არ ჩაბარებიათ.

აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში ბრალდებულთა შორის უმეტესობა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრია, მაგრამ არიან ბერძნულ-რომაულიდანაც. ერთ-ერთი სპორტსმენისთვის დოპინგის გამოყენების დამტკიცების შემთხვევაში მეორე ჩავარდნა იქნება, რაც მას სამუდამო დისკვალიფიკაციით ემუქრება.

– ბრალდებულთა უმეტესობა საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის გამარჯვებულია, თუმცა არიან პრიზიორებიც, ერთ-ერთ წონაში კი ფინალისტთა წყვილზეა ლაპარაკი. ეს ტესტები იანვარში, საქართველოს წლევანდელ პირველობაზეა აღებული. დამტკიცების შემთხვევაში, მათ ჩამოერთმევათ ამ ტურნირზე მოპოვებული მედლები, შეუჩერდებათ ხელფასი და აეკრძალებათ ტურნირებში გამოსვლა, ნაკრებთან ვარჯიში და შეკრებაზე წასვლაც კი, – ნათქვამია სტატიაში.

აქვე განმარტებულია, რომ სპორტსმენებს მიეცემათ დისკვალიფიკაცია, ოლონდ მის ვადას საერთაშორისო ფედერაცია განსაზღვრავს. (ინტერპრესნიუსი)

## „მე და საზოგადოება“ დაღუპავს ქართველი ბავშვების ცნობიერებას“



– სამწუხაროდ, ბევრი საზოგადო მოღვაწე ემხრობა ამ უმსგავსობის სკოლებში დანერგვას, – აცხადებს აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე. მისივე თქმით, ახალი სასკოლო საგანი „მე და საზოგადოება“ დაღუპავს ქართველი ბავშვების ცნობიერებას.

– სასკოლო პროგრამაში ასეთი საგნების შეტანას არავითარ შემთხვევაში არ დაveთანხმები. მსგავსი სახელმძღვანელოები ღუპავს ქართველი ბავშვების ცნობიერებას. უნდათ, ახალგაზრდებსა და ბავშვებს თავიდანვე ჩაუნერგონ სისულელეები. ეს ყველაფერი ისე შეფუთეს, თითქოს საგანგაშო არაფერია, მაგრამ, თუ ჩავუღრმავდებით, აღმოვაჩენთ, რომ თავზარდამცემია. სამწუხაროდ, ბევრი საზოგადო მოღვაწე ემხრობა ამ უმსგავსობის სკოლებში დანერგვას, – ამბობს ჯაველიძე. (რეპორტიორი)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



პოლიტიკურ ველზე დიდი ხანია ბრძოლა წესების გარეშე გაშმაგებით მიმდინარეობს. როგორც ჩანს, კომპრომატებით არჩევნების მოგება კვლავ აქტუალურია. ერთია, რომ „ნაცმოძრაობა“ ფარულად იღებდა ოპონენტების პირად ცხოვრებას, მაგრამ მეორეა, ამ ხელისუფლების პირობებში კვლავ მიმდინარეობს პოლიტიკოსების პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერებით დაშანტაჟება და ამით პირველი მსხვერპლი პოლიტიკოსებიდან ეკა ბესელია ხდება. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციიდან ფარესაშვილი იყო ის პრეცედენტი, რომელზეც სააღდგომოდ აიტვირთა შემზარავი ვიდეომასალა, რასაც შეეწირა შინაგან საქმეთა მინისტრის მაშინდელი მოადგილე ხვედელიძე, თუმცა სამაგალითოდ რომ გაჭირვებულ ხალხს კი ნამდვილად არ აინტერესებს, ვინ ვისთან, რა პოზაში, რა ვითარებაში ერთობოდა საძინებელში. ხალხი შიმშილით იხოცება, სამართლიანობის მაძიებელთა რიცხვი იზრდება, არავინ იცის, როგორი დილა გაუთენდება, მომავლის ტოტალური შიში მძვინვარებს, აწმყოშიც სახეირო არაფერია.

**ამ თემებზე „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა „ალიას“ კითხვებს პასუხობს:**

– როდესაც ქვეყანაში არ არის სამართლებრივი სახელმწიფო, ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებაში არიან მოკალათებულები, ბედავენ, ოპონენტებს ფარულად იწერენ და შემდგომში, აშანტაჟებენ. ეს არის ისეთი ვირუსი, რომელმაც არ იცის „ქოცი“, „ნაცი“, ოპოზიცია, ეს ვირუსი შეეყრება ყველას, ამიტომ უნდა აღკვეთო და საშინლად დასაჯო დამნაშავეები. დამლესი სასჯელი უნდა მიესაჯოთ. ამას გარდა, უნდა შედგეს ქარტია, რომელსაც ხელს მოაწერენ – ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, ვინც ამ მეთოდს გამოიყენებს, სამუდამოდ უნდა გაირიყოს პოლიტიკიდან და მედიასაშუალებებიდან.

**— საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის ალეკო ელისაშვილის პროპაგანდა რას ემსახურება? მას მოწმედ ხან პრეზიდენტი მოჰყავს, ხან თავდაცვის მინისტრი. ჩვენ ვნახეთ, რომ თინა ხიდაშელი დააპირისპირა ეკა ბესელიას. „ქართულ ოცნებაში“ დაიწყო თუ არა კომპრომატების ომი?**

– რაც იციან ამ ადამიანებმა, იმას აკეთებენ. ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც პოლიტიკა არ იციან, მათი პროფესია არის ეს – ჩაშვება, დასმენა, არჩევნების გაყალბება, კომპრომატების ომი. გადახედეთ იმ კადრებს, ვინც ივანიშვილის პირობებში გამოვიდნენ პოლიტიკურ ავანსცენაზე. 25 წელია, ამ პოლიტიკით მოქმედებენ და ახლა რას „ქართული ოცნების“ ეს თამაშის წესი, რომელიც კომპრომატებზეა აგებული, მთლიანად დააჭაობებს მათ.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ალეკო ელისაშვილის მიზანია, დროში გაწელოს ბესელია-კობახიძის დისკრედიტაციის კამპანია, რასაც თავისთავად მოჰყვება ლოგიკური შედეგი და ეს ქალბატონები საპარლამენტო სიაში ვეღარ მოხვდებიან, ხოლო, თავის მხრივ, ელისაშვილი პოზიციებს გაიძლიერებს და მერის არჩევნებისთვის მოემზადება. მან თქვა, თუკი ეკა ბესელია შეიძლება იყოს ადამიანის უფლებების კომიტეტის თავმჯდომარე, რატომ არ შეიძლება თავად გახდეს ქალაქის მერი. ჩვენ თვალწინ ხომ არ ყალიბდება ახალი პოლიტიკური გუნდი პრეზიდენტის ფლანგზე, სადაც მოიაზრება ელისაშვილიც, რომლებიც ბრძოლას დაიწყებენ თბილისის ხელში ჩასაგდებად.**

– არა მგონია, ელისაშვილი მოიაზრებოდეს პრეზიდენტის გუნდის წევრად, ისინი სხვადასხვა პლატფორმაზე დგანან. ჩემი

# კახა კუკავა: „კომპრომატები პირდაპირ მიდის ივანიშვილთან“



**„შენ თუ მოიპოვებ კომპრომატს მოწინააღმდეგეზე და მიუტან ივანიშვილს, ეს არის ყველაზე ეფექტური გზა, როგორ უნდა განაიარაღო შენი კონკურენტი“**



დასჯილიყო ეს პიროვნება, ადამიანთა ის ჯგუფი, ვინც ფარულად გადაიღო „ნაციონალური მოძრაობის“ ოპონენტები, ამას ვეღარავინ გაბედავდა. საქმე გვაქვს ტოტალურ დაუსჯელობასთან.

ალეკო ელისაშვილის მიერ დაწყებულ სკანდალს პოლიტპატიმრების შეწყალებასთან დაკავშირებით ბოლო არ უჩანს. დროა, ელისაშვილმა მოძებნოს სასვენი ნიშანი, რასაც ჰქვია წერტილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, კითხვის ნიშნებსა და მრავალწერტილებში თავად გაიხლართება და ნამდვილად მოსაბეზრებელია იმაზე საუბარი, აიღეს თუ არა კობახიძემ და ბესელიამ ქრთამი პატიმართა შეწყალების მიზნით. ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილს ხელ-ფეხი ეხსნება და მისთვის არასასურველი ქალბატონები 2016 წლის საპარლამენტო სიაში შესაძლოა, აღარ აღმოჩნდნენ, ივანიშვილისთვის ახალი არ არის კომპრომატების შესახებ მიღებული ინფორმაცია, ამას თავად ელისაშვილი ადასტურებს, მოწმედ მოჰყავს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, რომელსაც ელისაშვილისთვის უთქვამს, – ივანიშვილმა ბესელიაზე იმაზე მეტი იცის, ვიდრე შენ წარმოგიდგენიაო. თინა ხიდაშელის მიერ მოყოლილი ამბების გასაჯაროებისგან ელისაშვილმა თავი შეიკავა. ახლა ეკამ და თინიკომ ერთმანეთში არკვიონ, მტყუან-მართალი. ვინ იქნება შემდეგი? მრავალი ათასი ფაილიდან შეირჩევა ის, ვინც ორივე მხარის ინტერესში ჩაჯდება, როგორც „ნაციონალების“, ასევე – „ოცნების“. ეს ყველაფერი კი გამოიწვია კოჰაბიტაციამ, დაუსჯელობის სინდრომმა და იმ განცდამ, რომ შენს კარზე აქლემი არ დაიჩოქებს.

როდემდე გაგრძელდება პირადი ცხოვრების ამსახველი ფირებით შანტაჟი და როდემდე აპირებენ, გვამყოფონ ამ ბაქანალიაში, სადაც არც პურია და აღარც სანახაობა. ამ იჯერეთ, რომ ისე მოედება ეს ვირუსი ყველას, დაიწყება სისხლისმღვრელი დაპირისპირებები. ასე სახელმწიფო ვერ განვითარდება და რაც დღეს ხდება, როცა ადამიანებს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით ისევ აშანტაჟებენ, ამას ჯობია, ნარკოტიკები ჩაუდო, დაიჭირო, ეს უფრო მისაღებია ქართული მენტალობისთვის, ვიდრე ოჯახური და სექსუალური სცენების ამსახველი კომპრომატებით წარიმართოს საარჩევნო კამპანია. ამის აღკვეთა ტექნიკურად 21-ე საუკუნეში შეუძლებელია, ამის ერთადერთი საშუალებაა, დაწესდეს უმკაცრესი სასჯელი და ყველა დაისაჯოს, ვინც ამ სიბინძურეში იქნება ჩართული. წინა ხელისუფლების დროს სააკაშვილმა შექმნა ფარული ჩანაწერების მთელი ინდუსტრია, ყველა ოპოზიციონერის შესახებ კეთდებოდა ვიდეოები და იტვირთებოდა „იუთუბიზე“, შემდეგ დაგვცინოდნენ, ჩვენ რა შუაში ვართ, „იუთუბიზე“ აიტვირთაო. 20 ათასი ვიდეომასალა აღმოჩნდა სხვადასხვა სამალავებში, სააკაშვილი გადაყვა ცოცხების კომპრომატებს, მაგრამ ეს ამბავი ჯერ არ დასრულებულა, როგორც კი „ნაცმოძრაობის“ რეიტინგი მოიმატებს, ივანიშვილი ურეკავს უკრაინაში კოლომოისკის და ახალი ბინძური კომპრომატები იდება. წინა ხელისუფლებას მისი დანაშაული ბუმერანგივით მიუბრუნდა, ახლა ვართ იმ პროცესში, როცა ეს ხელისუფლება ამ კომპრომატებს ცუდად იყენებს. როცა ხვედელიძე გადაყვა ფარესაშვილის კომპრომატების სკანდალს, მაშინაც ვთქვი, რომ სასტიკად უნდა დაისაჯოს პირი, ვინც ამ მეთოდს მიმართავს, მაგრამ ეს არის ვირუსი, რომელიც აუცილებლად მოუბრუნდება თვითონ ხელისუფლებას. ჩვენ ვხედავთ, რომ ეს პროცესი მიდის და ისეთი მასშტაბური ხდება, რომ ამაზრზენ ხასიათს მიიღებს. პირველ რიგში, უნდა გამოიძიონ, ვისი დაკვეთით ხდებოდა კომპრომატების გაკეთება, ისინი უნდა გასამართლდნენ და უმაღსთხოვთ, რომ დასავლეთის პოლიტიკით იმოქმედონ? როგორც ბადრიჯნისგან სალამური არ კეთდება, ისე ამ ხალხისგან ევროპულ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ. ამ ადამიანებს აქვთ ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის 25-წლიანი სტაჟი. ჩვენ გვახსოვს, როცა ალასანია კოალიციაში იყო, მაშინდელმა პრემიერმა ივანიშვილმა თქვა, რომ ალასანია, საყვარლებთან ერთად, დუბაიში დადის და ამის დამადასტურებელი ფირები მაჩვენესო. როგორ ფიქრობთ, ადამიანი, რომელსაც ამას იტყვის, ის რეფორმებს გაატარებს, ევროპულ სახელმწიფოს ააშენებს და ტერიტორიებს დაიბრუნებს?!. ტიპურ „ასინეთასთან“ გვაქვს საქმე, რომელსაც აინტერესებს, ვინ ვისი საყვარელია. სამწუხაროდ, ჩვენ ვხედავთ, რომ კომპრომატების ომი არის გახსნილი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი ანა ნაცვლიშვილი ავრცელებს ინფორმაციას, რომ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები მასზე კომპრომატების შეგროვებას ცდილობენ. მეტსაც გეტყვით, კომპრომატები პირდაპირ პრესაში კი არ ქვეყნდება, პირდაპირ მიდის ივანიშვილთან. ჩემთვის ცნობილია, გია ხუხაშვილი პირდაპირ ამ მეთოდით ჩამოაცილეს ივანიშვილს, მასზე დადეს კომპრომატები, ეს ეხებოდა ფინანსურ საკითხს. მე გიხსნით „ქართული ოცნების თამაშის წესებს: შენ თუ მოიპოვებ კომპრომატს მოწინააღმდეგეზე და მიუტან ივანიშვილს, ეს არის ყველაზე ეფექტური გზა, როგორ უნდა განაიარაღო შენი კონკურენტი.

აზრით, ისინი სხვადასხვა სტილის პოლიტიკოსი არიან. როგორც ჩანს, ორივესთვის მისაღებია ის სტატუს კვო, რაც არსებობს ამ ეტაპზე როგორც ელისაშვილისთვის, ასევე კობახიძე-ბესელიასთვის, თუმცა ფაქტია, ეს სკანდალი აბსოლუტურად ლოგიკურ შედეგით დასრულდება და დაღს დაასვამს იმ პირებს, ვისაც ელისაშვილი ბრალს სდებს პოლიტპატიმრების შეწყალების საქმეში.

**— კვლავ აქტიურად მიდის საუბრები იმის შესახებ, რომ ნარმანიას მერობიდან გაუშვებენ, სანაცვლოდ კი „ქართული ოცნების“ სიის ათეულში ადგილს გაინაღდებს. არსებული ინფორმაციით, მოვალეობას შეასრულებს ვიცე-მერი ლაშა აბაშიძე, ხოლო ნარმანიას გადადგომიდან 60 დღეში დაინიშნება არჩევნები, სადაც წარდგენილი იქნება ყოფილი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი.**

– მანამდე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ღარიბაშვილი პარტიას ქმნის და ბლოკს კრავს ნინო ბურჯანაძესა და ირმა ინაშვილთან. ჩემი აზრით, ეს ინფორმაცია არის მორიგი ზონდაჟის მიზნით შემოგდებული. მიმაჩნია, რომ არც ნარმანიასა და არც ღარიბაშვილს პოლიტიკური მომავალი არ აქვთ, ეს არის ჭორი და მეტი არაფერი, თუმცა, თუ ივანიშვილი გადაწყვეტს, ყველაფერი შესაძლებელია, მას როგორც ხეების, ასევე პრემიერისა და მერის ამოძირკვა და „გადარგვა“ შეუძლია. 2014 წელში ჯერ კიდევ იყო ისეთი მოცემულობა, როცა „ქართული ოცნების“ სახელით ჯოხიც კი მოიგებდა არჩევნებს, დღეს ასეთი ვითარება აღარ არის.

**გაჭირვებულ ხალხს ნამდვილად არ აინტერესებს, ვინ ვისთან, რა პოზაში, რა ვითარებაში ერთობოდა საძინებელში. ხალხი შიმშილით იხოცება, სამართლიანობის მაძიებელთა რიცხვი იზრდება, არავინ იცის, როგორი დილა გაუთენდება, მომავლის ტოტალური შიში მძვინვარებს, აწმყოშიც სახეირო არაფერია.**

## პრემიერის გადაყენება — იაცენიუკი მიდის?




უკრაინის პრემიერ-მინისტრი და მთავრობა შესაძლოა, რადამ კვირის ბოლომდე გადააყენოს.

როგორც მმართველ კოალიციაში შემავალი იაცენიუკის პარტიის „სახალხო ფრონტის“ ფრაქციის წევრი მუსტაფა ნაიემი აცხადებს, რადაში მთავრობის გადასაყენებლად საჭირო ხმები უკვე არსებობს – იაცენიუკის წინააღმდეგ მისი ფრაქციის წევრები გამოდიან.

მისივე თქმით, იაცენიუკის გადაყენებს მხარს უჭერენ პეტრე პოროშენკოს ბლოკის წევრებიც.

ბლოკის ლიდერი იური ლუცენკო ღიად აცხადებს, რომ იაცენიუკს რადაში მხარდაჭერა აღარ აქვს – მან პრემიერ-მინისტრი „დავარდნილ ცხენს“ შეადარა. (პირველი რადიო)

## დავით უსუფაშვილი: მოარული ხმები, თითქოს ვინმე დაურეგისტრირებელი ქონების წართმევას აპირებს, სიცრუეა



პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საკანონმდებლო ორგანოში მიწების რეგისტრაციასთან დაკავშირებით მსჯელობა მალე გაიმართება.

– მინდა კიდევ ერთხელ განვმარტო და ყველას მოგიწოდოთ, რომ მოსახლეობას მივაწოდოთ სწორი ინფორმაცია, იმიტომ, რომ მოარული ხმები, თითქოს ვინმე დაურეგისტრირებელი ქონების წართმევას აპირებს თუ სახელმწიფო მოქალაქეების ინტერესების საწინააღმდეგო რამეს გეგმავს, არის სიცრუე. ვიცი, რომ აგრარულ საკითხთა კომიტეტი მთავრობასთან ერთად აქტიურად მუშაობს, ჩართულები არიან დარგობრივი ეკონომიკისა და იურიდიულ საკითხთა კომიტეტები. ჩვენ გვექნება სწორედ სხვა მიმართულებით გადაწყვეტილებები – როგორ დავეხმაროთ მოქალაქეებს, რომ იურიდიულად გაიფორმონ ის მიწის ნაკვეთები, რომლებსაც წლებია და ზოგჯერ ათწლეულებია ფაქტობრივად ფლობენ, მაგრამ, იურიდიული საბუთების გაუმართაობის გამო, სრულფასოვნად ვერ ახერხებენ თავიანთი საკუთრების გამოყენებას, განკარგვას სასოფლო-სამეურნეო თუ სხვა სახის დანიშნულებისთვის. ასე რომ, ამ საკითხებზე პარლამენტში მალე გვექნება მსჯელობა მოქალაქეთა უფლებების განსამტკიცებლად და არა პირიქით, – განაცხადა უსუფაშვილმა. (kvira.ge)

## მესაკუთრეს კანონიერ მფლობელობაში არსებული მიწა არ ჩამოერთმევა — პრემიერი



– თუ არსებობს იურიდიული საფუძველი, რომ მიწა ამა თუ იმ მფლობელს საკუთრებაში გაუფორმდეს, ყველა ასეთ შესაძლებლობას ძალიან დიდი ყურადღებით მოვეკიდებით, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული კანონპროექტის კომენტირებისას განუცხადა.

პრემიერი ფიქრობს, რომ ეს საკითხი დანიშნულების ადგილამდე არასწორად იყო მიტანილი და საჭიროა მეტი კომუნიკაცია.

– ჩვენ არავის უფლებებს არ დავარღვევთ, არავითარ შემთხვევაში არ მოხდება ისე, რომ მესაკუთრეს კანონიერ მფლობელობაში არსებული მიწა ჩამოერთვას, – განაცხადა პრემიერმა. (ნიუპოსტი)

დარინა ქამადაძე
593 19-85-99



## რომის პაპი კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს აღდგომის ერთ დღეს აღნიშვნის ინიციატივით მიმართავს

### რა უთხრეს „ალიას“ რომის პაპის ამ ინიციატივაზე საპატრიარქოში





რომის პაპი ფრანცისკი ინიციატივით გამოდის, კათოლიკეებმა და მართლმადიდებლებმა აღდგომა ერთ დღეს აღნიშნონ. ამის შესახებ მან მღვდელმსახურების ყოველწლიურ კრებაზე, ლატერანის ბაზილიკაში განაცხადა.

– კათოლიკეები და მართლმადიდებლები შეხვედრისას ერთმანეთს ეკითხებიან: შენი ქრისტე უკვე აღსდგა? ჩემი შემდეგ კვირას აღსდგება, – ბრძანებს პაპი.

მისივე თქმით, კათოლიკური ეკლესია პავლე VI-ის შემდეგ მზად იყო, რომ დაწესებულიყო აღდგომის საერთო რიცხვი. რომის პაპის განცხადებით, კათოლიკური ეკლესია მზად არის, დათმოს აღდგომის დღის გამოთვლის დღეს არსებული მეთოდი.

**რომის პაპის ამ ინიციატივის შესახებ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის აზრის გასაგებად „ალია“ პატრიარქის მდივანს, მამა მიქაელ ბოტკოველს ესაუბრა:**

**— მამაო, რა აზრისაა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, რომ მართლმადიდებლებმა და კათოლიკეებმა აღდგომა ერთსა და იმავე დღეს აღნიშნონ?**

– რა თქმა უნდა, თუ ეს ძველი სტილი იქნება და ერთ დღეს აღინიშნება, არავინაა წინააღმდეგი. წინა მოსამზადებელ დიდ კრებაზე ამის შესახებ ვერ შეთანხმდნენ იმიტომ, რომ ეკლესიების უმრავლესობამ ძველ სტილზე დარჩენა მიზანშეწონილად მიიჩნია. კათოლიკური ეკლესია თუ ახალი სტილით იდღესასწაულებს, ვერ დაემთხვევა ერთმანეთს.

**— პაპის განცხადების მიხედვით, საუბარია იმაზე, რომ აღდგომა ყოველთვის ერთ დროს აღინიშნოს...**

– ჰო, მაგრამ სტილი ხომ უნდა შევინარჩუნოთ, ჩვენ ხომ ძველი სტილით აღვნიშნავთ. თუ კათოლიკური ეკლესია შეცვლის და აღდგომის დღესასწაულს ძველ სტილზე აღნიშნავს, რა თქმა უნდა, ჩვენ წინააღმდეგი არ ვიქნებით, მაგრამ ჩვენ სტილის შეცვლას არ ვაპირებთ.

**— თუ კათოლიკური ეკლესია დათმობაზე წავა, მაშინ შესაძლებელი იქნება?**

– დიახ, რა თქმა უნდა – ისინი თავიანთ ეკლესიებში, ჩვენ კი ჩვენს ეკლესიებში აღვნიშნავთ.

შეგახსენებთ, რომ ქრისტიანულმა ეკლესიამ 325 წლის ნიკეის საეკლესიო კრებაზე იულიუსის კალენდრის გამოყენება დააწესა. კრების გადაწყვეტილებით, პასექის დღესასწაული დაწესდა გაზაფხულის ბუნიობის შემდგომი პირველი სავსემთვარეობის მომდევნო კვირას, მაგრამ დროთა განმავლობაში, იულიუსის კალენდრის უზუსტობის შედეგად დაგროვილი ცდომილების გამო, გაზაფხულის ბუნიობამ ადრეულ (წინა) რიცხვებზე გადაინაცვლა. იმისთვის, რათა ნიკეაში მიღებული გადაწყვეტილება ძალაში დარჩენილიყო, რომის პაპმა გრეგორი XIII-მ 1582 წელს კალენდარი ჩაასწორა.

## ბაჩანა ბრეგვაძეს მთაწმინდაზე დაკრძალავენ



მთარგმნელსა და მწერალ ბაჩანა ბრეგვაძეს ხუთშაბათს, 18 თებერვალს მთაწმინდის პანთეონში დაკრძალავენ.

პრემიერ-მინისტრის დავალებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ცნობილი ქართველი მეცნიერის, მთარგმნელისა და მწერლის ბაჩანა ბრეგვაძის დაკრძალვასთან დაკავშირებით სახელმწიფო დამკრძალავი კომისია შეიქმნა. დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო დაფარავს.

გარდა ამისა, კომისიის გადაწყვეტილებით, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ბაჩანა ბრეგვაძის სახელი მიენიჭება. (ნიუპოსტი)

## კახა კალაძის არასწორ განცხადებებს „ფრონტერა“ ღია წერილით პასუხობს

**ბატონ კახა კალაძეს**
**საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს**
**საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო**
**სანაპიროს ქ. №2**
**თბილისი, 0105, საქართველო**

ბატონო მინისტრო,

წინამდებარე წერილს გწერთ, რათა შესწორება შევიტანოთ თქვენ მიერ საჯაროდ 2016 წლის 5 თებერვალს სატელევიზიო ინტერვიუში გაკეთებულ არასწორ განცხადებებში. თქვენი ეს ინტერვიუ შეეხებოდა ატლანტიკური საბჭოს მიერ ახლახან გამოქვეყნებულ ანგარიშს „დასავლური ენერგეტიკული სტრატეგიის განვითარება შავი ზღვის რეგიონსა და მის ფარგლებს მიღმა“. თქვენ კომენტარი გააკეთეთ ზემოხსენებულ ანგარიშში ასახულ იმ დადებით გამოხმაურებაზე, რომელიც ეხებოდა საქართველოში, კახეთის რეგიონში, „ფრონტერას“ მიმდინარე საძიებო სამუშაოების შედეგად გამოვლენილი ბუნებრივი გაზის მნიშვნელოვანი რესურსების შეფასებას. ვინაიდან თქვენ აღჭურვილი ხართ მინისტრის თანამდებობით, რომელიც დიდ საზოგადოებრივი ნდობას განაპირობებს, თქვენი ეს არასწორი განცხადებები უამრავმა საინფორმაციო სააგენტომ და სოციალურმა მედიამ გააშუქა და არაერთგზის გაიმეორა. სწორედ ამიტომ გვსურს, რომ თქვენ და საქართველოს მოსახლეობას გავაცნოთ სწორი ფაქტები საქართველოში ბუნებრივი გაზის მზარდ სექტორში ჩვენ მიერ განხორციელებული სამუშაოების შესახებ:

● **ინტერვიუში თქვენ განაცხადეთ: „ისეთ მოცულობებზე იყო საუბარი, რომელიც თურქმენეთსაც არ გააჩნია“. ეს არ არის სიმართლე. მაგალითისთვის, აშშ-ს მთავრობის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიხედვით, თურქმენეთის ბუნებრივი გაზის დადასტურებული მარაგები შეადგენს 626 ტრილიონ კუბურ ფუტს (17.5 ტრილიონ კუბურ მეტრს). საწყისი პერსპექტიული რესურსების მოცულობა კი თავისთავად გაცილებით დიდია. თურქმენეთის მთავრობა უფრო მაღალ შეფასებას ასახელებს. ორივე შეფასება ბევრად აღემატება კახეთის რეგიონში „ფრონტერას“ მიერ წარმოებული სამუშაოების შედეგად შეფასებულ 187 ტრილიონ კუბურ ფუტ (5.31 ტრილიონ კუბურ მეტრ) საწყის პერსპექტიულ რესურსებს.**

● **თქვენ, ასევე, განაცხადეთ, თითქოს ბუნებრივი გაზის რესურსების მოცულობის შესახებ ფრონტერას შეფასების „დასამტკიცებლად არის მილიარდობით ინვესტიციები განსახორციელებელი“. ეს არის მცდარი და უბრალოდ არასწორი ინფორმაცია. ხმელეთზე ნავთობისა და გაზის საძიებო ოპერაციების განხორციელება უაღრესად ეფექტურად არის შესაძლებელი, განსაკუთრებით კი გეოგრაფიულად ისეთ ხელსაყრელ ადგილზე, როგორიც აღმოსავლეთ საქართველოა. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს აშშ-ს შიდა სახმელეთო ბუნებრივი გაზის სექტორი, რომელმაც უკანასკნელ წლებში აშშ ბუნებრივი გაზის მსოფლიოს ყველაზე დიდ მომპოვებლად აქცია. მთელ მსოფლიოში ძალზე რთულია გამოინახოს რომელიმე ისეთი სახმელეთო ნავთობისა და გაზის პროექტი, რომელსაც, თქვენი თქმით, „მილიარდობით“ ინვესტიცია დასჭირდებოდა „დასამტკიცებლად“. თქვენი ეს განცხადება რეალური მდგომარეობის შესატყვისი არ არის და არასწორ შთაბეჭდილებას ქმნის კახეთის რეგიონში „ფრონტერას“ მიერ წარმოებულ სამუშაოებზე.**

● **იმავე ინტერვიუში თქვენ აღნიშნეთ, თითქოს „ფრონტერასა“ და სახელმწიფოს შორის არსებული ხელშეკრულება „ყოველწლიურად ახლდება“. ეს, უბრალოდ, არასწორი განცხადებაა. თავად მოგეხსენებათ, რომ „ფრონტერასა“ და საქართველოს სახელმწიფოს შორის არსებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება არის გრძელვადიანი ხელშეკრულება და არანაირ ყოველწლიურ განახლებას არ საჭიროებს. სწორედ მისი გრძელვადიანი ხასიათიდან გამომდინარე, ეს ხელშეკრულება გახდა ფრონტერას მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით ასობით მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელების საფუძველი, რაც მოიცავდა ათასობით კილომეტრ 2-განზომილებიან და 3-განზომილებიან გეოფიზიკურ კვლევებსა და ანალიზს, ათიათასობით მეტრ ახალ ბურღვას. ამ სამუშაოების წყალობით მოხერხდა ქვეყანაში მნიშვნელოვანი ბუნებრივი გაზის რესურსის გამოვლენა. მეტიც, ამან კიდევ უფრო გაამყარა ქვეყნის ნავთობისა და გაზის სექტორისადმი ჩვენი მრავალწლიანი ერთგული დამოკიდებულება.**

ნებით თუ უნებლიეთ, თქვენმა ინტერვიუმ საზოგადოებაში ეჭვი და გაურკვევლობა გამოიწვია. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს წერილი სიცხადეს შემოიტანს. საქართველოს ბუნებრივი გაზის სექტორის განვითარებას დიდი მომავალი აქვს და ამ ფაქტის დაკნინება მხოლოდ ნეგატიური უკუშედეგის მომტანი შეიძლება იყოს. „ფრონტერა“ ამაყობს, რომ საქართველოს ერთგულ კორპორაციულ მოქალაქეს წარმოადგენს და ბევრს მუშაობს იმისთვის, რომ საქართველოს მოსახლეობას მიეცეს საშუალება, ისარგებლოს თავისი ქვეყნის მნიშვნელოვანი ბუნებრივი გაზის რესურსების ათვისებით. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს სწრაფვას ნატოსა და ევროკავშირის წევრობისკენ, ვიმედოვნებთ, რომ ქვეყნის ბუნებრივი გაზის სექტორის ზრდა გააძლიერებს ეროვნულ უსაფრთხოებას, მისცემს რა ქვეყანას საშუალებას, გამოიყენოს საკუთარი მნიშვნელოვანი ბუნებრივი გაზის რესურსები არა მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის, არამედ ევროპული ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვისაც.

ატლანტიკური საბჭოს ახლახან გამოქვეყნებულ ანგარიშში ხაზგასმით არის აღნიშნული საქართველოს სტრატეგიული როლი ევროპის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში და ნათქვამია: „დღეს საქართველოს სჭირდება მხარდამჭერი ლიდერები, განსაკუთრებით ენერგეტიკის სამინისტროში, რომელთა სამთავრობო პოლიტიკის პრინციპები იქნება ქვეყნის კარის გახსნა ძებნა-ძიებისა და მოპოვებისთვის, საკუთრების უფლებების დაცვა, ადგილობრივად მოპოვებული ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისთვის მიწოდებისა და ექსპორტის ხელშეწყობა. ქვეყანას, ასევე, სჭირდება გამჭვირვალობა, კარგი მმართველობა და კანონის უზენაესობა – ამ ყველაფრის გარეშე უცხოური ინვესტიციები ძალზე შეზღუდული დარჩება“. დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს სიტყვები გათვალისწინებული იქნება და საქართველოს მოსახლეობის ნათელ ეკონომიკურ მომავალში თავის წვლილს შეიტანს.

**პატივისცემით,**

**სტივ ს. ნიკანდროსი**
**„ფრონტერა რისორსიზ კორპორეიშნ“-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი აღმასრულებელი ოფიცერი**
**ჰიუსტონი, ტეხასი, აშშ**

**ზაზა მამულაიშვილი**
**„ფრონტერა რისორსიზ კორპორეიშნ“-ის დირექტორთა საბჭოს წევრი და პრეზიდენტი**
**ჰიუსტონი, ტეხასი, აშშ**

## ოკუპირებულ „სამხრეთ ოსეთში“ საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დააკავეს



როგორც დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე წერს, დაკავებულია 1974 წელს დაბადებული, რუსთავში მცხოვრები პირი.

ე.წ. კომიტეტის ინფორმაციით, სოფელ დმენისის მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქესთან საუბარში გაიგო, რომ ის ცხინვალის ავტოსადგურში აპირებდა ჩასვლას, რის შემდეგაც მიიღო გადაწყვეტილება მისი სამართალდამცავი უწყებისთვის ჩაბარების შესახებ. აღნიშნულის შემდეგ საქართველოს მოქალაქე დააკავეს.

მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება. დაკავებულმა დე ფაქტო საზღვარი 13 თებერვალს გადაკვეთა. (ინტერპრესნიუსი)

## დიმიტრი მედვედევი — ნატო რუსეთზე ყოველთვის იბუტება, ისე როგორც ეს მოხდა საქართველოში განვითარებული მოვლენების შემდეგ



რუსეთის პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევის განცხადებით, ნატოს არ მოსწონს, როდესაც მოსკოვი მსოფლიო დღის წესრიგში მონაწილეობს. ამის შესახებ მედვედევმა „ევრონიუსთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა.

– მაშინ, როდესაც მსოფლიო დღის წესრიგში რაღაც ხდება, რომელშიც რუსეთი მონაწილეობს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მაშინვე იბუტება და ამბობს: მორჩა, თქვენთან ურთიერთობას ვწყვეტთ, ურთიერთობას ვაჩერებთ. ასე იყო საქართველოში განვითარებული მოვლენების დროს. ახლაც, უკრაინაში განვითარებული მოვლენების დროსაც ასეა. ჩვენ ვამბობთ, კარგი, ეს თქვენი საქმეა, შეწყვიტეთ, – აღნიშნა დიმიტრი მედვედევმა.

მისივე თქმით, რუსეთს სურს აშშ-სა და ევროკავშირთან კარგი ურთიერთობები. ამასთანავე, მედვედევის განცხადებით, მოსკოვი მზადაა, დასავლეთთან კავშირები გააუმჯობესოს. (ინტერპრესნიუსი)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# მერიამ ნეპოტიზმის დასამალად ახალი ტაქტიკა მოიფიქრა



**რა ახალი ტაქტიკა აირჩია თბილისის მერიამ ტენდერებთან მიმართებაში და როგორ ცდილობს, გადაფაროს ნეპოტიზმის გზით გამარჯვებული კომპანიების საკითხი? რა სქემის განსახორციელებლად შემოჰყავთ უცხო ქვეყნის მოქალაქეები და რის საფუძველზე უფორმებენ მათ მილიონიან ტენდერებს?**

**„ალიას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ დამფუძნებელი ლევან ხაბეიშვილი ესაუბრა:**

– 2016 წლის დასაწყისიდან, თბილისის მერიამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდერი გამოაცხადა. ხომ გახსოვთ, მთელი გასული წლის განმავლობაში ვსაუბრობდით იმაზე, რომ მერია ხელშეკრულებებს დებდა ისეთ კომპანიებთან, რომელთაც არ გააჩნდათ არანაირი გამოცდილება, შესაბამისად, ვერ ასრულებდნენ ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებებს და იყო დიდი ქაოსი და ა.შ. საერთო ჯამში, დიდ პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ დიდ შეკვეთებს აძლევდნენ აბსოლუტურად გამოუცდელ კომპანიებს, რომლებიც ვერ ასრულებდნენ სამუშაოებს და შედეგად სახეზე იყო უამრავი დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტი.

მას მერე, რაც ნათელი ხდებოდა, როგორ უფორმებდნენ ხელშეკრულებებს, როგორც სატენდეროს, ასევე ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ნათესავ-მეგობრობითა და სხვა მახასიათებლებით, რაც ჩვენისთანა პატარა ქვეყანაში არ იმალებოდა, ტაქტიკა შეცვალეს და ცდილობენ, ეს საკითხი იმით გადაფარონ, რომ ხელშეკრულებები უცხო ქვეყნის მოქალაქეებს გაუფორმონ. სად უნდა ეძიო მერე ეს ხალხი და ამით უნდათ, დაგვიმტკიცონ, რომ მერიაში ნეპოტიზმი არ არის. გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდერი, რომლებზეც ამ ეტაპზე გავამახვილებ ყურადღებას. 2016 წლის 18 იანვარს დაფუძნდა კომპანია – შპს „დელტა“, რომელიც დააფუძნა თურქეთის მოქალაქე ვინმე ჰასან გიულუქმა და თებერვლის დასაწყისიდან ამ შპს-მ 4 ტენდერი მოიგო.

**— რა თანხაზეა საუბარი?**

– საუბარია 347 ათასი ლარის ტენდერზე. იმ დროისთვის, როდესაც ეს კომპანია დაფუძნდა, ტენდერი უკვე გამოცხადებული იყო.

**— რა სამუშაოები უნდა შეასრულოს?**

– ამ კომპანიას ევალება დედაქალაქის მასშტაბით ყვავილების დარგვა-გადარგვა, დეკორაციების გაკეთება.

**— რა გეჩვენებათ ამ ყველაფერში უჩვეულოდ?**

– როგორც აღვნიშნეთ, ჩამოვიდა თურქეთის მოქალაქე, დააფუძნა კომპანია და 2 კვირაში მიიღო ლამის ნახევარი მილიონის ხელშეკრულებები. პირველ ტენდერზე... როდესაც დაიწყო ვაჭრობა, ტენდერი გამოცხადებული იყო 110 ათას ლარზე. ასე ჩათვალა თბილისის მერიამ და შესაბამისად, კომპანიებმა ამ ფასის ირგვლივ დაიწყეს ვაჭრობა. ტენდერში 4 კომპანია მონაწილეობდა, მაგრამ მოიგო შპს „დელტამ“. მერიის მიერ 110 ათას ლარად შეფასებული ტენდერი ამ კომპანიამ მოიგო 39 ათას ლარად.

**— და თუ დაბალი ფასები შესთავაზა მერიას, ალბათ, ასე ულირს ამ კომპანიას და რა არის ამაში ცუდი?**

– ფაქტობრივად, ამ კომპანიამ 60-70%-ით ნაკლებ ფასად მოიგო, ვიდრე ამას მერია აფასებდა. შემდეგ იმ სამ ტენდერში, რომელშიც ამ კომპანიამ მოიგო, სხვა კომპანიებს საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა.

ნახეთ, რა ხდება. პირველი – გამოუცდელმა კომპანიამ პირველივე ტენდერზე ფასი დააგდო 70%-ით, ეს ბადებს გარკვეულ ეჭვებს. არავის არაფერი არ მოუთხოვია ამ კომპანიისთვის, არც საბანკო ანგარიშები, არც რაიმე სახის ხარჯთაღრიცხვა. როგორ შეიძლება, ის საქმე, რომელიც შეფასებულია 110 ათას ლარად, გაკეთდეს 39 ათასად?! და თუ ეს შესაძლებელია, მაშინ რა ხდება, ანგარიში არ იციან თბილისის მერიაში? თუ უარესი – კორუფციასთან გვაქვს საქმე? სამწუხაროა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს გააქვთ ამხელა თანხები. ეს ადამიანი ამ მოგებას ხომ ქვეყნის გარეთ გაიტანს.

მორიგი ტენდერიც უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რამინ ახმედოვს უკავშირდება – საუბარია რუსეთის მოქალაქეზე და მის მიერ საქართველოში დაფუძნებულ კომპანიაზე. სხვათა შორის, თბილისის მერიაში, ბოლო პერიოდში ტენდენციად იქცა, რომ ტენდერებს იგებენ რუსული კომპანიები და შემედგ გამოცდილებაში უთითებენ, რომ თურმე მათ პარტნიორები ჰყავთ რუსეთში.

მერიამ გამოაცხადა ტენდერი საავტომობილო ნიშნების დახაზვაზე. საუბარი იყო 900 800 ლარის ღირებულების ტენდერზე. მილიონიან ტენდერზეა საუბარი. ვაჭრობა არც ამ ტენდერის შემთხვევაში ყოფილა და ასე, უპირობოდ, მოიგო რუსულმა კომპანიამ. ახმედოვმა კომპანია ამა წლის იანვარში დააფუძნა. მანაც 2-3 კვირაში მოიგო მილიონიანი ტენდერი ყოველგვარი ვაჭრობის გარეშე. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კონკრეტულად ამ კომპანიაზე იყო მორგებული სატენდერო პირობები. წარმოუდგენელია, ამ თანხის ოდენობის ტენდერი ცხადდებოდეს და საქართველოში კომპანია არ მოიძებნებოდეს მისი შესრულების მსურველი. აბა, ვცადოთ მე და თქვენ, დავაფუძნოთ კომპანია და ვნახოთ, თუ მოგვაგებინებენ მილიონიან ტენდერს, რაც არ უნდა დავწიოთ ფასები.

**— ვინ დგას ამ კომპანიების უკან?**

– თავისთავად თბილისის მერიის მაღალი თანამდებობის პირები. ამ საკითხებს დაბალ რგოლებში ვერ გადაწყვეტენ.

**— და თუნდაც მერიის მაღალ ეშელონებში შეუძლიათ მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება ისე, თუ უფრო „ზემოდან“ არ ექნებათ ნებართვა?**

– კი, შეუძლიათ და ძალიან თავისუფლადაც. სანამ დრო აქვთ, სხედან და ისქელებენ ჯიბეებს. ამ ყველაფერს უყურებს ბიძინა ივანიშვილი და მიშვებული ჰყავს ნებაზე.

**— კონკრეტულად ვის მოიაზრებთ ამ პირებში?**

– დედაქალაქის მერსა და მის მოადგილეს, რომლებიც სატენდერო კომისიას ხელმძღვანელობენ, საუბარია ლილუაშვილზე, რომელიც შპს „დელტასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას აწერს ხელს. იგივე პიროვნება აწერს ხელს რუსულ კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებასაც. ამ ყველაფერზე ძალიან მარტივად შეუძლია მოკვლევა დაიწყოს მთავარმა პროკურატურამ. კომპანია, რომელიც სატენდერო ფასს 70%-ით დაბლა წევს, ამაზე გამოძიება უნდა დაიწყოს. უნდა დაისაჯოს ის პირი, ვინც ეს ტენდერი გამოაცხადა ასეთ არარეალურ ფასად, ან კიდევ კომპანიის საკითხით უნდა დაინტერესდეს.

ქალაქის მთავრობას არც ქალაქის გამგეობები ჩამორჩებიან და ისინიც სერიოზულ კორუფციულ გარიგებებში არიან შესულები. სამგორის გამგეობაში 960 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება გაუფორმდა ერთ-ერთ კომპანიას, საგზაო მიმართულებით. ეს კომპანიაც ახალი დაფუძნებულია და კომპანიის ისტორიაში არ მოიპოვება არც ერთი ტენდერი. ანუ არაფერი არ უკეთებია ამ დრომდე. ასევე, 855 ათას ლარიანი ტენდერი აქვს მოგებული გლდანში ერთ-ერთ კომპანიას, რომელსაც, ასევე, არ გააჩნია შესაბამისი ისტორია. ამ კომპანიისთვისაც პირველია ეს ტენდერი. გადავამოწმეთ, ვისია ეს კომპანია და მისი მფლობელი აღმოჩნდა ვინმე ელენე მეზურნიშვილი, დაბადებული 1990 წელს. ამ 25 წლის გოგომ მილიონიანი ტენდერი მოიგო გზის მშენებლობაზე. რა იცის ახლა 25 წლის ბავშვმა, რა არის ბიტუმი? ხომ ხვდებით, რომ ამ გოგონას ამოფარებულია ვიღაც, რომელსაც არ სურს გამოჩენა.

117 ათასი ლარის ტენდერი აქვს გამოცხადებული მთაწმინდის რაიონს მოაჯირების გაკეთებაზე. აქაც 50%-ითაა დაკლებული ფასი, რაც წარმოუდგენელია. გამოდის, რომ შეგნებულად აფასებენ მაღალ ფასად, რომ ამით დააბნიონ სხვა კომპანიები და ამ დროს მათთან შეთანხმებული კომპანია დებს რეალურ ფასს და იგებს ეს კომპანია. თუ ამას დაადასტურებს გამოძიება, ეს საჯარო მოხელისთვის გახლავთ საციხო საქმე.

**— რას აპირებთ?**

– მივმართავთ სამართალდამცავ ორგანოებს, დაინტერესდნენ ამ საკითხებით. შეისწავლონ ამ ტენდერებთან დაკავშირებული საკითხები. ამისთვის არსებობს ძალიან ბევრი ფაქტი, დოკუმენტი, მასალა...

**„გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კონკრეტულად ამ კომპანიაზე იყო მორგებული სატენდერო პირობები. წარმოუდგენელია, ამ თანხის ოდენობის ტენდერი ცხადდებოდეს და საქართველოში კომპანია არ მოიძებნებოდეს მისი შესრულების მსურველი“**

## საქართველოს, უკრაინისა და სირიის შემდეგ საფრთხის ქვეშ აზერბაიჯანია — დავითოღლუ რუსეთის გეგმებზე



თურქეთის პრემიერ-მინისტრის აჰმედ დავითოღლუს განცხადებით, რუსეთის ფედერაციამ დაარღვია საქართველოს, უკრაინის, სირიის ტერიტორიული მთლიანობა და ახლა მისი მხრიდან საფრთხის ქვეშ აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობაა. უკრაინული მედიის ინფორმაციით, დავითოღლუმ ეს განცხადება კიევში უკრაინელ კოლეგასთან შეხვედრის დროს გააკეთა:

– რუსული პოლიტიკის ახალი კონცეფცია ექსპანსიისა და აგრესიის გაგრძელებაა. სიტუაცია, რომელიც დაიწყო აფხაზეთში, გრძელდება ყირიმში. ამჟამად არის სამი ქვეყანა, რომლის ტერიტორიული მთლიანობაც დაარღვია რუსეთმა – საქართველო, უკრაინა და სირია, საფრთხის ქვეშაა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობაც, სომხეთის ქმედებების გამო, რომელსაც დახმარებას რუსეთი უწევს, – განაცხადა დავითოღლუმ. (ნიუპოსტი)

## „ეს საარჩევნო სისტემა არის ანტიკონსტიტუციური და დიდ პრობლემებს შეუქმნის ქვეყანას“ — ბოკერია



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო მდივნის გიგა ბოკერიას შეფასებით, ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი საარჩევნო სისტემა არაკონსტიტუციურია და ემსახურება იმას, რომ მმართველ პარტიას არჩევნებში გამარჯვება გაუადვილდეს:

– საარჩევნო სისტემაში მთელი კასკადია პრობლემების. თავისავე საარჩევნო დაპირებას არ ასრულებენ და როგორც ყველაფერ დანარჩენშიც, „გადამგდებები“ არიან საკუთარი ამომრჩევლის, საზოგადოების. ამასთანავე, ახალი საარჩევნო დაყოფა პირდაპირ არის დაყრდნობილი წინა არჩევნების შედეგებზე, სადაც ოპოზიციას ძლიერი პოზიციები ჰქონდა, ის ადგილებია გამქრალი და ეს ყველაფერი დახაზულია ისე, რომ არჩევნებში გამარჯვება გაუადვილდეს მმართველ პარტიას. ისინი ამ გამარჯვებას მაინც ვერ მოახერხებენ, მაინც ყველა შემთხვევაში დამარცხდებიან, მაგრამ ეს სისტემა არის ანტიკონსტიტუციური იმიტომ, რომ არ ეყრდნობა სამართლიან კრიტერიუმებს და ეს დიდ პრობლემებს შეუქმნის ქვეყანას, რადგან ანტიკონსტიტუციური სისტემით შეიძლება, ჩატარდეს არჩევნები ან საერთოდ ვერ ჩატარდეს, – განაცხადა გიგა ბოკერიამ. (ნიუპოსტი)

## ბუტროს ბუტროს გალი გარდაიცვალა



94 წლის ასაკში გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი ბუტროს ბუტროს გალი გარდაიცვალა. ამის შესახებ ინფორმაციას „როიტერი“ ავრცელებს.

ამასთან დაკავშირებით განცხადება კოლეგებს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ვენესუელელმა დიპლომატმა რაფაელ რამირესმა მიაწოდა, რის შემდეგაც გარდაცვლილის ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

ბუტროს ბუტროს გალი გაეროს გენერალური მდივნის თანამდებობას 1992-1996 წლებში იკავებდა.

ბუტროს ბუტროს გალის სახელს უკავშირდება გაეროს სამდივნოს რეფორმირება და მშვიდობის მხარდასაჭერი პრევენციული ოპერაციების კონცეფციის შემუშავება. ის ერთადერთი გენერალური მდივანია, რომელმაც ამ თანამდებობაზე მხოლოდ ერთი ვადით იმუშავა. (ინტერპრესნიუსი)

მარიკა არღვლიანი
551 81-55-88



## ზიკას ვირუსი რუსეთიდან საქართველოში შემოვა?






„როსპოტრებნადზორის“ ინფორმაციით, რუსეთში ზიკას ვირუსით დაინფიცირების პირველი შემთხვევა დაფიქსირდა.

ამ ამბავს სოციალურ ქსელში საკმაოდ დიდი შეშფოთება მოჰყვა – ბევრი წერს, რომ ვირუსი საქართველოს უკვე საკმაოდ საშიშ მანძილზე მოუახლოვდა.

**არის თუ არა საგანგაშო საქართველოსთვის ზიკას ვირუსის უკვე რუსეთში გამოჩენაც? „ალია“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს ამირან გამყრელიძეს** ესაუბრა:

– რუსეთში ერთი შემთხვევა დაფიქსირდა მხოლოდ და ეს ერთეული შემთხვევა არ ნიშნავს, რომ იქ ზიკას ვირუსი გავრცელდა. თეორიული შესაძლებლობა, რომ ყველა ქვეყანაში იქნას შეტანილი ეს ვირუსი, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ საქართველოში არ გვაქვს ისეთი ხშირი მიმოსვლა სამხრეთ აფრიკის იმ ქვეყნებთან, სადაც ეს ვირუსია გავრცელებული... თუმცა ვიმეორებ, თეორიულად შესაძლებელია, რადგან ჩვენთან შავი ზღვისპირეთში ზიკას ვირუსის გადამტანი კოლო არსებობს, როგორც არსებობს რუსეთის შავიზღვისპირეთში და რა თქმა უნდა, თუ ადამიანი დასნებოვნებული შემოვიდა, თეორიულად შესაძლებელია, რომ კოლომ ერთი ადამიანიდან მეორე ადამიანზე გადაიტანოს...

**— მსოფლიოს 21 ქვეყანაში უკვე გამოვლინდა ზიკას ვირუსით დაავადების შემთხვევები, ახლა კი აღმოჩნდა, რომ მას რუსეთშიც შეუღწევია. სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა ამ საკითხს...**

– ზიკა ხანმოკლე ინფექციაა და საგრძნობ საფრთხეს მხოლოდ ფეხმძიმობისას წარმოადგენს, ამიტომ ორსულთათვის მგზავრობა ენდემურ კერებში ან ისეთ ზონებში, სადაც დაფიქსირებულია ეს ვირუსი – არ არის მიზანშეწონილი. ვირუსის გავრცელება ხორციელდება კოლოს ნაკბენით. ყველაზე გავრცელებულ სიმპტომებად ითვლება ცხელება, გამონაყარი, ჩაწითლებული თვალები, ტკივილი სახსრებში და კონიუნქტივიტი. ამ დაავადებას ხშირ შემთხვევაში მსუბუქი მიმდინარეობა ახასიათებს. ვირუსი დაინფიცირებული ადამიანის სისხლში რამდენიმე დღე რჩება, სიკვდილიანობა კი იშვიათად ფიქსირდება. ჯერჯერობით არ არსებობს ვაქცინა ან მედიკამენტი ზიკას ვირუსის პრევენციისთვის. სიმპტომების მკურნალობისთვის მედიკოსები დაავადებულს ურჩევენ, მიიღოს ბევრი სითხე, არ გადაიტვირთოს, ტკივილისა და ციების საწინააღმდეგოდ მიიღოს აცეტამინოფენის შემადგენლობის მედიკამენტები, აკრძალულია ასპირინისა და არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების მიღება, მაგალითად, იბუპროფენის. საქართველოში ლაბორატორიულად დიაგნოსტიკის საშუალება გვაქვს, თუ საეჭვო შემთხვევა დაფიქსირდა.

**— „როსპოტრებნადზორის“ ყოფილი ხელმძღვანელი — გენადი ონიშენკო აცხადებს, რომ ეჭვი აქვს, თითქოს ამერიკელების მიერ კოლოების გამიზნული დაინფიცირება ხდება ზეკას ვირუსით.**

– ონიშენკომ ეგეთი რამეც თქვა? არ წამიკითხავს... ლუგარის ლაბორატორიაზე კი აკეთებდა პოლიტიკურ განცხადებებს, მაგრამ არა მგონია, ასეთი განცხადება გაეკეთებინა და თუ მართლა თქვა ბოდიში და ონიშენკოს... არა, ბატონო, ამერიკელებს არ გამოუგონიათ ზიკას ვირუსი, ზიკას ვირუსი პირველად დაფიქსირდა აფრიკაში და იქიდან გავრცელდა. ასე რომ, ეს არის აბსურდული განცხადება.

## „მოჭიდავეებისთვის უცნობია, საიდან მოხვდა მათ ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი“



ანტიდოპინგური სამსახურის ხელმძღვანელ პავლე კასრაძის თქმით, ვინაიდან სპორტსმენები არ ადასტურებენ აკრძალული პრეპარატების მიღებას, ავსტრიულ ლაბორატორიაში დამატებითი კვლევა ჩატარდება.

– როდესაც ხდება სინჯის აღება, სინჯი იყოფა ორ ნაწილად, „ა“ სინჯად და „ბე“ სინჯად. თუ „ა“ სინჯის შედეგებს არ ეთანხმება მხარე ან საეჭვოს ხდის, ამ შემთხვევაში ტარდება შემოწმება უკვე „ბე“ სინჯის. თუ „ბე“ სინჯში არ აღმოჩნდა რაიმე დარღვევა, „ა“ სინჯიც ანულირდება, ხოლო თუ აღმოჩნდა დარღვევა, შესაბამისად, ხდება „ა“ სინჯში აღმოჩენილი დარღვევის დადასტურება. ვინაიდან სპორტსმენები არ ალიარებენ და მათთვის საეჭვოა შედეგები, ავსტრიულ ლაბორატორიას, სადაც კვლევა ჩატარდა, მივმართავთ წერილით, რომ „ბე“ სინჯის გამოკვლევა მოხდეს, – განაცხადა კასრაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## „$m^2$ უძრავი ქონება“ კომფორტული ცხოვრების შესაძლებლობას ყველასთვის ხელმისაწვდომს ხდის




„$m^2$ უძრავი ქონება“ ბინის შეძენისას მსურველს მასზე მორგებულ გადახდის პირობებს სთავაზობს. სრულიად ახალი აქციის – 10/90-ის ფარგლებში ბინის შეძენის მსურველს შესაძლებლობა აქვს, შეარჩიოს სასურველი ბინა $m^2$-ის საცხოვრებელ კომპლექსებში და მშენებლობის განმავლობაში ყოველთვიურად თანაბარი შენატანებით ბინის ღირებულების მხოლოდ 10 პროცენტი დაფაროს. დარჩენილი 90 პროცენტი კი გადაიხადოს საცხოვრებელი კომპლექსის დასრულებიდან 3 თვის შემდეგ. ეს 3 თვე მობინადრეს შეუძლია ძველი ბინის გაყიდვისთვის გამოიყენოს.

1-ლი მარტიდან ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა ექნება, შეიძინოს ბინა საცხოვრებელ კომპლექსებში „ოპტიმა ისანი“ და „$m^2$ იპოდრომთან 2“ დანაზოგისა და სესხის გარეშე.

**„$m^2$ უძრავი ქონების“ დირექტორმა, ირაკლი ბურდილაძემ მომხმარებლის მოთხოვნიდან გამომდინარე, მათთვის ვისაც ძველი ბინის ახლით შეცვლა სურს, გადახდის სრულიად ახალი პირობების შესახებ ისაუბრა:**

– $m^2$ თავის ტრადიციას აგრძელებს და კლიენტებს ინოვაციურ და შემიძლია გითხრათ – სენსაციურ პროდუქტს სთავაზობს. ჩვენს მომხმარებლებს ძალიან აქტიურად ვუსმენთ და შესაბამისად, ბუნებრივია, შემდეგ ჩვენი პროდუქტების აგება და განვითარება ამ სურვილებზე ხდება. ერთ-ერთი ასეთი სურვილი, რომელიც ძალიან ბევრი კლიენტისგან ისმოდა შემოსულ ზარებსა თუ შეხვედრებში, იყო ის, რომ ბევრს სურს ბინის შეძენა, მაგრამ დანაზოგი არ აქვს. ზოგს საკმარისი შემოსავალი არ აქვს, მაგრამ ბინას ძველ აშენებულ კორპუსში ფლობს, რომელიც გარკვეული ღირებულებისაა და შეუძლია გაყიდოს. ასევე, კლიენტს კი ჰქონდა ჩვენი ბინის შეძენის სურვილი, მაგრამ ბინის დასრულებამდე სადღაც ხომ უნდა ეცხოვრა?

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დავიწყეთ აქცია და მომხმარებელს სრულიად ახალ გადახდის პირობებს ვთავაზობთ. მაგალითისთვის, მას, ვისაც სურს მშენებარე საცხოვრებელ კომპლექსში „$m^2$ იპოდრომთან 2“ შეიძინოს 49,903 აშშ დოლარის ღირებულების ბინა, მარტიდან 30 თვის განმავლობაში ყოველთვე გადაიხდის მხოლოდ 167 აშშ დოლარს, ხოლო დარჩენილ თანხას დაფარავს საცხოვრებელი კომპლექსის დასრულებიდან 3 თვის შემდეგ. ამ 3 თვეში კი შესაძლებლობა ექნება, ძველი ბინა გაყიდოს. ძველი კორპუსიდან კი ახალ, თანამედროვე პროექტის ბინაში გადავიდეს და საცხოვრებელი პირობები გაიუმჯობესოს.

**— რა არის საჭირო იმისთვის, რომ მსურველებმა ამ აქციაში ჩართვა შეძლონ?**

– მხოლოდ პირადობის მოწმობა და სურვილი, შეიძინო ბინა „ოპტიმა ისანი“ და „$m^2$ იპოდრომთან 2“-ში. აღსანიშნავია, რომ ზოგადად, მსგავსი ინოვაციის შეთავაზება მხოლოდ იმ კომპანიას შეუძლია, რომელსაც ფინანსური მდგომარეობაც საკმაოდ ჯანსაღი აქვს. $m^2$-ს წინა პროექტებმა და წარმატებულმა გაყიდვებმა საშუალება მისცა, ჭარბი ლიკვიდურობა დაეგროვებინა. ამას დაემატა ისიც, რომ $m^2$-მა ხელი მოაწერა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC) 23 მილიონი დოლარის დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებას. ამ თანხიდან 15 მილიონი დოლარი $m^2$-ის ანგარიშზე უკვე გადმოირიცხა. ეს თანხა ჭარბ ლიკვიდურობას დაემატა და ამან კომპანიას კლიენტებისთვის უნიკალური პროდუქტის შეთავაზების საშუალება მისცა.

*დარინა ქამადაძე*



## ეკა ბესელია — პირველად არ გვესმის, რომ სააკაშვილი ჩანაწერებს აკეთებდა ყველაზე, ვინც მისთვის მიუღებელი იყო



– პირველად არ გვესმის, რომ სააკაშვილი ჩანაწერებს აკეთებდა ყველაზე, ვინც იყო აქტიური და მისთვის მიუღებელი, – ამის შესახებ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ იმ ინფორმაციაზე კომენტირებისას განაცხადა, რომლის თანახმადაც მთავარმა პროკურატურამ მისი პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გავრცელების მცდელობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

ბესელიას თქმით, ამ საქმის კონკრეტულ გარემოებებს არ იცნობს, თუმცა საქმეებთან მიმართებაში, რომლებიც არ ექვემდებარება საჯარო გახმაურებას, არსებობს კანონით გათვალისწინებული წესები, რომლებიც ყველამ უნდა დაიცვას.

– 18 000-ზე მეტი ფაილია, რომელზეც ათასობით უკანონო ჩანაწერი არსებობს. დიდი ნაწილი, რაც დარჩენილი იყო, განადგურებულია, მაგრამ თავიდანვე გამოითქვა ვარაუდი, რომ ძალიან ბევრი მასალა ყოფილი თანამშრომლების მხრიდან გატანილია. შესაბამისად, ყველა ეს ქმედება არის დასჯადი. ის, რომ სააკაშვილი ასეთი ტიპის ჩანაწერებს აკეთებდა ყველაზე, ვინც იყო აქტიური და მისთვის მიუღებელი, მე მგონი, პირველად არ გვესმის, – განაცხადა ბესელიამ.

მთავარმა პროკურატურამ ეკა ბესელიას პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გავრცელების მცდელობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო, – ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გოგაძემ განუცხადა.

– პროკურატურაში გამოძიება დაიწყო. რა ეტაპზეა, ამაზე არ მაქვს ინფორმაცია. რეაგირება იქნება უმკაცრესი, რადგან ეს არის ამაზრზენი და ამორალური დანაშაული. ისტორიამაც აჩვენა, რომ ჩვენ ამ დანაშაულის მიმართ ვიქნებით უმკაცრესი, – განაცხადა გიორგი გოგაძემ.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მოქალაქე გელა ღურწკაია დააკავა. ღურწკაიას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 და 157-ე მუხლებით წაუყენეს, რაც პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ გამოყენება-გავრცელებას გულისხმობს. კერძოდ, ღურწკაია მედიით ეკა ბესელიას პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების გავრცელებას ცდილობდა. (ინტერპრესნიუსი)

## რატომ არ აღიძრა საქმე ირაკლი ოქრუაშვილზე, როცა „ომეგას" დარბევისას გენპროკურორი ის იყო?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37





საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 2004 წელს ტელეკომპანია „იბერიის" დახურვისა და სამაუწყებლო ლიცენზიის ჩამორთმევის საქმე გახსნა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ყოფილი გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი და მისი პირველი მოადგილე გიორგი ლაცაბიძე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ. ირივე მათგანს ბრალი 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წაუყენეს (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება. ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე). გამოძიების შედეგად დადგენილია, რომ 2004 წლის იანვრის თვეში, საქართველოს ახლად არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათ შორის გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა გადაწყვიტეს, ხელში ჩაეგდოთ „ომეგა ჯგუფის" კუთვნილი ტელეკომპანია „იბერიას ტვ"-ს სამაუწყებლო ლიცენზია, რათა ტელევიზია ხელისუფლების მიერ ყოფილიყო კონტროლირებადი. ამ მიზნით, შემუშავდა გეგმა, რომლის განხორციელებაც საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა და მისმა მოადგილემ გიორგი ლაცაბიძემ ითავეს.

„ომეგა ჯგუფის" ყველა ოფისში, მათ შორის ტელეკომპანია „იბერიაშიც" განლაგდნენ სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრები, დალუქეს კომპანიის ინვენტარი, პროდუქცია და მომუშავე პერსონალი შენობებიდან გამოყარეს, რამაც შედეგად გამოიწვია ტელეკომპანია „იბერიის" და გაზეთ „ახალი ეპოქის" საქმიანობის შეწყვეტა და წარმოების გაჩერება 2004 წლის შემოდგომაზე, გიორგი ლაცაბიძემ გენერალურ პროკურატურაში დაიბარა „ომეგა ჯგუფის" წარმომადგენელი ლევან აღდგომელაშვილი, რომელსაც „ომეგა ჯგუფის" კომპანიების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან შექმნილი პრობლემების მოგვარებისა და კომპანიის ტერიტორიიდან სპეციალური დანიშნულების რაზმის გაყვანის სანაცვლოდ „იბერია ტვ"-ს სამაუწყებლო ლიცენზიის დათმობა კატეგორიულად მოსთხოვა. ვინაიდან ხსენებული პირობის შესრულება „ომეგა ჯგუფის" ბიზნესის გადარჩენის და საქმიანობის გაგრძელების ერთადერთი გზა იყო, კომპანიის წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ, თანხმობა განეცხადებინათ ტელეკომპანიის სამაუწყებლო ლიცენზიის დათმობის მოთხოვნაზე და მოგვიანებით ამის შესახებ გიორგი ლაცაბიძეს აცნობეს.

ამის პარალელურად, ზურაბ ადეიშვილმა თავისთან დაიბარა იმჟამინდელი ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე დიმიტრი ქიტოშვილი და აცნობა, რომ ტელეკომპანია „იბერია ტვ" ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებდა, რის გამოც ტელეკომპანიას მაუწყებლობა უნდა შეწყვეტოდა, ხოლო მაუწყებლობის ლიცენზია ხელისუფლების კონტროლქვეშ მოქცეულიყო, რა მიზნითაც დიმიტრი ქიტოშვილს უნდა უზრუნველეყო წილების დათმობისა და გადაფორმების იურიდიული პროცედურები და მოეძებნა სანდო პირი, რომელსაც ლიცენზიას გადასცემდნენ.

პროკურატურის მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, 2004 წლის 7 დეკემბერს, ლევან აღდგომელაშვილი და „იბერია ტვ"-ს დამფუძნებლები დაიბარეს კოსტავას ქუჩაზე მდებარე სანოტარო ბიუროში ნოტარიუს ნუნუ გინტურთან, სადაც ხელი მოაწერეს დიმიტრი ქიტოშვილის მიერ წინასწარ მომზადებულ დოკუმენტებზე, რომლის თანახმადაც შპს „იბერია ტვ" გაიყო ორ სუბიექტად და სამართალმემკვიდრეებად გამოცხადდნენ შპს „ტელეკომპანია აისი" ტელელიცენზიის ნაწილში, რომელსაც გადაეცა №702 საეთერო საერთო ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზია და შპს „იბერია ტვ", რომელსაც გადაეცა დანარჩენი ქონება. აღნიშნულის შედეგად, „ტელეკომპანია აისის" დირექტორი, 100% წილის მფლობელი და შესაბამისად, ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზიის მესაკუთრე გახდა დიმიტრი ქიტოშვილის მეგობარი დავით კაკაურიძე, ხოლო შემდეგ – ბიძინა ნიჟარაძე.

2007 წლის 12 სექტემბერს, ზურაბ ადეიშვილის მითითებით, დიმიტრი ქიტოშვილმა ტელეკომპანიის ლიცენზია საკუთარი მეგობრის ბიძინა ნიჟარაძისგან ფიქციური ხელშეკრულებით ზურაბ ადეიშვილთან დაკავშირებულ პირზე იოსებ მგელაძეზე გადააფორმა, რომელმაც, თავის მხრივ, 2012 წლის 21 თებერვალს იგი შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპ"-ს გადასცა და ლიცენზია კვლავ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირის გიორგი არველაძის ხელში აღმოჩნდა.

ტელეკომპანია „იბერიის" ოფისში, ერთდროულად, ფინანსური პოლიციის სპეცრაზმი და ირაკლი ოქრუაშვილს დაქვემდებარებული პროკურატურის სპეცრაზმი, 2004 წლის 19 თებერვალს ერთდროულად შეიჭრნენ და „ომეგა ჯგუფის" პარალიზება მოახდინეს. დიახ, ამ დროს კი გენპროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი გახლდათ. ჩავიხედე მის ბიოგრაფიაში და გენპროკურორად ოქრუაშვილი 2004 წლის 14 იანვარს დაინიშნა და ამავე წლის ივნისამდე ამ პოსტზე მუშაობდა. მოკლედ, „იბერიაში" შეჭრა, „ომეგა ჯგუფის" ქონების დაყადაღება, ტელეკომპანია „იბერიის" მაუწყებლობის შეწყვეტა, მაშინდელი მედიის ინფორმაციით, სწორედ ოქრუაშვილის ბრძანებით ხდებოდა. სიტყვიერი იყო ეს ბრძანებები თუ ოფიციალური, ეს გამოძიებამ უნდა გაარკვიოს. ფაქტი ის არის, რომ მაშინ „იბერიაში" მიმდინარე ამ პროცესების შესახებ, კომენტარებს გენპროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი აკეთებდა.

როგორც ზაზა ოქუაშვილის მეგობარი, ირაკლი ბათიაშვილი აცხადებს, რომ ზაზა ოქუაშვილისთვის ბიზნესის წართმევისა და „იბერიის" დახურვის საქმეზე, თავადაც დაჰკითხეს, რადგან ის მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდა ამ ფაქტების შესახებ. ასევე, ბათიაშვილი ოქუაშვილის საქმეში სავარაუდო დამნაშავეებად ასახელებს გელა ბეჟუაშვილსა და სააკაშვილის დედას, გიული ალასანიას. ასევე, მისივე თქმით, დაიკითხა ბრიტანეთის იმჟამინდელი ელჩი საქართველოში და ის დაზარალებული მხარის, ანუ ზაზა ოქუაშვილის მოწმეა.

სავარაუდოდ, ზურაბ ადეიშვილი შემდეგ ჩაერთო ზაზა ოქუაშვილისთვის ტელეკომპანიის წართმევის პროცესში, მაგრამ „იბერიის" რბევა-განადგურება ირაკლი ოქრუაშვილმა დაიწყო. ახლა რა ხდება? ოქრუაშვილი 7 თვე იყო გენპროკურორი და ამ 7 თვეში რაც ხდებოდა „იბერიაში" იმას პროკურატურამ ხაზი გადაუსვა და 7 თვის შემდეგ დანიშნულმა ზურაბ ადეიშვილმა უნდა აგოს ყველაფერზე პასუხი? სპეცრაზმელის ფორმაში გამოწყობილი ოქრუაშვილი ტელევიზიით ბრძანებას რომ გასცემდა „იბერია"-„ომეგა ჯგუფის" ოფისში და ყველაფერს თავად განკარგავდა, ეს ყველაფერი მოგველანდა? კი, მაგრამ, ამის დამადასტურებელი ჩანაწერები არსებობს სხვადასხვა ტელეკომპანიების არქივში და იმათ სად გაექცევიან ან ოქრუაშვილი, ან მთავარი პროკურატურის დღევანდელი ხელმძღვანელები? ძალაუნებურად, კაცს შთაბეჭდილება გრჩება, რომ პროკურატურა ხელს აფარებს ოქრუაშვილს და საქმის გახსნა უკვე „იბერიის" წილების ძალად გასხვისებიდან დაიწყო, ვინ და როგორ მიიყვანა აქამდე საქმე, ამის შესახებ კი გამოძიება არაფერს ამბობს.

მედიით გავრცელებული ინფორმაციით, ზაზა ოქუაშვილისა და ირაკლი ოქრუაშვილის დაპირისპირება გორში, 2003 წლის არჩევნების წინ დაიწყო. ორივე გორელები არიან. ზაზა ოქუაშვილი და მისი მეუღლე, ედუარდ შევარდნაძის პროპორციული სიაში იყვნენ და „ვარდების რევოლუცია" რომ არ მომხდარიყო, ორივე დეპუტატი გახდებოდა. ირაკლი ოქრუაშვილი კი გორში „ნაცმოძრაობის" მაჟორიტარი კანდიდატი იყო. ცხადია, გორში გავლენის მოსაპოვებლად ორივენი თავისი პოლიტიკური გუნდისთვის იბრძოდა და სწორედ ამის გამო დაიძაბა მათი ურთიერთობა. ირაკლი ოქრუაშვილმა გორში არჩევნები მოუგო, ამას „ვარდების რევოლუცია" მოჰყვა და ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობა" მოვიდა. პირველ ეტაპზე, ოქრუაშვილი გენპროკურორი გახდა თუ არა, ზუსტად 1 თვეში დაესხა თავს მის ბიზნესებსა და „იბერიასაც" – 2004 წლის 14 იანვარს გახდა გენპროკურორი და 13 თებერვალს შევარდა „იბერიაში".

საინტერესოა, გამოეპარა ოქრუაშვილის ავკაცობა პროკურატურას? ირაკლი ბათიაშვილი ოფიციალურად აცხადებს, მეც და ზაზა ოქუაშვილიც დაგვკითხესო. ორივემ ოქრუაშვილის წინააღმდეგ მისცა ჩვენება და საინტერესოა, რატომ არ არის მის წინააღმდეგ გამოძიება დაწყებული? ანდა, ამ ჩვენებას თავი დავანებოთ. ირაკლი ოქრუაშვილის სავარაუდო დანაშაულის დამადასტურებელი ჩანაწერები არსებობს და პროკურატურას თუ სიმართლის გარკვევა სურს, შეუძლია, ქართული ტელეკომპანიების არქივებში მოიძიოს ეს მასალები. შესაძლოა, პროკურატურა ხელს აფარებს ირაკლი ოქრუაშვილს. ეს თუ ასეა, ეს შერჩევითი სამართალი გახლავთ. თუ ირაკლი ოქრუაშვილს არ დასჯიან, „ნაცმოძრაობის" წევრები განაცხადებენ, რომ პროკურატურა მათი ერთ-ერთი ყოფილი ლიდერის ზურაბ ადეიშვილის შერჩევით დევნას ახორციელებს და მართლებიც იქნებიან. როგორ, სავარაუდო დანაშაულის 7-თვიანი პერიოდი გამოტოვო, ირაკლი ოქრუაშვილის გენპროკურორობის ხანას გვერდი აუარო და ზურაბ ადეიშვილი როცა დაინიშნა ამ პოსტზე და ჩაერთო საქმეში, იქიდან დაიწყო გამოძიება, ეს აბსურდია და მეტი არაფერი. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე და პროკურატურამ ირაკლი ოქრუაშვილსაც მოჰკითხოს, მაგრამ ვატყობ, ამ საქმეს ისეთი პირი უჩენს, „ნაციონალები" ამ საქმიდან ამოვარდნილი ოქრუაშვილის ფაქტორით, აქაც მოუგებენ პროკურატურას საქმეს და საგარეოდ ხომ სერიოზული კოზირი იშოვეს – საზღვარგარეთ პოლიტიკურ და მედიატრიბუნას არ გამოტოვებენ, რომ ხელისუფლების მიერ „ნაცმოძრაობის" ლიდერების შერჩევითი სამართლებრივი დევნის ახალ ფაქტზე საათობით არ ილაპარაკონ.

აღდგომა და ხვალეო, გამოჩნდება, ოქრუაშვილის წინააღმდეგაც დაიწყება თუ არა გამოძიება. მანამდე კი პროკურატურის ქმედება და ის ყველაფერი, რაც მოგახსენეთ, იმის საფუძველს, რომ გამოძიება ოქრუაშვილს მისწვდება, ნამდვილად არ გვაძლევს, რადგან ფაქტებისა და ლოგიკის საფუძველზე, ბრალი, სავარაუდოდ, ირაკლი ოქრუაშვილისთვისაც უნდა წაეყენებინათ.

**„ოქრუაშვილი 7 თვე იყო გენპროკურორი და ამ 7 თვეში რაც ხდებოდა „იბერიაში" იმას პროკურატურამ ხაზი გადაუსვა და 7 თვის შემდეგ დანიშნულმა ზურაბ ადეიშვილმა უნდა აგოს ყველაფერზე პასუხი? სპეცრაზმელის ფორმაში გამოწყობილი ოქრუაშვილი ტელევიზიით ბრძანებას რომ გასცემდა „იბერია"-„ომეგა ჯგუფის" ოფისში და ყველაფერს თავად განკარგავდა, ეს ყველაფერი მოგველანდა?"**

## საქართველო-ირანს შორის პირდაპირი ავიამიმოსვლა დაიწყება



საქართველოსა და ირანს შორის, სავარაუდოდ, პირდაპირი ავიამიმოსვლა დაიწყება. როგორც ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში უკვე შესულია ირანული ავიაკომპანიის განაცხადი, რომელიც განხილვის პროცესშია.

– ეს, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს იმ ტურისტული ნაკადის შემოსვლას, რომელიც ჩვენ ძალიან გვჭირდება. არის დარჩენილი რამდენიმე საბუთი, რომელიც ავიაკომპანიას აქვს შემოსატანი და როგორც კი შემოიტანს, ვფიქრობთ, დაბრკოლება არ იქნება და ძალიან მალე გავცემთ ნებართვას, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მისივე თქმით, ფრენების განრიგი აეროპორტთან ახლა თანხმდება. (პირველი რადიო)

## არადა, ჯერ კიდევ 2013 წელს ამბობდა ღარიბაშვილი, რაფალიანცის საქმეზე „სერიოზული და ახალი გარემოებები" გამოიკვეთაო



– არც ერთი ქვეყანა არ მახსენდება, სადაც დანაშაული 100 პროცენტით გაიხსნება. დედამიწაზე არ არსებობს ისეთი ქვეყანა, რომელიც ყველა ტიპის დანაშაულს გახსნის, – ამის შესახებ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ ჟურნალისტებს ბარბარე რაფალიანცის საქმესთან დაკავშირებით განუცხადა.

– სამწუხაროა, რომ დღემდე ვერ მოხდა ამ დანაშაულის გახსნა, თუმცა, როდესაც ეს დანაშაული მოხდა, თითქმის 2 თვის განმავლობაში, ძალოვანი უწყებები იყო „ნაციონალური მოძრაობის" ხელში. პირველადი კვალი და მტკიცებულებები გამოძიებას ობიექტურად რომ წარემართა, ვფიქრობ, შედეგი შესაძლოა, აქამდეც დამდგარიყო. ეს ერთ-ერთი ის საქმეა, რომელიც ვერ დასრულდა. ჩვენც ვისურვებთ, რომ ამ საქმეზე ყველა პასუხი იყოს დღეს, მაგრამ არ არის, – აღნიშნა ბესელიამ. (ipress.ge)

## რუსეთი და ოპეკის ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ ნავთობის მოპოვების მოცულობას არ გაზრდიან



რუსეთი და ოპეკის ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ ნავთობის მოპოვების მოცულობას არ გაზრდიან და შავ ოქროს იმ მოცულობით მოიპოვებენ, რა მოცულობაც 11 იანვრისთვის დაფიქსირდა.

„ბლუმბერგის“ ინფორმაციით, შესაბამის შეთანხმებას მხარეებმა ყატარის დედაქალაქ დოჰაში გამართულ შეხვედრაზე მიაღწიეს, სადაც ერთმანეთს რუსეთისა და ოპეკის ქვეყნების ენერგეტიკის მინისტრები შეხვდნენ.

აღნიშნული გადაწყვეტილება ნავთობის ფასის შემცირების შეჩერებისკენ არის მიმართული.

როგორც „ბიბისი“ წერს, დღეის მონაცემებით, „ბრენტის“ მარკის 1 ბარელი ნავთობის ღირებულება 35 აშშ დოლარს აღემატება. შავი ოქროს ფასის ზრდა სწორედ დოჰაში მიღებულმა გადაწყვეტილებამ განაპირობა. (ინტერპრესნიუსი)

## „დანაშაულია იმის თქმა — ჩვენი გამომუშავებული დენი რა უფლებით უნდა მივაწოდოთ აფხაზეთსო“



„ენგურჰესის“ წყალსაცავში წყლის დონის კლების გამო აფხაზეთს ელექტროენერგიის გარეშე დარჩენა ემუქრება. ამის შესახებ აფხაზური მედია წერს. დეფიციტის შესახებ ინფორმაცია ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემაც დაადასტურა. მისი თქმით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო პრობლემის მოგვარებაზე მუშაობს.

რამდენად დგას საფრთხის წინაშე აფხაზეთის ელექტროენერგიით მომარაგება, კომენტარი ენერგეტიკოს გია არაბიძეს ვთხოვეთ:

– „ენგურჰესის“ წყალსაცავში წყლის დონის კლება აფხაზებისთვის მართლაც დიდი პრობლემაა და ამით მართლაც შეექმნებათ ელექტროენერგიის დეფიციტი. პრაქტიკულად შეუძლებელია მათ რუსეთიდან მიიღონ ენერგია. კი, არსებობს სოჭის 220-იანი გადამცემი, თუმცა აქედან ელექტროენერგიის მიღება ძალიან პრობლემატური იქნება, შეიძლება ითქვას, შეუძლებელიც კი. ამიტომ ერთადერთი ალტერნატივა რჩება საქართველო.

**— ანუ გამოდის აფხაზური და ქართული მხარე მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა დასხდნენ?**

– დიახ, ეს აუცილებელია და ეს უნდა იყო წმინდად ენერგეტიკოსების მოლაპარაკების საგანი, რადგან აფხაზებთან სრული გაგება და ურთიერთობა მხოლოდ ენერგეტიკის სფეროში გვაქვს. ჩვენ, ამ საქმის სპეციალისტები, ძალიან იოლად ვსაუბრობთ ერთმანეთთან. სწორედ ამიტომ უნდა იყოს ეს მოლაპარაკებაც ენერგეტიკოსებს შორის და თუ აფხაზურ მხარეს რამე პრობლემა ექმნება, ჩვენ მათ უნდა დავეხმაროთ. აფხაზეთი ჩვენი ქვეყნის ისეთივე ნაწილია, როგორც იმერეთი და თუ იმერეთს აქვს ელექტროენერგიის პრობლემა, უარი უნდა ვუთხრათ დახმარებაზე?!

**— ამ თემის პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანა რამდენად სწორი იქნება?**

– თუ ჩვენ ამას პოლიტიკას მივაბამთ სიტუაციას დავძაბავთ და ეს იქნება ძალიან ცუდი! ჩვენ, ენერგეტიკოსები, პოლიტიკის გარეშე ძალიან კარგად ვურთიერთობთ და თემის პოლიტიზება ამ ურთიერთობას აუცილებლად გააფუჭებს. ერთ მაგალითს გეტყვით – როცა ჩვენ აფხაზეთიდან წამოვედით და როცა აღარაფერი არ ფუნქციონირებდა, ერთადერთი რამ, რაც მუშაობდა, იყო საბერიოში მდგარი „ენგურჰესის“ სადგური, სადაც თანამშრომელთა 99 პროცენტი ქართველი იყო. ერთი წუთითაც არ გაჩერებულა ეს სადგური და აფხაზურ მხარეს არავითარი პრობლემა არ შეუქმნია მათთვის. დანაშაულია იმის თქმა – ჩვენი გამომუშავებული დენი რა უფლებით უნდა მივაწოდოთ აფხაზეთსო. აუცილებლად უნდა მივაწოდოთ, რადგან ეს ჩვენი ტერიტორიაა!

**— ენგურზე წყლის დეფიციტი, მთლიანი ქვეყნის ენერგოსისტემაზე თუ მოახდენს გავლენას?**

– ჩვენ ამ ყველაფრის დაბალანსების საშუალება გვაქვს, რადგან გარდაბანში აშენდა 340 მეგავატიანი თბოელექტროსადგური, გარდა ამისა, სრული დატვირთვით იმუშავებს სხვა სადგურებიც. იმუშავებს მესამე, მეოთხე ბლოკები და ასე შემდეგ. ასე რომ ჩვენ გვაქვს საშუალება და რეზერვები, რომ ეს დეფიციტი შევავსოთ. რასაკვირველია, ეს ყველაფერი „ენგურჰესის“ მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიაზე გაცილებით ძვირი იქნება, მაგრამ ჩვენი ვალია ეს დავარეგულიროთ. (ambebi.ge)

## კახეთში 20 000 ცხვარი უწყლობის გამო კვდება



მეცხვარეები დახმარებას ითხოვენ – კახეთში 20 ათასი ცხვარი უწყლობის გამო კვდება. ტერიტორია, სადაც ფარაა დაბანაკებული, აზერბაიჯანს ესაზღვრება, პრობლემა კი, ადგილობრივების ინფორმაციით, მეზობელმა ქვეყანამ შექმნა, რომელმაც უკვე ერთი თვეა წყალი გადაკეტა.

ადგილობრივები აღნიშნავენ, რომ გასულ წელს დაცული ტერიტორიების სააგენტომ სამუხის ველზე წყლის მომარაგების სისტემა მოაწყო, თუმცა მანძილის გამო მწყემსები მას ვერ იყენებენ.

ასოციაცია „თუში მეცხვარის“ თავმჯდომარემ თამაზ მუთაზაშვილმა განაცხადა, რომ გამოსავალი საკითხის მხოლოდ დიპლომატიურად მოგვარებაშია.

„მოამბესთან“ საუბარში სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატმა განაცხადა, რომ ეს მათ კომპეტენციაში არ შედის. (ნიუპოსტი)

მაგთი MAGTI 4G LTE

ისარგებლეთ თქვენი 4G ტელეფონის შესაძლებლობათა მაქსიმუმით!

მაგთიკომმა საქართველოში საუკეთესო მე-4 თაობის ქსელი გამართა, რათა კიდევ უფრო სწრაფი მობილური ინტერნეტმომსახურებით უზრუნველყოს საკუთარი მომხმარებელი: კომპანიამ ყველა 4G სადგურზე ორჯერ გაზარდა მონაცემთა გადაცემის გამტარუნარიანობა, რაც ინტერნეტის თეორიულ მაქსიმალურ სიჩქარეს წამში 150 მეგაბიტამდე ზრდის. დღეისათვის მაგთიკომს, საქართველოში მოქმედ მობილურ ოპერატორებს შორის, ყველაზე მეტი 2G/3G/4G საბაზო სადგური აქვს (კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2015 წლის მე-3 კვარტლის მონაცემებით). ამას მე-4 თაობის ინტერნეტის უკვე ორჯერ გაზრდილი სიჩქარეც დაემატა, რის შედეგადაც მომხმარებელი მაგთიკომისგან იღებს საუკეთესო ქსელს, ხარისხსა და ინტერნეტის სიჩქარეს.

**იმისათვის, რომ ისარგებლოთ მაგთიკომის ქსელის ყველა უპირატესობით, აუცილებელია, თქვენს მეოთხე თაობის სმარტფონში მოთავსებული იყოს ახალი თაობის 4G სიმ-ბარათი.**

**თუ ჯერ არ გამოგიცვლიათ ბარათი, ნუ გადადებთ!**
მობრძანდით მაგთის ნებისმიერ ოფისში, შეცვალეთ სიმ-ბარათი და მიიღეთ უსწრაფესი ინტერნეტი და მომსახურების საუკეთესო ხარისხი.

www.magticom.ge

11 00 11 ნებისმიერი ქსელიდან
მაგთიკომის ქსელიდან ზარი უფასოა

## ოზურგეთის სოფლის მოსახლეობას მგლები შეესია — დაგლეჯილია ათამდე საქონელი



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კონჭკათში მოსახლეობას მგლები შეესია

ადგილობრივების ინფორმაციით, სოფელში მგლებმა ათამდე საქონელი დაგლიჯეს. ისინი აცხადებენ, რომ სოფელში მტაცებელი ცხოველები სისტემატურად ჩნდებიან.

მოსახლეობის თქმით, ნადირთა თავდასხმები უშუალოდ დასახლებულ პუნქტში ხდება.

კონჭკათელები ხელისუფლებას დახმარებას სთხოვენ, თუმცა, უშედეგოდ – ამ დრომდე მთავრობას ამ მიმართულებით არანაირი ზომები არ მიუღია. (ნიუპოსტი)

## გუგავა: ,,მაფიოზა“ კალაძეს გადაწყვეტილი აქვს, ხელოვნურად გააკოტროს კახეთის ენერგოდისტრიბუცია



კახეთში ელექტროენერგიის ტარიფზე სუბსიდირების შეწყვეტას აპროტესტებს „ლეიბორისტული პარტიის“ წევრი გიორგი გუგავა. „ლეიბორისტები“ კახეთში, ელექტროენერგიაზე დაბალი ტარიფის შენარჩუნებას ითხოვენ.

– მაფიოზა კალაძეს გადაწყვეტილი აქვს, ხელოვნურად გააკოტროს კახეთის ენერგოდისტრიბუცია და ხელში ჩაიგდოს ოფშორული კომპანიების მეშვეობით. მივმართავთ ხელისუფლებას, კეთილი ინებონ, აღადგინონ ძველებური დაფინანსება და შეუნარჩუნონ მოსახლეობას დაბალი ტარიფი დენზე, სხვა შემთხვევაში, „ოცნების“ ხელისუფლების მსხვრევა პირველად სწორედ კახეთიდან დაიწყება, – განაცხადა გუგავამ. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

რა დაუმალეთ საზოგადოებას? – ამ კითხვით მიმართა „არჩევანის“ სტუდიაში მყოფმა „ფორბს ჯორჯიას“ რედაქტორმა გიორგი ისაკაძემ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს.

როგორც ისაკაძემ აღნიშნა, სებ-ის პრეზიდენტი კრიზისიდან გამოსვლის რეკომენდაციებს არ იძლეოდა.

პროფესიული სპორტი დავუთმოთ ფედერაციებს, ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტი კი გადავცეთ ან განათლების სამინისტროს ან თავდაცვის სამინისტროს, როგორც არის შვეიცარიაში ან ავსტრიაში. ასევე, კულტურის სამინისტრო, რომელიც არის პრაქტიკულად საბჭოთა გადმონაშთი, – აცხადებს გიორგი ქადაგიძე.

კომერციული ბანკების როლი ლარის დევალვაციისა და გაღარიბებული მოსახლეობის პირობებში – ეს ერთ-ერთი მთავარი შეკითხვაა რომელიც მოსახლეობას აწუხებს.

საკითხის კომენტირებისას გიორგი ქადაგიძემ აღნიშნა, რომ ბანკებმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინონ ქვეყნის მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემა.

– მათ მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინონ მსესხებლების მდგომარეობა და გააკეთონ სხვადასხვა რესტრუქტურიზაცია და გრაფიკი გაუკეთონ მსესხებლებს. თუმცა არის რაღაცა ზღვარი, რომელსაც ბანკები ვერ გადალახავენ. თუ ვინმე იტყვის, რომ მსესხებლის ყველა აპლიკაცია დაკმაყოფილებული უნდა იყოს, ეს იქნება პოპულისტური და არარეალისტური განცხადება, – აღნიშნა ქადაგიძემ.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მცირე და საშუალო ბიზნესში არსებულ პრობლემებსაც შეეხო.



## სამინისტროების გაუქმებით მილიონობით ლარს დავზოგავთ — რომელ უწყებებს უწოდა ქადაგიძემ საბჭოთა გადმონაშთი

– თუ საუბრობთ იმაზე, სად შეიძლება ბიუროკრატიის შემცირება და რა უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით, საქართველო დღეს 19 სამინისტროს მიერ იმართება, რომ არაფერი ვთქვათ სიპ-ებზე. ვფიქრობ, შესაძლებელია, გაუქმდეს ყველა უპორტფელო სამინისტრო უკლებლივ. მაგალითად, ევროინტეგრაციის სამინისტრო გაუქმდეს და როგორც დეპარტამენტი, შეუერთდეს საგარეო საქმეთა სამინისტროს. მაგალითად, სასჯელაღსრულების სამინისტრო, რომელიც არ გხვდება თითქმის არც ერთ ევროპულ ქვეყანაში. ასევე, სპორტის სამინისტრო, რომელიც მთლიანად შეგვიძლია, გავაუქმოთ.

– მინდა მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ კონკრეტული გამონაკლისების გარდა, მსხვილ ბიზნესსა და მსხვილ ბიზნესმენებს არასდროს ჰქონიათ კომუნიკაციის პრობლემა მთავრობასთან. პრობლემა იყო მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელთა ხმაც არ ისმოდა. პრობლემა გაღრმავდა 2008 წლის ომისა და ფინანსური კრიზისის შემდეგ – 2009 წელს. ჩვენ არ გვესმოდა საკმარისად საშუალო და მცირე ბიზნესის ხმა, ეს, რა თქმა უნდა, იყო ხელისუფლების პრობლემა და დღესაც, ჩვენ ყველაზე ნაკლებად ვუსმენთ მცირე და საშუალო ბიზნესს, – აღნიშნა ქადაგიძემ. (ნიუპოსტი)

## პოროშენკომ იაცენიუკს გადადგომისკენ მოუწოდა, სააკაშვილი კმაყოფილია



უკრაინის პრეზიდენტის პეტრე პოროშენკოს მოწოდებას პრემიერ არსენ იაცენიუკისადმი, რომ გადადგეს, ოდესის ოლქის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი ეხმაურება. სააკაშვილის თქმით, უმაღლესმა რადამ რაც შეიძლება მალე უნდა დაითხოვოს მთავრობა.

– ნამდვილი ლიდერი გამოირჩევა უნარით, გადამწყვეტ მომენტში თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა და მიიღოს მკვეთრი გადაწყვეტილებები. პრეზიდენტმა პოროშენკომ დაამტკიცა, რომ ამ თვისებებს ფლობს. ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უმაღლესი რადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდეს და მიიღოს პრეზიდენტის მოწოდებები, გაათავისუფლოს მთავრობა, რომელიც ქვეყნის მომდევნო განვითარების მთავარ დამაბრკოლებლად იქცა. დღეიდან, იაცენიუკის კაბინეტში გაჩერება ყოველდღიურად დაამძიმებს ეკონომიკას და ზოგადად ქვეყნის მომავალს, – წერს სააკაშვილი „ფეისბუკზე“.

შეგახსენებთ, რომ უკრაინის პრეზიდენტმა, პეტრე პოროშენკომ ქვეყნის პრემიერ არსენი იაცენიუკსა და გენერალურ პროკურორ ვიქტორ შოკინს გადადგომისკენ მოუწოდა. მისი თქმით, საჭიროა კაბინეტის სრული განახლება. (news.ge)

# გოგირდის აბანოებს წყალი გაუქვირეს!

## ,,ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერის“ მიერ განსაზღვრულმა ტარიფმა ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა

ძველი თბილისის ტურისტული და კულტურული ცენტრი შეიძლება საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. გოგირდის აბანოების მეპატრონეების განცხადებით, აბანოთუბანში განთავსებულმა ექვსმა აბანომ: „ჭრელი აბანო“, „ბახმარო“, „ნარიყალა“, „ჯორჯიან სპა“, „შაკო“, შესაძლოა, ფუნქციონირება შეწყვიტოს. ამის მიზეზი კი, მათი განცხადებით, „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერის“ მიერ დადგენილი ახალი ტარიფია. აბანოების მეპატრონეებმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნეს, რომ სემეკის მიერ განსაზღვრული მაქსიმალური ტარიფის 90 თეთრის დადგენა მოხდა. მეწარმეების განცხადებით, ისინი აღნიშნულ ტარიფს ვერ გადაიხდიან.

– ეს გახლავთ სავსებით სპეციფიკური ბიზნესი. „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერის“ მიერ განსაზღვრულმა ტარიფმა ყოველგვარ გონივრულ ზღვარს გადააბიჯა. აქამდე ჩვენ პატიოსნად ვიხდიდით იმ ტარიფს, რომელიც იყო დადგენილი და არავითარი პრობლემა არ გვქონია, გადასახადებს დროულად ვიხდიდით.

„ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერში“ მოხდა მენეჯმენტის ცვლილება და ამის შემდეგ მოხდა ჩვენთვის გაუგონარი ტარიფის – 90 თეთრის დადგენა. გადასახადი არაგონივრულად გაგვიზარდეს. ჩვენ ასევე შევხვდით სემეკის წარმომადგენლობას, მაგრამ ვერანაირ შედეგს ვერ მივაღწიეთ. ასევე, ვითხოვდით, რომ „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერთან“ შემდგარიყო მოლაპარაკება და ამ გზით მიგვეღწია შეთანხმებისთვის, მაგრამ მათ სასამართლოს გზა არჩიეს. სასამართლო პროცესი 5 მაისს არის ჩანიშნული, – აცხადებს შპს „ნარიყალას“ **დირექტორი ნოდარ ტოტოღაშვილი.**

**გოგირდის აბანოების მეპატრონეები აცხადებენ, რომ, გოგირდის აბანოს მუშაობის პრინციპიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც აბანოში მომხმარებელი არ იმყოფება, წყლის გადაკეტვა შეუძლებელია, რადგანაც**




**საუბარია ბუნებრივ, მიწიდან ამოსულ გოგირდის თბილ წყალზე. წყლის გადაკეტვის შემთხვევაში კი, როგორც გარემოს დაცვის სამინისტრო ადასტურებს, შესაძლებელია, მოხდეს გოგირდის წყლის დაკარგვა და პრობლემები შეექმნას თვითონ ქაბურღილს.**

**გურამ თედიაშვილი**, **„ჭრელი აბანოს“ დირექტორი:**

– ათასი კუბური მეტრი თბილი წყალი ნამდვილად ამოდის მიწიდან და ნამდვილად ილვრება, მაგრამ ჩვენ ვერ ვაძლევთ ამ წყალს სხვა მიმართულებას, ეს იქნება ბუნების მოვლენაში კორექტივების შეტანა და ჩარევა, ამიტომ ვერ ხდება ამ ქაბურღილის გადაკეტვა, ეს წყალი ბუნებრივად მოედინება. სანამ ახალი ტარიფის დადგენა მოხდებოდა და ეს იქნებოდა 90 თეთრი, მანამდე ვიხდიდით 10-15 თეთრს. დაახლოებით ეს ტარიფი იყო 2015 წლის თებერვლამდე და ეს იყო ფიქსირებული გადასახადი. მაქსიმალური ტარიფი არის სემეკის დადგენილებით 90 თეთრი და სწორედ ამ თანხის დადგენა მოხდა, რასაც ჩვენ ვერანაირად ვერ გადავიხდით, რადგან ეს ყოველგვარ გონივრულ გადასახადს სცილდება. ამიტომ გვინდა ვთხოვოთ სახელმწიფოს, რომ მიიტანოს გულთან ახლოს ჩვენი პრობლემა, რადგან აქ საუბარია სპეციფიკურ ბიზნესზე და მოხდეს გონივრული გადასახადის დადგენა. მივმართეთ ყველა შესაბამის სახელმწიფო უწყებას, მაგრამ პასუხი, სამწუხაროდ, ვერ მივიღეთ, გარდა ბატონი გია ჟორჟოლიანისა, რომელიც გახლავთ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, მან ეკონომიკის სამინისტროსთან გადაგვამისამართა, ეკონომიკის სამინისტროში გვქონდა შეხვედრა, მაგრამ შედეგი ვერ მივიღეთ. ჩვენ ვერანაირად ვერ გადავიხდით დადგენილ ტარიფს, ეს უბრალოდ შეუძლებელია. ვერ მოვემსახურებით ამ ტარიფს. მაგალითად, „ჭრელი აბანო“ ფიქსირებულ გადასახადს იხდიდა და ეს იყო 810 ლარი. ეს არის დაღვრილი ცხელი წყლის გადასახადი. ჩვენ არავითარი პრეტენზია არ გვაქვს ცივ წყალზე, რომლის მაჩვენებლის აღებაც ჩვეულებრივ მრიცხველიდან ხდება და შესაბამისად ვიხდით კიდეც.

დღე-ღამეში 20-30 ტონა წყალი უნდა ავზებს და წარმოიდგინეთ ერთი თვის განმავლობაში ეს რამდენი იქნება. ამ ეტაპზე „ჭრელი აბანო“ გაჩერებულია, სარემონტო სამუშაოებიდან გამომდინარე, მაგრამ ერეკლეს აბანო მუშაობს. ვერ გავიგე, ეს ცხელი წყალი ქაბურღილზე დაიღვრება თუ აბანოში, რა მნიშვნელობა აქვს? ეს აგვიხსნან. ვულკანური სისტემაა, წარმოიდგინეთ წყალმა ამოხეთქა და მოდის, ეს როგორ უნდა გადავკეტოთ? ეს შეუძლებელია. თუ ჩვენ ჩავერევით ხელოვნურად, შეიძლება საერთოდ გოგირდის წყლის გარეშე დავრჩეთ.

**გოგირდის აბანოების მეპატრონეები აცხადებენ, რომ ისინი ბოლომდე იბრძოლებენ და თუ სასამართლო მათ საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას მიიღებს, მაშინ ზედა ინსტანციაში გაასაჩივრებენ:**

– ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ, ყველა ინსტანციას მივადგებით და სამართალს მაინც ვიპოვით. რადგან შეუძლებელია, ასე უსამართლოდ მოგვექცნენ. თუ ასე გაგრძელდება, მაშინ მომხმარებელსაც გაეზრდება ტარიფი, ამაზეც ხომ უნდა იფიქრონ. ჩვენთან მოდიან სხვადასხვა სოციალური ჯგუფები, პენსიონერთა კავშირის, სამამულო ომის ვეტერანები. სხვადასხვა ორგანიზაციები, რომელთაც უფასოდ ვემსახურებით.

2008 წელს დევნილებს ვემსახურებოდით, ჩვენი ტრანსპორტით მოგვყავდა ეს ხალხი, აბანოში შედიოდნენ. „ჭრელი აბანო“ და „ნარიყალა“ ერთ დღეში 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დევნილ დაახლოებით 700-800 ადამიანს ემსახურებოდა, – ამბობს **ნოდარ ტოტოღაშვილი,** „ნარიყალას“ დირექტორი.

## უჩა ნანუაშვილი: „მე და საზოგადოება“ განათლების ეროვნულ მიზნებსა და საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთებას სრულად შეესაბამება



საქართველოს სახალხო დამცველი საგნის – „მე და საზოგადოება“ სწავლების შესახებ განცხადებას ავრცელებს:

– ბოლო პერიოდში მრავალი ვნებათაღელვა გამოიწვია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულმა ახალმა საგანმა „მე და საზოგადოება“, რომელიც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, I-IV კლასებში უნდა ისწავლებოდეს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ამ საგნის სწავლების მიზნები: მოსწავლეს ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობა და მზრუნველი დამოკიდებულება საკუთარი თავის, ოჯახის, თემის, ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ, სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთებას.

სახალხო დამცველი პოზიტიურად განიხილავს სასწავლო გეგმის შინაარსს, რომლის მიხედვითაც, ამ საგანმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეში შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების გამომუშავებას, აღმოჩენებისა და სიახლის ძიების მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას; ჰუმანური ღირებულებებისა და კულტურული მრავალფეროვნებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას...

საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციას უწევს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ამ საგნის მეშვეობით არა მხოლოდ გაამყაროს შემწყნარებლობის ტრადიცია, რომელიც უცხოს, განსხვავებულის ატანას გულისხმობს, არამედ კიდევ უფრო გააძლიეროს ტოლერანტობის კულტურის განვითარება და ამაღლება სკოლებში და ეს აქტივობები ტოლერანტობის პრინციპთა „იუნესკოს“ დეკლარაციას (1995 წლის 16 ნოემბერი) დააყრდნოს, რომლის მიხედვითაც, „ტოლერანტობა მსოფლიოს კულტურათა მდიდარი მრავალფეროვნების, თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების შესაძლებლობათა პატივისცემა, მიღება და მართებული გაგებაა. მას ხელს უწყობს ცოდნა, ღიაობა, ურთიერთობა და აზრის, სინდისისა და შეხედულებათა თავისუფლება. ტოლერანტობა თავისუფლებაა მრავალფეროვნებაში, ეს მარტო მორალური ვალი კი არა, პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნაცაა, რომელიც ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლას განაპირობებს, – ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში. (პირველი რადიო)

# რა მოხდა ისანი-სამგორის პოლიციაში?



## რაში ამხელს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე პოლიციელებს?




ნინო ლაბარტყავა

571 99-92-33


**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი ადვოკატთა საქმიანობაში ხელის შეშლის მორიგ ფაქტზე საუბრობს.**

**რა მოხდა ისანი-სამგორის პოლიციაში? რა მოთხოვნით მიმართავს მთავარ პროკურორს? რატომ მიჩუმათდა ლევან მურუსიძის თემა? რატომ ადანაშაულებს ბიძინა ივანიშვილს სააკაშვილის „გაპრავებაში“?**

**„ალიას“ ზაზა ხატიაშვილი ესაუბრა:**

– ადვოკატი, რომელიც ცდილობს, მოიპოვოს ყველანაირი ინფორმაცია და დაამტკიცოს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი არის უდანაშაულო, პროკურატურა და შსს-ს ორგანოები ყველანაირად ცდილობენ, უდანაშაულო ადამიანი ციხეში გამოკეტონ, ოღონდაც ადვოკატმა არ დაადასტუროს, რომ მისი კლიენტის წინააღმდეგ არაკანონიერი ზომები ხორციელდება. თუ, მაგალითად, ადვოკატი ითხოვს კონკრეტული პოლიციელების დასჯას, პროკურატურა 7-8 თვის განმავლობაში ყველანაირად ცდილობს, ხელი დააფაროს სავარაუდო დამნაშავე პოლიციელებს და არ იძიებს აღნიშნულ საქმეს. ეს კონკრეტული საქმე არის დადასტურება იმისა, რომ ადვოკატი, რომელიც ყველანაირად ცდილობს, დაამტკიცოს თავისი კლიენტის უდანაშაულობა, აღმოჩნდა ზეწოლის ობიექტი. წინა წლის დაახლოებით ივლისში, ამ ადვოკატმა მიმართა მთავარ პროკურორ ბადაშვილს საჩივრით, სადაც მიუთითებს, რომ მისი კლიენტის წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა ძალიან ცუდ ფაქტს და ეს ფაქტი აღწერილია საჩივარში. საქმე ეხება კონკრეტულ პიროვნებას, ნოდარ დათუნაშვილს და მის ინტერესებს იცავს ადვოკატი ლავრენტი სუხიშვილი. როდესაც აღნიშნულმა ადვოკატმა დაიწყო დათუნაშვილის დაცვა და მას შეხვდა, დათუნაშვილი უყვება, რომ ისანი-სამგორის სამმართველოს მე-5 განყოფილების პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ჩადენილია დანაშაულებრივი ქმედებები – ამავე განყოფილების უფროსის მოადგილე შოთა ჯანგირაშვილმა ტაქსიდან გადმოიყვანა დათუნაშვილი, გაჩხრიკა, რა დროსაც წაართვა მისი კუთვნილი, ნაგროვები თანხა – 750 ლარი. ადვოკატმა წარმომიდგინა თავისი საჩივარი მთავარი პროკურორის სახელზე და დათუნაშვილის განცხადება, ეს ხდება ივლისში. ამის შემდეგ ადვოკატი ითხოვს, რომ ამ ფაქტს მიაქციონ ყურადღება და გამოიძიონ. ასევე, ადვოკატი აცხადებს, რომ ისანი-სამგორის პროკურატურაში უხეშად ირღვეოდა მისი უფლებები, რადგან ის ამბობდა, რომ პოლიციის თანამშრომლებმა ჩაიდინეს მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ გარკვეული დანაშაული, უჩიოდა ისანი-სამგორის პროკურატურას მთავარ პროკურორთან. შემდეგ ხდება ის, რაც საქართველოში არის, ფაქტობრივად, დადგენილი პრაქტიკა: მთავარი პროკურატურიდან საქმე გადაიგზავნა თბილისის პროკურატურაში, შემდეგ თბილისის პროკურატურიდან მისი საჩივარი გადაიგზავნა ისანი-სამგორის პროკურატურაში და იმ პროკურორს დაეწერა, ვის მოქმედებასაც ეს ადამიანი ასაჩივრებდა. როდესაც დათუნაშვილი ხელმეორედ დააკავეს და ადვოკატმა გამოძიება დაიწყო, ყოველთვის დიდ ბარიერებს აწყდებოდა. ბოლოს ადვოკატმა მოიპოვა მტკიცებულება და დაჰკითხა ერთ-ერთი მოქალაქე, რომელიც ადასტურებდა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ განხორციელდა ძალადობრივი ქმედებები.

ადვოკატმა სასამართლოში წარადგინა მტკიცებულებები და პოლიციელებმა ნახეს, რომ მათი საქმე შეიძლება დამძიმებულიყო, ადგნენ და ის ადამიანი, ვინც ადვოკატს გამოკითხვის ოქმზე ხელი მოუწერა, დაკითხეს, რომელიც ამბობს, რომ მას არ წაუკითხავს, რაზე მოაწერინა ადვოკატმა ხელი. ფაქტობრივად, მოუნდომეს ადვოკატს დაკითხვა, რომ მან ჩვენება მისცეს და ამ საქმეს ჩამოაცილონ. ეს არის საადვოკატო საქმიანობაში ხელის შეშლა.

**„სანამ საზოგადოება არ მიხვდება იმას, რომ მურუსიძის დანიშვნით ბიძინა ივანიშვილმა მოსპო საქართველოში სამართლიანი სასამართლო და სანამ სამოქალაქო საზოგადოება არ მიხვდება, რომ თავისი ხმა ახლა არჩევნებზე არ უნდა გაყიდოს იმ ადამიანზე, რომელიც ჯერ კიდევ სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოყვანილ მურუსიძეს გადაეფარა, მარტო ხატიაშვილი და თქვენ ვერაფერს ვერ იზამთ“**

გირგვლიანის საქმეს ხომ აფრიალებდნენ, აი, ეს ჩაიდინა სააკაშვილის რეჟიმმაო და თვითონ რომ მოვიდნენ, მესამე წელია, უკვე ხელისუფლებაში არიან და ადვოკატებმა ვერ მივაღწიეთ იმას, რომ იმ ადამიანს არ დააწერონ გამოსაძიებლად საქმე, რომელსაც კონკრეტული ადვოკატი უჩივის.

ყოველდღიურ ცხოვრებაში არის ძალიან ცუდი საყურებელი ის, რომ აშკარად ცდილობენ, უდანაშაულო ადამიანი გამოკეტონ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ეს არის მარაზმი! როდესაც ადვოკატი ამართლებს ადამიანს და ადასტურებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს ნარკოტიკი ჩაუდეს ან სცემეს, არ მომხდარა საქართველოს ისტორიაში ის, რაც ახლა ხდება – ამ ადამიანებს აწინაურებენ.

ვერ მივაღწიეთ იმას, რომ დანაშაულის ჩამდენი ადამიანი დაისაჯოს, პირიქით, პროკურატურა მთლიანად არის გადაფარებული ამ დამნაშავე პოლიციელებზე. სანამ ადამიანები არ დაიწყებენ თავისი უფლებების დაცვას ქუჩაში და სანამ რაღაც უბედურება არ მოხდება, ხომ შეიძლება, რომ საქმეზე ჩატარდეს ეფექტური გამოძიება?

**— ბოლო პერიოდში რომელიმე პოლიციელი თუ დასჯილა ადვოკატების საქმიანობაში ხელის შეშლისთვის?**

– ეს არის სახელმწიფო პოლიტიკა და რომელ პოლიციელს დასჯიან იმისთვის, რომ ადვოკატს ხელი შეუშალა? ერთადერთი, რასაც მივაღწიეთ, ადვოკატ გიორგი მდინარაძის მწამებელი, ვაკის ერთ-ერთი განყოფილების პოლიციის უფროსი, დაჯდა საბრალდებო სკამზე, თუმცა ორი თვე იჯდა და მოსამართლემ აღმკვეთი ღონისძიება შეუცვალა. აქ რა არის, იცით? ეს ადამიანები ამბობენ, – მე მინდა ასე მოვექცე ჩემს მოქალაქეს და ბიძინა ივანიშვილი, რომელიც მოვიდა დაპირებით, რომ ეს ყველაფერი დამთავრდებოდა, ეს ისევ ხდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, უბრალოდ, მე ვიგებ მაშინ, როდესაც ამ ნაწამებ ადამიანს ადვოკატსაც აყოლებენ ზედ. მდინარაძე რომ მივიდა და არასრულწლოვანს განუმარტა მისი უფლებები და ის დააბეს და აწამეს, ადვოკატს რომ ამას უკეთებ, თქვენ ახლა წარმოგიდგენიათ, რა ხდება? რაც ხდებოდა სააკაშვილის რეჟიმის დროს – წამება, არაადამიანური, არაჰუმანური მოპყრობა, იგივე გრძელდება ერთი-ერთზე, ერთადერთი ისაა, რომ ციხეებში ადამიანებს არ აუპატიურებენ და ესეც, ალბათ, დროის ამბავია და ამასაც დაიწყებენ.

**— როგორც მახსოვს, ადრე თქვენ გქონდათ შეხვედრა ევროპის ადვოკატთა ასოციაციასთან, რის შემდეგაც, თქვენი თქმით, ადვოკატებზე ზეწოლის ფაქტები, ასე თუ ისე, შემცირებული იყო.**

– როდესაც მე ევროპის ადვოკატთა ასოციაციაში გავახმაურე ფაქტები, რომ ადვოკატებს სცემდნენ და გაუპატიურებით ემუქრებოდნენ, ეს მდგომარეობა რაღაცნაირად შერბილდა. დღეს ადვოკატებს ვეუბნები, ჩვენება არ მისცეთ და უთხარით, რომ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე გეუბნებათ, რომ იმ საქმეზე, სადაც ხართ ადვოკატი, ჩვენება არ მისცეთ. რამდენიმე ადვოკატის დაკითხვა უნდოდათ, აქცია მოვაწყვე და ჩავუშალე ის პროცესი, მაგრამ ყველგან მე ხომ ვერ მივალ, არა? მიუხედავად იმისა, რომ ბევრგან ამას მივაღწიე, ისანი-სამგორის რაიონი ხდება აულებელი ციხესიმაგრე. მე მივმართე მთავარ პროკურორს და მოვითხოვე ამ კონკრეტულ საქმეში გამომძიებელ ქუქჩიშვილზე სისხლის სამართლის დევნის დაწყება. ამ საქმეს მე ასე არ დავტოვებ და ბოლომდე მივყვები, რომ ეს პოლიციელები დაისაჯონ.

**— თქვენ განაცხადეთ, სანამ ლევან მურუსიძე მოსამართლე იქნება, არ გავჩერდებიო. თითქოს, ცოტა მიჩუმათდა ეს თემა.**

– იცით, რა არის? სამოქალაქო საზოგადოება მიეჩვია სხვისი ხელით საქმის კეთებას, რასაც მე ვუყურებ, ანუ პროცესების მიმართ ინერტული გახდა. გამოდის, რომ ეს მურუსიძე თურმე მარტო მე, ჟურნალისტებსა და 50-მდე არასამთავრობოს გვაღელვებს. ფაქტობრივად, საზოგადოება სეირის მაყურებლად გადაიქცა. სანამ საზოგადოება არ მიხვდება იმას, რომ მურუსიძის დანიშვნით ბიძინა ივანიშვილმა მოსპო საქართველოში სამართლიანი სასამართლო და სანამ სამოქალაქო საზოგადოება არ მიხვდება, რომ თავისი ხმა ახლა არჩევნებზე არ უნდა გაყიდოს იმ ადამიანზე, რომელიც ჯერ კიდევ სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოყვანილ მურუსიძეს გადაეფარა, მარტო ხატიაშვილი და თქვენ ვერაფერს ვერ იზამთ. ჩავატარე აქციები, ისევ ვაპირებ აქციების ჩატარებას და გამოვიდა ეს გულბოროტი ივანიშვილი და მურუსიძეზე განაცხადა, რომ რეჟიმის მსხვერპლია. როდესაც, თითქმის, წარმატებას მივაღწიეთ და მთელი პოლიტიკური სპექტრი გავაერთიანეთ, სამოქალაქო საზოგადოება დავრაზმე, მოქმედების გეგმა დავსახეთ, რომ მურუსიძეები სასამართლო სისტემას უნდა მოშორდნენ. ამ დროს გამოდის ეს გულბოროტი კაცი და ამბობს, მურუსიძეს თავი დაანებეთო და როგორც კი ეს თქვა, თითქმის, ყველა ადამიანი, ვინც მანამდე მურუსიძის დანიშვნას აპროტესტებდა, გაბრუნდა და თქვა, – მურუსიძე სისტემის მსხვერპლიაო... გახსოვთ თქვენ, ფოტორეპორტიორების საქმეზე 35-50 კაცი დავდიოდით, თქვენი რედაქტორის, ბრეგვაძის ჩართულობით, მაგრამ 50 ისეთი შემართული ქართველი ვიყავით, რომ სააკაშვილის რეჟიმმა უკან დაიხია. აი, ეს მუხტი უნდა დაბრუნდეს, ხალხო.

ყველა მტკიცებულება გვაქვს, რომ ივანიშვილი ოქტომბერში მოვიდა და ნოემბერში სააკაშვილის რეჟიმთან იყო გარიგებული. ფაქტობრივად, ბიძინა ივანიშვილმა გაათეთრა სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი ძალიან ბევრი დანაშაული. მე მაინც ბრძოლის იმედს არ ვკარგავ, ფოტორეპორტიორების საქმეზე 50 კაცმა მოვიტანეთ პირველი ოქტომბრის გამარჯვება, რომელიც ივანიშვილმა იყნოსა, სააკაშვილის რეჟიმი რომ მთავრდებოდა და საჭირო დროს საჭირო ადგილას გაჩნდა და დაინახა, რომ ხალხის წამებით მოპოვებული სულისკვეთება ჯიბეში კარგად უნდა ჩაედო, ამიტომ ჩემთვის ივანიშვილი არაფრით არ განსხვავდება სააკაშვილისგან.

## თურქეთში საქართველოს მოქალაქე მოკლეს




თურქული მედიის ინფორმაციით, თურქეთში, ქალაქ მალათიას ერთ-ერთ რაიონში საქართველოს მოქალაქე მოკლეს. მოკლულია 39 წლის მირიან ბოგვარაძე, რომლის ცხედარიც მიტოვებულ სახლში იპოვეს. გარდაცვლილს ჭრილობა თავის არეში აქვს მიყენებული. მედიის ცნობით, ამავე სახლში აღმოჩენილია მოპარული ნივთები. (პირველი რადიო)

## „გრიპის ვირუსის პიკი უკვე გადავლილია, თუმცა ეს არ გვაძლევს დამშვიდების საფუძველს“



დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ გრიპის ვირუსთან დაკავშირებით სიტუაცია დამშვიდებისკენ მიდის, ვირუსის პიკი გადავლილია, თუმცა მისივე თქმით, ეს დამშვიდების საფუძველს არ იძლევა და თებერვალში გრიპის შემთხვევები კიდევ იქნება.

– გრიპის ვირუსის პიკი იყო მიმდინარე წლის მეოთხე კვირა, როცა 100 000 მოსახლეზე 357 დადასტურებული შემთხვევა გვქონდა. მეხუთე კვირაში დაიწია მაჩვენებელმა და უკვე 100 000 მოსახლეზე 310 შემთხვევა დაფიქსირდა. რაც შეეხება მეექვსე კვირას, უკვე დაფიქსირებულია 284 შემთხვევა. სტაციონარში მიმართვიანობა შემცირებულია, თუმცა ეს არ გვაძლევს დამშვიდების საფუძველს. თებერვალში გრიპის შემთხვევები კიდევ იქნება, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის განმარტებით, H1N1-ის, ე.წ. ღორის გრიპის ვირუსით გარდაიცვალა 15, ხოლო H3N2-ის ვირუსით – 1 ადამიანი.

– ყველა გავრცელების შემთხვევა იყო ქრონიკული დაავადების ფონზე. ძირითადი მიზეზი იყო დაგვიანებული მიმართვიანობა. შეიძლება ითქვას, რომ პიკი უკვე გადავლილია, თუმცა გრიპის დასაწყის სიმპტომებში აუცილებლად უნდა მიმართოთ ოჯახის ექიმს, ან სამედიცინო დაწესებულებას. ადრეულ ეტაპზე დაწყებული მკურნალობა გამოჯანმრთელების გარანტიაა. ყველა გარდაცვალების შემთხვევა სწორედ დაგვიანებულმა მკურნალობამ განაპირობა, – განმარტა ამირან გამყრელიძემ. (პირველი რადიო)

## ქობულეთში მამამ 4 წლის შვილზე იძალადა



4 წლის ბავშვის მამა, რომელმაც შვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, ქობულეთის შს სამმართველოში დაიკითხა.

არსებული ინფორმაციით, ბავშვი სასტიკადაა ნაცემი. მცირეწლოვნის მამა სოციალურ მუშაკთან და სამართალდამცავებთან ერთად ბათუმის სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში ჰყავდათ გადაყვანილი.

წინასწარი ინფორმაციით, ბავშვს სისხლჩაქცევა ორივე ბარძაყსა და თავის მიდამოებში აღენიშნებოდა.

შს სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც 1-დან 3 წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს. (kvira.ge)

## რუსეთი უკრაინიდან დევნილების ციმბირში გადასახლებას გეგმავს



რუსეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა სახელმწიფო სათათბიროს „კომუნისტური პარტიის“ ფრაქციის წევრების ინიციატივას, რომელიც უკრაინელი ლტოლვილების ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთში გადასახლებას ითვალისწინებს. ამის შესახებ გაზეთი „იზვესტია“ იუწყება.

ამ ინფორმაციის მიხედვით, ლტოლვილების გადასახლება ნებაყოფლობითი უნდა იყოს. რუსეთის აღმოსავლეთის განვითარების სამინისტრომ საკუთარი პოზიცია უკვე გააცნო ფედერალურ მიგრაციულ სამსახურს. შესაბამის რეგიონებში 2020 წლამდე 50 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნება.

– ლტოლვილების ჩასახლების ადგილებია: ბურიატიის რესპუბლიკა, იმიერბაიკალეთი, კამჩატკა, პრიმორსკის ოლქი, ხაბაროვსკის მხარე, ამურის ოლქი, ირკუტსკის ოლქი, მაგადანის ოლქი, სახალინის ოლქი და ებრაელთა ავტონომიური ოლქი, – ნათქვამია აღმოსავლეთის განვითარების სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

უკრაინის ლტოლვილების გადასახლების იდეის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ეს პროცესი ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის განვითარებას ხელს შეუწყობს. (kvira.ge)

# „პროკრედიტ ბანკი“ საქართველოს ბაზარს ტოვებს?

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33



**„ალია“ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დაუკავშირდა და დაინტერესდა, იცოდნენ თუ არა მათ „პროკრედიტ ბანკიდან“ თანამშრომლის ერთი უწყინარი ფრაზის — „ღმერთმა დაგლოცოს“ გამო განთავისუფლების შესახებ და თუ იცოდნენ, რატომ არ აქვთ ამ დრომდე რეაქცია?**

**რელიგიის სააგენტოში გვიპასუხეს, რომ მართალია, მათ იციან ეს კონკრეტული ამბავი, მაგრამ პროცესში მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერთვებიან, რაც სააგენტოს ამის შესახებ ოფიციალურად მიმართავენ.**

**და ამას აცხადებს უწყება, რომელსაც ხელფასს ჩვენ ვუხდით, რიგითი მოქალაქეები, თუმცა რა ხეირი?! თუ ვინმე დაგჩაგრავთ, ჩაგწიხლავთ, სამსახურიდან დაგითხოვთ ყოვლად გაუმართლებელი მიზეზით, სანამ განცხადებით არ მიმართავთ, მანამდე თითსაც არ გაანძრევენ. მაგრამ დიდი ალბათობით, არც ოფიციალურ მიმართვას მოჰყვება რაიმე სერიოზული შედეგი.**

**„ალიას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი ესაუბრა:**

– ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ „პროკრედიტ ბანკმა“, რელიგიური მოტივებით განთავისუფლების საქმესთან დაკავშირებით მიიღო უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების გადაწყვეტილება – მოპასუხე მხარემ აღნიშნული სჩივარი უზენაეს სასამართლოში 2016 წლის 8 თებერვალს წარადგინა. ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ სასამართლო იქნება რადიკალურად ობიექტური, ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლომ, მოსამართლე ბესარიონ ტაბაღუას გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, „პროკრედიტ ბანკს“ სილა გააწნა, როდესაც მიიღო თამამი და გაბედული გადაწყვეტილება და მხოლოდ მტკიცებულებების, მხარეთა შეჯიბრებითობისა და წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე არ მოერიდა დღევანდელ ვითარებაში, დღევანდელ საბანკო ურთიერთობებში და საბანკო ურთიერთობებიდან გამომდინარე გარკვეულ პოლიტიკურ კონტექსტებში, მიეღო თავისუფალი გადაწყვეტილება და შესაბამისად, დაედასტურებინა გერმანული ბანკიდან საქართველოს მოქალაქის რელიგიური მოტივებით განთავისუფლების ფაქტი. ფაქტობრივად, მოხდა პრეცედენტული საქმის სააპელაციო ეტაპზე დადასტურება, ახლა ჯერი საკასაციო სასამართლოზეა.

**— რა არჩევანი აქვს უზენაეს სასამართლოს?**

– მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე უზენაეს სასამართლოს აქვს ორი არჩევანი, ანუ აღნიშნული დავის გაცნობის შემდგომ, საკასაციო სასამართლო იღებს ორ სავარაუდო გადაწყვეტილებას. პირველი: საქმის წარმოებაში მიღებას, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმეს განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო უკვე თავისი ვერდიქტით. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ვალდებულია, პირველი, მეორე ინსტანციის გადაწყვეტილებების მიმართ ჰქონდეს საკუთარი მკვეთრი პოზიცია და შეფასება, ან იღებს უკვე მეორე გადაწყვეტილებას – საქმის დაუშვებლად ცნობის შესახებ, რაც გულისხმობს იმ გარემოებას, რომ, თუკი საკასაციო სასამართლო ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ შეფასებული ფაქტები და გარემოებები განხილულ იქნა კანონიერად და მიღებული გადაწყვეტილება არ საჭიროებს გადახედვას, ამ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ იღებს გადაწყვეტილებას საქმის წარმოებაში მიღებასთან დაკავშირებით. ფაქტობრივად, საკასაციო სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ადასტურებს, რომ არ იქნეს ცნობილი „პროკრედიტ ბანკის“ საჩივარი დასაშვებად და ძალაში ტოვებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებას, რომლითაც, თავის მხრივ, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

**— წინა ინტერვიუში მითხარით, რომ ვინაიდან „პროკრედიტ ბანკი“ გერმანული წარმომავლობისაა, თქვენმა არასამთავრობომ სწორედ გერმანიის საელჩოს მიმართა აღნიშნული საქმით დაინტერესების თხოვნით. თუ იყო გამოხმაურება?**

– გერმანიის საელჩო, მოცემულ ეტაპზე დუმს. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომელიც დაუდასტურებელია, მაგრამ ის ეყრდნობა თავად „პროკრედიტ ბანკის“ თანამშრომელთა წრიდან წამოსულ ცნობებს. კერძოდ, ქალბატონი ანას განთავისუფლების საქმეში ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი, სათავო ოფისის ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელი გიორგი ნიკოლაიშვილი ბანკის მხრიდან მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, თანამდებობიდან იქნა განთავისუფლებული. მას შესთავაზეს უფრო დაბალი პოზიცია, თუმცა ჩვენთვის უცნობია, ბატონი გიორგი დაეთანხმა თუ არა ბანკის მიერ შეთავაზებულ ახალ პოზიციას. ჩვენივე ინფორმაციით, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ ექვემდებარება გადამოწმებას და ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, აღნიშნული ინფორმაცია დადასტურებულია - საქმის ერთ-ერთი შემკრები და ქალბატონი ანას წინააღმდეგ მთელი კამპანიის ერთ-ერთი ავტორი, ქალბატონი ნინო ხომერიკი, რომელიც განთავისუფლების მომენტში ვაკის სერვისპუნქტის კოორდინატორის პოზიციაზე საქმიანობდა, ამჟამად მუშაობას აგრძელებს „საქართველოს ბანკში“ და საინტერესოა, „საქართველოს ბანკის“ მაღალი მენეჯმენტი როგორ უყურებს ქალბატონი ხომერიკის საქმიანობას აღნიშნულ ბანკში, რომლის ქმედებების შედეგად, ფაქტობრივად, საერთო სასამართლოებმა უმძიმესი გადაწყვეტილებები მიიღეს და სახეზეა რელიგიური მოტივებით განთავისუფლების ფაქტი. აგრეთვე, ჩვენს ორგანიზაციას უკავშირდება არაერთი მოქალაქე, რომლებიც აცხადებენ, რომ „პროკრედიტ ბანკში“ მიმდინარეობს მასობრივი შემცირებების პროცესი და რომ უკვე განხორციელდა თანამშრომლების კოლექტიური დათხოვნა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, შრომის კოდექსის თანახმად, ბანკს კოლექტიური დათხოვნის უფლებამოსილება გააჩნია. ჩვენ, უბრალოდ, ამ შემთხვევაში, შეგვიძლია, აქცენტი გავაკეთოთ იმაზე, რომ აღნიშნული ბანკი საქართველოში თავის პოლიტიკას ცვლის და გამორიცხული არ არის მოარული ხმების გამართლება, რომ ის ქართულ ბაზარს ტოვებს. სხვა შემთხვევაში, ახსნა არ აქვს მიმდინარე განთავისუფლების ფაქტებს. აღნიშნულთან დაკავშირებით ბანკი განმარტებას არ აკეთებს, რის გამო ხდება აუცილებელი ბანკიდან კვალიფიციური კადრების მასობრივი დათხოვნა.

**— „ალია“ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დაუკავშირდა, სადაც გვითხრეს, რომ მათ კი იციან ეს საქმე, მაგრამ მხოლოდ ოფიციალური მომართვის შემთხვევაში შეგვიძლია, ჩავერთოთ ამ ამბავშიო.**

– „ალიაში“ დაბეჭდილი მასალის შემდგომ, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მივმართოთ რელიგიის სახელმწიფო სააგენტოს და ვაპირებთ, პირველ ყოვლისა, შეხვედრის წერილი გავუგზავნოთ სააგენტოს ხელმძღვანელობას და უშუალოდ საქმის კურსში ჩავაყენოთ, თუკი აღნიშნული მოქმედება ფორმალურ ხასიათს მოითხოვს. თუმცა ჩემი პირადი სუბიექტური აზრია, რომ აღნიშნული საქმის შესწავლას რელიგიის სააგენტო თავს აარიდებს და აბსოლუტურად დაუსაბუთებელი მოტივით, უარს იტყვის აღნიშნული ქეისის მიმართ სააგენტოს პოზიციის დაფიქსირებაზე.

**ჰქონდა თუ არა ადგილი „პროკრედიტ ბანკში“ თანამშრომელთა კოლექტიურ დათხოვნას, „ალია“ კომენტარისთვის ბანკის პრესსამსახურის წარმომადგენელ ნატო ბოჭორიშვილს დაუკავშირდა:**

– ორი-სამი თანამშრომელი რომ წავიდეს, ეს კოლექტიური დათხოვნაა?

**— წავიდეს სხვა არის და დათხოვნა — სხვა.**

– თანამშრომლების კოლექტიურ გაშვებას არ გიდასტურებთ. ზოგადად, ბანკი ჩვეულებრივი კომერციული ორგანიზაციაა და ყოველთვის მიმდინარეობს კადრების როტაცია, როგორც თავად მიდიან, ნაწილის განთავისუფლებაც ხდება, ანუ ეს ბუნებრივი პროცესია და არაფერი განსაკუთრებული ამჟამად არ ხდება.

**— მეორე კითხვა მაქვს: ითქვა, რომ შესაძლოა, „პროკრედიტ ბანკმა“ საქართველოს ბაზარი დატოვოს. ამაზე რას იტყვით?**

– აღნიშნული სიმართლეს ნამდვილად არ შეესაბამება. უახლოეს მომავალში ჩვენ პრესკონფერენციასაც ვგეგმავთ და გვინდა, რომ საქართველოს ბაზარზე რამდენიმე ინოვაციური პროდუქტი დავნერგოთ.




## არმაზ ახვლედიანი: კოლეგებთან არავითარი პირადი წყენა არ მქონია!



პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი არმაზ ახვლედიანი აცხადებს, რომ კოლეგების მიმართ ის კრიტიკული განცხადებებით ყოველთვის გამოირჩეოდა, რადგან პარტიაში არიან ადამიანები, რომლებიც დემოკრატიულ რეფორმებს აფერხებენ.

– კრიტიკული აზრი მე დღეს და გუშინ არ ჩამომიყალიბდა. „ქართულ ოცნებაში“ 2013 წლის აპრილში გავწევრიანდი და გავხდი პარტიის აღმასრულებელი მდივანი, რამდენიმე თვეში – ამ პარტიის პოლიტსაბჭოს წევრი, შემდეგ კი კოალიციის პოლიტსაბჭოს წევრი. ჩემი მხრიდან კრიტიკული აზრი იყო ყოველთვის და გეტყვით, რომ საკმაოდ კრიტიკულიც. მე არასოდეს ვერიდებოდი ამ აზრის გამოხატვას კოლეგებთან პოლიტსაბჭოს სხდომებზე, მაგრამ როდესაც მივხვდი და ცხადად დავინახე, რომ ამ აზრის გათვალისწინება არ ხდება, ჩავთვალე, რომ ამ საკითხებზე გაცილებით მკაფიოდ, ხმამაღლა და საჯაროდ მესაუბრა... განსაკუთრებული სურვილი უმაღლეს პარტიულ ხელმძღვანელობაში ყოფნისა, არასოდეს მქონია, მაგრამ, რადგან ასე მოხდა, მე ვერ გავჩერდები, ვერ ვიქნები სხვებივით გულხელდაკრეფილი, ერთმანეთს რომ ტაშს უკრავენ და ხოტბას ასხამენ. სანამ თვითკრიტიკულობის განცდა არ ექნებათ პარტიულ ხელმძღვანელებს და სანამ თვითკმაყოფილების მორევში იქნება ზოგიერთი პარტიული ლიდერი, მანამ არაფერი ეშველება მმართველ პოლიტიკურ ძალას, – აცხადებს არმაზ ახვლედიანი.

(რეპორტიორი)

## კომიტეტმა კობა გვენეტაძის კანდიდატურას მხარი დაუჭირა



პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა ეროვნული ბანკის საბჭოში კობა გვენეტაძის კანდიდატურას მხარი დაუჭირა.

ფარულ კენჭისყრაში პარლამენტის 9 წევრმა მიიღო მონაწილეობა. კითხვაზე – უჭერთ თუ არა მხარს გვენეტაძის კანდიდატურის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გატანას, კენჭისყრაში მონაწილე 8 დეპუტატმა დადებითი პასუხი გასცა. შესაბამისად, წინააღმდეგი კომიტეტის მხოლოდ 1 წევრი წავიდა. (რეპორტიორი)

## სკანდალი: „ივანიშვილმა კიდევ უარესები იცის ბესელიასთან დაკავშირებითო“ — რა ინფორმაცია აქვს ივანიშვილს ბესელიაზე და რა იცის ხიდაშელმა



ალეკო ელისაშვილის მორიგი ხმაურიანი განცხადება შეწყალების კორუფციულ სკანდალზე – ელისაშვილის განცხადებით, მან პირადად მოუყვა თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელს საქმის დეტალები, იმისთვის, რათა მას ინფორმაცია ბიძინა ივანიშვილისთვის მიეწოდებინა.

ელისაშვილი ამბობს, რომ მას კარგად ახსოვს ხიდაშელის პასუხი:

– უარესები მომიყვა, დეტალები მომიყვა იმასთან დაკავშირებით, რა ინფორმაციები ჰქონდა ბიძინა ივანიშვილს ეკა ბესელიაზე. თინა ხიდაშელმა მითხრა, ბიძინა ივანიშვილმა კიდევ უარესები იცის ბესელიასთან დაკავშირებითო და რაღაცა დეტალები თქვა, არ მინდა ამ დეტალებზე საუბარი, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა გადაცემაში „დღის ამბები ინგა გრიგოლიასთან ერთად“.

ელისაშვილის თქმით, მას გული სწყდება უსუფაშვილზე და ხიდაშელზე, რადგან მათგან მეტ პრინციპულობას ელოდა. (პირველი რადიო)

## გერმანიაში 70-მდე ქართველი, მათ შორის 2 თვის ჩვილი დეპორტაციის მოლოდინშია




გერმანიაში ქალაქ ბილეფელდთან ახლოს მდებარე თავშესაფარში 70-მდე ქართველი დეპორტაციის მოლოდინშია, მათ შორის არიან ბავშვებიც, რომელთაგანაც ერთ-ერთი 2 თვის ჩვილია.

როგორც „რუსთავი 2“-თან საუბრისას ერთ-ერთი მათგანი აცხადებს, ადგილზე იმყოფებიან ადამიანები, რომლებმაც გერმანიაში დევნილის თავშესაფარი მოითხოვეს, რაზეც ქვეყანამ უარი უთხრა და ისინი სხვადასხვა დროს მიიყვანეს სპეციალურ თავშესაფარში და მოსთხოვეს, 1 კვირის განმავლობაში დაეტოვებინათ ქვეყანა.

ქართველები განმარტავენ, რომ მათ უკან წამოსასვლელი ფული არ აქვთ და ითხოვენ ვითარებაში გარკვევას, რატომ ეთქვათ უარი გერმანიაში დარჩენაზე. მათი თქმით, დევნილის სტატუსის მინიჭება ქართველებისთვის თებერვლის შემდეგ განსაკუთრებულად გამკაცრებულია. (rustavi2.com)

# რა შეზღუდვები უწესდებათ ონლაინ კაზინოებს და მოთამაშეებს?



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

დაახლოებით ორი თვის წინ, „ალია“ წერდა, რომ ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია („აფბა“) ონლაინ-კაზინოების რეგულირების მიზნით, კონცეფციაზე მუშაობდა. როგორც ირკვევა, კონცეფცია მზად არის.

**რა შეზღუდვები უწესდებათ კაზინოებს და მოთამაშეებს?**

**„ალიას“ ასოციაციის ანალიტიკოსი, ზურაბ კუკულაძე ესაუბრა:**

**— ონლაინ-თამაშების გადასახადი ცალკე უნდა დაწესდეს?**

– კი, ცალკე უნდა დაწესდეს. ფაქტობრივად, ამ კუთხით გადასახადი არ არსებობს, ონლაინ-მოთამაშეები რეალური კაზინოების შვილობილები არიან და რასაც რეალურში იხდიან, ონლაინის გადასახადიც იგულისხმება. ეს არის უსამართლობა, სისტემა უნდა გახდეს გამჭვირვალე. ჩვენ ვთავაზობთ მთავრობას, რომ შეიქმნას ერთიანი ინტერნეტ-ბაზა, სადაც მოექცევა ყველა კაზინო, ტოტალიზატორი თუ ონლაინმოთამაშე და ყველა ტრანზაქცია საგადასახადო სამსახურისთვის იქნება გამჭვირვალე.

**— ანუ როგორც სალარო-აპარატის მომაცემები ფიქსირდება, იგივე ვარიანტია?**

– დაახლოებით იგივეა, საგადასახადო სამსახურს უნდა ჰქონდეს წვდომა, რომელი კაზინო რა გადარიცხვებს აკეთებს, რა შემოსავლები ფიქსირდება და ასე შემდეგ. მეორე რეკომენდაცია გვაქვს ასეთი: გარდა ონლაინკაზინოებისა, ასევე უნდა დარეგისტრირდნენ მოთამაშეებიც. ესეც გახდება გამჭვირვალე, ოღონდ სახელმწიფოსთვის.

**— არ გიფიქრიათ, რომ ამას პროტესტი მოყვება, რომ ეს არის ადამიანის უფლებების დარღვევა... ჩვენში ძალიან ბევრი თამაშობს, მაგრამ ისინი მალავენ.**

– ჩვენ მთავრობას ვთავაზობთ ისეთ რეგულაციებს, რაც უკვე აპრობირებულია დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში. არსად ეს სფერო ასე მიშვებული არ გახლავთ, ყველგან კონტროლდება და სახელმწიფომ იცის მოთამაშეების რეალური ვინაობა.

**— მოთამაშეები სად უნდა დარეგისტრირდნენ?**

– იუსტიციის სახლში, სადაც თითოეული დარეგისტრირდება რეალური მონაცემებით. ასევე, უნდა დაუწესდეთ გადასახადი მოთამაშეებსაც, ეს უკვე იქნება ფიქსირებული თანხა.

**— აქ რეგისტრაციის თანხა უნდა გადაიხადონ თუ შემოსავლის, ანუ მოგების რამე პროცენტი?**

– არა, გადასახადი იქნება ფიქსირებული... შეიძლება ეს საკამათო თემა იყოს, მაგრამ, ჩვენი აზრით, უნდა დაწესდეს ან ერთჯერადად 1200 ლარი, ან კიდევ 100 ლარი თვეში. მოთამაშემ უნდა იყიდოს სპეციალური კოდი, ანუ უფლება სახელმწიფოსგან. ჩვენი აზრით, უნდა დაწესდეს ერთჯერადი 1200 ლარი, ისეთ ადამიანებს უნდა შეეზღუდოთ თამაში, ვისაც არ აქვს ნორმალური შემოსავალი.

**— ამასაც დისკრიმინაციაში ჩაგითვლიან და ატყდება ერთი ამბავი. შეიძლება მე არ მქონდეს წელიწადში 1200 ლარის გადახდის თავი, მაგრამ მინდოდეს პატარა თანხებზე თამაში.**

– აქვე კანონით დაწესდება სათამაშო ლიმიტი, დარეგისტრირებულ მოთამაშეს არ ექნება თვეში 100 ლარზე მეტის წაგების უფლება. ვისაც არ უნდა, რომ ფინანსთა სამინისტროში წარადგინოს დეკლარაცია, ასეთებს ეძლევათ რეალურ კაზინოში თამაშის უფლება, იქ უკვე გზა ხსნილი აქვთ. სხვათა შორის, ეს 100-ლარიანი ლიმიტი არ გავრცელდება უცხოელებზე, რომლებიც ჩამოსულები არიან და აქ თამაშობენ.

**— ამ შემთხვევაში არ გვენაღვლება, უცხოელებმა რამდენიც უნდათ, იმდენი წააგონ, ხომ?**

– ასეა ყველა ევროპულ ქვეყანაში, ასევე ამერიკაშიც.

**— თუმცა იქნება შემოტევა, რომ ადგილობრივები იჩაგრებიან და უცხოელებს გზა ხსნილი აქვთ. მოგების ლიმიტიც ხომ არ უნდა დაწესდეს?**

– არა, მოგების ლიმიტი არ დაწესდება. ვინც ამ საკითხში სკანდალის მიზეზს დაინახავს, მაშინ კარგად შეისწავლოს, რა ხდება ევროპაში.

**— თქვენს კონცეფციას წარუდგენთ საზოგადოებას, ეს გასაგებია, შემდეგ რა ხდება?**

– შემდეგ გვექნება პრეზენტაცია და სამთავრობო წრეებიდანაც მოვიწვევთ სპეციალისტებს. ასევე, ცვლილებების პაკეტს შევიტანთ პარლამენტში და დავიწყებთ 30 ათასი ხელმოწერის შეგროვებას, რათა ეს ინიციატივა დარეგისტრირდეს. რასაკვირველია, რასაც ახლა მე ვლაპარაკობ, ეს ჯერ არ არის კანონი, ეს არის მხოლოდ ჩვენი მოსაზრებები.

**— სამთავრობო წრეებთან ამის შესახებ საუბრები გქონდათ?**

– პირადი საუბრები გვქონდა, ოფიციალური შეხვედრები გვექნება პრეზენტაციის შემდეგ. მთავარი ის არის, რომ მომხრეები გვყავს.

**— ზურა, არ გიფიქრიათ, რომ ამას აღიქვამენ, როგორც ბიზნესზე ზეწოლას და ადამიანის უფლებების შელახვას.**

– რატომ არის ბიზნესზე ზეწოლა, თუკი თანხები, ანუ შემოსავლები იქნება გამჭვირვალე და სფერო, სადაც უკვე 2 მილიარდი ლარი ტრიალებს, არაფერს არ უნდა იხდიდეს? ვნახოთ, ეს გრძელი პროცესია, შეიძლება შევიდეს შესწორებებიც. ამ კონცეფციამ უნდა გაიაროს პარლამენტის ხელშიც, იქნება შეხვედრები და აზრთა შეჯერება. ჩვენ საზოგადოებასა და მთავრობას ვთავაზობთ, დანარჩენზე კი ვიკამათოთ.

**— თვითონ კაზინოების წარმომადგენლებს შეხვდით?**

– ჯერ არა, პრეზენტაციის შემდეგ ყველა დაინტერესებულ მხარეს შევხვდებით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

**„ფაქტობრივად, ამ კუთხით გადასახადი არ არსებობს, ონლაინ-მოთამაშეები რეალური კაზინოების შვილობილები არიან და რასაც რეალურში იხდიან, ონლაინის გადასახადიც იგულისხმება. ეს არის უსამართლობა, სისტემა უნდა გახდეს გამჭვირვალე. ჩვენ ვთავაზობთ მთავრობას, რომ შეიქმნას ერთიანი ინტერნეტ-ბაზა, სადაც მოექცევა ყველა კაზინო, ტოტალიზატორი თუ ონლაინმოთამაშე და ყველა ტრანზაქცია საგადასახადო სამსახურისთვის იქნება გამჭვირვალე“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „პორნოსაიტები ბავშვებისთვის უნდა აიკრძალოს, მოზარდებისთვის კი — ფასიანი გახდეს“



ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძის თქმით, პორნოსაიტები ბავშვებისთვის უნდა აიკრძალოს, მოზარდებისთვის კი ფასიანი გახდეს. მისი თქმით, უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც აღნიშნულ კანონმდებლობაზე იმუშავებს. ხუნდაძემ განაცხადა, რომ ბავშვები საკმაოდ ინტენსიურად მოიხმარენ ინტერნეტს და უნდა დავიცვათ საფრთხეებისგან.

– ისეთი ტიპის ინფორმაციები, რამაც შეიძლება გარკვეული რისკები შექმნას და ზიანი მიაყენოს განსაკუთრებით მცირეწლოვან ბავშვებს, რომლებიც ბოლო პერიოდში საკმაოდ ხშირად მოიხმარენ ინტერნეტს სხვადასხვა ინფორმაციებზე წვდომისთვის, მე ვფიქრობ, გარკვეული რეგულაციები უნდა არსებობდეს, რომ ისინი დავიცვათ ამ საფრთხეებისგან. საფრთხეებში ვგულისხმობ პორნოსაიტებზე ამ ინფორმაციის წვდომის სიადვილეს. ინფორმაციები, რომელიც შეიძლება ზიანის მომტანი გახდეს ბავშვებისთვის, რა თქმა უნდა, უნდა დაიბლოკოს, თუმცა, თუ ვინმეს ექნება სურვილი, რომ წვდომა ჰქონდეს ამ ტიპის ინფორმაციაზე, ასაკის გათვალისწინებით, მათ, რა თქმა უნდა, შეეძლებათ თუნდაც გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ, ეს ინფორმაცია მათთვის გახდეს ხელმისაწვდომი, – აცხადებს დიმიტრი ხუნდაძე. (პირველი რადიო)

## სუპერმარკეტებს საკვების გადაყრა აეკრძალათ



საფრანგეთი მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდა, სადაც კანონმდებლობით სუპერმარკეტებს საკვების გადაყრა აუკრძალეს.

5 თებერვლიდან მსხვილი მაღაზიები ვალდებულნი გახდნენ, პროდუქტები რომლებსაც ვარგისიანობის ვადა ეწურებათ, საქველმოქმედო ორგანიზაციებს გადასცენ.

სენატის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი ითვალისწინებს იმ სუპერმარკეტების დაჯარიმებას, რომლებიც საკვებს გაანადგურებენ, თუმცა რაში გამოიხატება სასჯელი, არ კონკრეტდება.

აღნიშნული კანონის მიღებამდე სავაჭრო ობიექტები არა მხოლოდ ყრიდნენ პროდუქტებს, არამედ განზრახ ხდიდნენ მას გამოუსადეგარს უსახლკარო ადამიანებისთვის.

ერთ-ერთი ფრანგი პარლამენტარის განცხადებით, საკვების მიღებას 10 მილიონი ადამიანი შეძლებს.

აქტივისტები, რომლებმაც აღნიშნული ინიციატივა გაიტანეს, აპირებენ, ეს პრაქტიკა ევროკავშირის სხვა ქვეყნებზეც გაავრცელონ.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის განცხადებით, 2015 წელს მსოფლიოში დაახლოებით 790 მილიონი ადამიანი შიმშილობდა. მოხსენებაში საუბარია, რომ მოშიმშილე ადამიანების რაოდენობა მცირდება მიუხედავად სტიქიური უბედურებებისა, შეიარაღებული კონფლიქტებისა და საერთო პოლიტიკური არასტაბილურობისა. 25 წლის წინათ ეს რიცხვი მილიარდს აჭარბებდა. (bfm.ge)

## იანვარში ექსპორტი — 22%-ით, იმპორტი კი 25%-ით შემცირდა



2016 წლის იანვარში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 528 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის იანვრის მაჩვენებელზე 24 პროცენტით ნაკლებია.

საქსტატის მონაცემებით, აქედან ექსპორტი 122 მილიონი აშშ დოლარი იყო, რაც 22 პროცენტით შემცირებული მაჩვენებელია, ხოლო იმპორტი 406 მილიონი აშშ დოლარი, რაც 25 პროცენტით შემცირებული მაჩვენებელია. უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2016 წლის იანვარში 283 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 54 პროცენტი შეადგინა. (businesscontact.ge

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## შვედეთში დამსაქმებელი თანამშრომლებს ყავის დასალევად შესვენებას აიძულებს





შვედეთში ფიკას ტრადიცია ფართოდაა გავრცელებული. ფიკას მიხედვით, სამუშაო დღის განმავლობაში, სულ მცირე ერთხელ, შვედები თანამშრომლებთან ერთად, ყავის დასალევად იკრიბებიან.

ფიკას ტრადიცია იმდენად პოპულარულია, რომ ბევრი კომპანია ყველაზე მშრომელ თანამშრომლებს აიძულებს, ყავის შესვენებისთვის დრო გამოყონ.

შვედეთში ფიკა სამუშაო დღის ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორც ჩვენთვის ელექტრონული მიმოწერა ან პრინტერის გამოყენება.

„ფიკა ჩვენი კულტურის განუყოფელი ნაწილია. შვედების უმრავლესობა ფიკაზე დღეში რამდენჯერმე დადის, არა მხოლოდ სამუშაო კვირის განმავლობაში, არამედ შაბათ-კვირასაც“, – ამბობს შვედეთის ქალაქ გოტებორგში მდებარე კაფეების ქსელის, Da Matteo-ს მფლობელი მატს იოჰანსონი.

ბევრ შვედურ კომპანიაში ფიკას შესვენება სავალდებულოა და ამ მიზნით, კომპანიები თანამშრომლებს ყავას უფასოდ ურიგებენ.

ბევრი იფიქრებს, რომ ფიკას ტრადიცია შრომის პროდუქტიულობაზე უარყოფითად მოქმედებს, მაგრამ კვლევები სხვა რამეზე მეტყველებს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით, 2014 წელს, შრომის პროდუქტიულობის მხრივ შვედეთი მე-11 ადგილზე გავიდა, მაშინ როცა იაპონიამ და კორეამ, სადაც გრძელი სამუშაო კვირაა, მე-20 და 30-ე ადგილი დაიკავეს.

შვედურ კორპორაცია „იკეაში“ მიიჩნევენ, რომ ყველაზე კრეატიული იდეები და გადაწყვეტილებები სწორედ ფიკას დროს ჩნდება.

ამ მოსაზრებას სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის ოფიციალური წარმომადგენელი ანდრეას ოსტრომი სრულად იზიარებს.

„კორპორაციული ხელმძღვანელობის შვედური სტილი ძალიან გამორჩეულია, რადგან ნაკლებად იერარქიულია. როცა მმართველობის ჰორიზონტალური სტრუქტურა გაქვთ, მნიშვნელოვანია ყველას აზრი მოისმინოთ. ფიკა კი, სწორედ ამას უწყობს ხელს, ანუ არაფორმალურ ურთიერთობას რიგით თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის“, – ამბობს ანდრეას ოსტრომი.

ალბათ, ფიკას დამსახურებაცაა, რომ ყოველწლიურად შვედები მსოფლიოს ყველაზე ბედნიერ ერთა შორის მოწინავე პოზიციებს იკავებენ. მაგალითად, შარშან ევროპულმა სტატისტიკურმა სააგენტომ გამოაქვეყნა კვლევა, რომლის თანახმადაც, ევროკავშირში ყველაზე ბედნიერ ერად თავი დანიამ, ფინეთმა და შვედეთმა დაასახელა.

**daijesti.pia.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ქალმა ორსულობისას შეიტყო, რომ ლეიკემიით იყო დაავადებული... ვერც კი წარმოიდგენთ, რამ გადაარჩინა



ბავშვის დაბადება ნებისმიერი წყვილისთვის უდიდესი დღესასწაულია. როდესაც პატრიციამ და ლუიჯიმ შეიტყვეს, რომ პირველ შვილს ელოდებოდნენ, მათ ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. წყვილი მოუთმენლად ელოდა პატარას, თუმცა, წინ უსიამოვნო სიურპრიზი ელოდათ.

მორიგი გამოკვლევისას ექიმებმა პატრიციას ლეიკემია დაუდგინეს. წყვილი სასოწარკვეთამ მოიცვა. ექიმებმა პატრიციას ორსულობის შეწყვეტა შესთავაზეს, რაზეც ქალმა კატეგორიული უარი განაცხადა. პატრიციამ მკურნალობაზე უარი თქვა და შვილის გაჩენა გადაწყვიტა.

ერთ დღესაც მან წაიკითხა, რომ ჭიპლარის სისხლი სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ გამოიყენებოდა, რომელთა შორის ლეიკემიაც იყო. პატრიციამ ექიმები სარისკო მკურნალობაზე დაითანხმა.

ორსულობის 31-ე კვირას პატრიციამ გოგონა გააჩინა. პატარა წონის მიუხედავად, ბავშვი გადარჩა, პატრიცია კი 20 დღის განმავლობაში სიკვდილს ებრძოდა. ექიმებმა მისი გადარჩენა შეძლეს. პატრიციას ძვლის ტვინი ჭიპლარის ღეროვანი უჯრედების მეშვეობით აღდგა.

„მე ჩემი ქალიშვილისთვის სიცოცხლე უნდა მიმეცა, მაგრამ სინამდვილეში ეს მან გადამარჩინა!“ – ამბობს პატრიცია.

**newposts.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ვინც გამოცდაზე იაფერისტებს... ციხე ემუქრება



სტუდენტებს რომ ერთმანეთის დახმარებისთვის ციხეში სვამდნენ, მსოფლიოს სტუდენტების ნახევარს მაინც სიკეთისთვის სასჯელის მოხდა მოუწევდა. როგორც ჩანს, ესპანეთის განათლების სამინისტრო დათვურ სამსახურს კატეგორიულად კრძალავს და შესაბამისი ალმკვეთი ზომების გატარებაც სურს.

მსგავსი სიკეთის მსხვერპლი არიან ესპანეთის ქალაქ ალმერიაში მცხოვრები მოზარდები.

როცა ახალგაზრდა გამოცდაზე მივიდა, მეგობრის პირადობა წარადგინა და ხელიც მისი სახელით მოაწერა. ჰოდა, საბუთების გაყალბებაშიც დაადანაშაულეს. დამნაშავეებს, გარდა ერთწლიანი ციხისა, ერთი წლის განმავლობაში, ყოველდღიურად 6 ევროს ღირებულების ჯარიმის გადახდა ემუქრებათ.

ერთ-ერთი ბრალდებულის ადვოკატის თქმით, სასჯელი დანაშაულთან შეუსაბამოდ მკაცრი და ბარბაროსულია.

„ისინი არავის ზიანს არ აყენებენ. მათი საქციელი უღირსიც რომ ყოფილიყო, ეს არ იქნებოდა საკმარისი მიზეზი იმისთვის, რომ ციხეში გაეგზავნათ“, – აღშფოთებას გამოთქვამს ადვოკატი.

**lenta.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ოპტიკური ლინზების შესახებ ტროაშიც იცოდნენ



ტროასა და კრეტაზე ჩატარებული გათხრების დროს, ოპტიკური ლინზები აღმოაჩინეს.

ისინი მთის ბროლისგან არის დამზადებული და თეორიულად შეიძლებოდა, მხედველობის კორექციისთვის გამოეყენებინათ. გადმოცემით, რომაელი იმპერატორის, ნერონის ოპტიკური ლინზები ზურმუხტისგან იყო დამზადებული – ის თავის სუსტ მხედველობას ამ ლინზებით არეგულირებდა.

თანამედროვე ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ სათვალე, სულ მცირე, 600 წლისაა. უკვე მე-13 საუკუნის ბოლოთი დათარიღებულ სამედიცინო ტრაქტატებშია მინის ლინზები მხედველობის კორექციისთვის მოხსენიებული.

**postalioni.com**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ბორდელების „სექსმუშაკების გამტესტავის“ ვაკანსია გამოცხადდა



„სექსმუშაკების გამტესტავის“ შესახებ ვაკანსია გერმანულმა სოციალურმა ქსელმა გამოაცხადა. ქსელი აქცენტის აღებას სექსინდუსტრიასა და ამ სფეროს განვითარებაზე გეგმავს.

მომავალი თანამშრომლის მოვალეობა იქნება, ბორდელებში მიღებული მომსახურების ხარისხი შეამოწმოს და შეაფასოს. ვაკანსიაზე შესაძლებელია როგორც ქალების, ისე მამაკაცების მიღება. აუცილებელი მოთხოვნებია, კანდიდატს კარგი ჯანმრთელობა, რესპექტაბელური და სასიამოვნო გარეგნობა და მენეჯმენტის ან სასტუმროს ადმინისტრირების კუთხით უმაღლესი განათლება ჰქონდეს.

დამსაქმებლების თქმით, სასურველია, კანდიდატი ფრანგულ ენას ფლობდეს. გარდა ამისა, მათ ბორდელებით სარგებლობის რამდენიმეწლიანი პრაქტიკული გამოცდილება უნდა ჰქონდეთ. გარდა მომსახურების პროცესისა, „გამტესტავმა“ სექსუალური მუშაკების პირადი ჰიგიენაც უნდა შეამოწმოს. შეკრებილი მასალების მიხედვით კი „მაღალხარისხიანი ბორდელების სისტემა“ შეიქმნება.

დღესდღეობით გერმანიაში ბორდელების მომსახურება ლეგალურია. ამ დაწესებულებების და მასში მომუშავე ადამიანების პროფკავშირებიც არსებობს, თუმცა ხარისხის შეფასების სისტემა დღემდე არ არსებობს. კანდიდატების განაცხადებს 31 მარტამდე განიხილავენ, თუმცა კონკურსში გამარჯვებულის ხელფასის შესახებ ინფორმაცია არ საჯაროვდება.

**plus.kvira.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ჩინელმა პენსიონერმა ცათამბჯენზე გამოსახული წარწერით მეუღლეს ვალენტინობა მიულოცა



„სიბერემ თქვა, რა დროს სიყვარულია, სიყვარულმა, რა დროს სიბერეაო“. როგორც ჩანს, ჩინეთის ერთ-ერთი პროვინციის 84 და 83 წლის პენსიონერები სწორედ ამ პრინციპით ცხოვრობენ. ქმარმა ვალენტინობის დღის აღსანიშნავად მრავალსართულიანი სასტუმრო დაიქირავა, რათა შენობის ზოგიერთი ფანჯრის განათებით ინგლისურად „მე შენ მიყვარხარ“ დაეწერა. იდეის განხორციელებაში სასტუმროს თანამშრომლებიც დაეხმარნენ და წყვილს ნომერი ვარდის ფურცლებითა და გედის ფიგურებით მოურთეს.

84 წლის ციაო დევე შავ საქორწილო პიჯაკსა და შარვალში იყო გამოწყობილი, მისი მეუღლე კი – თეთრ საქორწილო კაბაში. წყვილმა გარდა ვალენტინობის დღისა, ბედნიერი, 67-წლიანი თანაცხოვრებაც აღნიშნა.

**lenta.ru**

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. რეჟისორი სერგო ...
2. ძვ. ქართ. სამედიც. ენციკლოპედია
3. რუსი გოლიათი ილია ...
4. იტალიის კუნძული
5. ბურღულეული
6. ისტორიული ქალაქი ინდოეთში
7. მსახიობი ... ასტერი
8. მეჩეთის კოშკი
9. ლერწმისგან გამოთლილი საკრავი
10. მსახიობი დემი ...
11. სასიმინდე
12. საკვები ცხიმი
13. აივენჰოს სატრფო
14. მსახიობი ... ფარულავა
15. ტბა უნგრეთში
16. კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობა
17. მსახიობი ... კერტისი
18. მაღალი, გამხდარი ადამიანი
19. მსახიობი ... არდანი
20. სწრაფი ტემპი მუსიკაში
21. „რა? სად? ...?“
22. ჯუჯა კამეჩი
23. გულიანი კანფეტი
24. მეფე არტურის პირველი რაინდი
25. შტატი აშშ-ში
26. გასასვლელი მდინარეზე
27. რძის პროდუქტი
28. საიუველირო ქვა: ზღვის პოლიპი
29. ეგზოტიკური ყვავილი
30. 90გრადუსიანი კუთხე
31. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
32. ჭრილობა
33. გველის ხმიანობა
34. ძვ. ფრანგ. ვერცხლის მონეტა
35. მხ/ფ „ზოლიანი ...“
36. პატარა ტანის მტაცებელი ცხოველი
37. სოფელი რაჭაში
38. ქალაქი დას. საქართ.
39. ვისი თავლა გაწმინდა ჰერაკლემ
40. უმაღლესი სასწავლო დაწესებულება
41. მსახიობი ... პეკი
42. ძვლების სურათი შავ ფირზე
43. რომაელი იმპერატორი
44. ფრინველი ეგვიპტურ მითებში
45. მენავე ბერძნულ მითებში
46. „სწავლობს გიგლა ...“
47. წერილობითი დახასიათება
48. ეგვიპტის დედაქალაქი
49. პირველი სამნიშნა რიცხვი
50. ოდესური ანეკდოტების გმირი
51. მხატვარი ... გრეკო
52. მწვერვალი კავკასიონზე
53. „ქეთო და კოტე“ ვაჭარი
54. წყლის ჭავლის სიძლიერე
55. ძვ. თბილისური მიმართვა
56. საკათედრო ტაძარი თბილისში
57. სოფელი კასპის რაიონში
58. შვიდი დღე
59. მსახიობი ... ასათიანი
60. ... ანანიაშვილი
61. ყაბარდო ბალყარეთის დედაქალ.
62. პიპინიას შვილიშვილი
63. მსახიობი ანუკ ...
64. გამარტივებული ინგლისური ენა
65. ცხენების ჭენება
66. არქიტექტურული სტილი
67. მსახიობი ჟანა ...
68. საქალაქო ელექტროტრანსპორტი
69. გაერთიანება, კავშირი
70. მსახიობი ... კლოუზი
71. გერმანული ფულის ერთეული
72. ზღაპრული ფრინველი
73. სანაგვე ყუთი
74. ხის დიდი ჯამი
75. დიკენსი. „ოლივერ ...“
76. იჩქარე ...
77. ძველი ეგვიპტის დედოფალი
78. იტალიური მაკარონი
79. ტყაბლაძე ფილმში „საბურდარელი ჭაბუკი“
80. ... კროუფორდი
81. ქალაქი პაკისტანში
82. თამაში: ...-პონგი
83. თირკმლების დაავადება
84. ჯეიმს კამერონის ფილმი
85. კონსტანტინე არსაკიძის თიკუნი
86. ჩვილი ბავშვი
87. რას უჩნდება კარიესი
88. შხამიანი გველი უდაბნოში
89. მომღერალი მარია ...
90. მსახიობი ... პელტროუ
91. მოკრივე კასიუს ...
92. ყაიმი
93. თვალის გუგა
94. მომღერალი ... ძიძიგური
95. მწუხარე სახის ...
96. კბილის ზედა ნაწილი
97. მსახიობი მიკი ...
98. მწერალი ... ჰიუგო
99. გერმანული ავტომობილი
100. მიმართვა ქალისადმი ნორვეგიაში
101. კომიქსის გმირები: ... და ობელიქსი
102. მომღერალი ... ღურწკაია
103. ... ჩიბურდანიძე
104. ძვირფასი ქვების წონის ერთეული
105. აზროვნების ერთეული
106. სახელმწიფო აფრიკაში
107. ძვ. ინგლისური სიგრძის ერთეული
108. ბიბლიური ბრძენი მეფე
109. ზღვაში შეჭრილი ნავსაყუდელი
110. ავტობუსის „წინაპარი“
111. პატარა პირბადე
112. საზეიმო კონცერტის ბოლო ნაწილი
113. მწერალი ბრემ ...
114. მსახიობი ... სმიტი
115. მეჩეთი ...-სოფია
116. ფეთქებადი ნივთიერება
117. სამგზავრო ავტობუსის მარკა
118. ქალაქი ბელგიაში
119. მუხლის მოყრა ლოცვისას
120. მხ/ფ „ანდრომედას ...“
121. მხ/ფ „... 5 დღე“
122. „ნირვანას“ სოლისტი კურტ ...
123. კომპოზიტორი ენიო ...
124. კედლის შანდალი
125. სანელებელი
126. საბჭოთა კოსმოს. ხომალდი
127. გამხმარი ხილი
128. ბუდისტი მასწავლებელი
129. მწერალი უოლტერ ...
130. ... ფონ ბისმარკი
131. ორლეანელი ქალწული ... დარკი
132. გამის ნოტი
133. პერსონა ... გრატა
134. „მე, ..., ილიკო და ილარიონი“
135. ოთხიანი ნარდში
136. ჰეირდალის ტივი „...-ტიკი“
137. სამიანი ნარდში
138. გულსაკიდი
139. „... ვხედავ მზეს“
140. ხის მიწისქვეშა ნაწილი
141. ... ურჩევნია მამულსა
142. გამადიდებელი შუშა
143. ყურძნის ჯიში
144. მსახიობი ... ბელუჩი
145. ნიშნავს ჩირქოვანს
146. მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
147. ტყის სული წვეტიანი ყურებით
148. ყველაზე მტკიცე მინერალი
149. მსახიობი ჯულია ...
150. „ხევის ბერი გოჩა“ ნუგზარ შარია
151. ანტილოპას სახეობა
152. იაპონური თეატრი

პასუხები: 1. ფარაჯანოვი; 2. კარაბადინი; 3. მურომეცი; 4. სიცილია; 5. მაკარონი; 6. აგრა; 7. ფრედ; 8. მინარეთი; 9. სალამური; 10. მური; 11. ნალია; 12. მარგარინი; 13. როენა; 14. ია; 15. ბალატონი; 16. „ლილ“; 17. ტონი; 18. კაფანდარა; 19. ფანი; 20. პრესტო; 21. როდის; 22. ანოა; 23. კარამელი; 24. ლანსელოტი; 25. ვისკონსინი; 26. ფონი; 27. დო; 28. მარჯანი; 29. ორქიდეა; 30. მართი; 31. ბოლივია; 32. იარა; 33. სისინი; 34. ლივრი; 35. რეისი; 36. ენოტი; 37. ირი; 38. ვანი; 39. ავგია; 40. უნივერსიტეტი; 41. გრეგორი; 42. რენტგენოგრამა; 43. კალიგულა; 44. იბისი; 45. ქარონი; 46. ტიტინა; 47. რეკომენდაცია; 48. კაირო; 49. ასი; 50. რაბინოვიჩი; 51. ელ; 52. იალბუზი; 53. მაკარი; 54. დებიტი; 55. ტო; 56. სიონი; 57. გრაკალი; 58. კვირა; 59. ლიანა; 60. ნინო; 61. ნალჩიკი; 62. აკიმი; 63. ემე; 64. პიჯინი; 65. ჯირითი; 66. როკოკო; 67. მორო; 68. ტროლეიბუსი; 69. ლიგა; 70. გლენ; 71. მარკა; 72. ფასკუნჯი; 73. ურნა; 74. გობი; 75. ტვისტი; 76. ნელა; 77. ნეფერტიტი; 78. სპაგეტი; 79. საჩინო; 80. სინდი; 81. ყარაჩი; 82. პინგ; 83. ნეფრიტი; 84. „ავატარი“; 85. უტა; 86. ალუა; 87. კბილი; 88. ეფა; 89. კალასი; 90. გვინეტ; 91. კლეი; 92. ფრე; 93. ბაია; 94. მედეა; 95. რაინდი; 96. გვირგვინი; 97. რურკი; 98. ვიქტორ; 99. „ოპელი“; 100. ფრუ; 101. ასტერიქსი; 102. დიანა; 103. მაია; 104. კარატი; 105. ტვინი; 106. სუდანი; 107. იარდი; 108. სოლომონი; 109. პირსი; 110. ომნიბუსი; 111. ვუალი; 112. აპოთეოზი; 113. სტოკერი; 114. უილ; 115. აია; 116. ტროტილი; 117. იკარუსი; 118. ლიეჟი; 119. მეტანია; 120. ნისლეული; 121. აგვისტოს; 122. კობეინი; 123. მორიკონე; 124. ბრა; 125. ილი; 126. „ვოსტოკი“; 127. ჩირი; 128. გურუ; 129. სკოტი; 130. ოტო; 131. ჟანა; 132. ლა; 133. ნონ; 134. ბებია; 135. ჩარი; 136. კონ; 137. სე; 138. კულონი; 139. მე; 140. ფესვი; 141. ის; 142. ლუპა; 143. პინო; 144. მონიკა; 145. პიო; 146. სან; 147. ელფი; 148. ალმასი; 149. ორმონდი; 150. ონისე; 151. გნუ; 152. ნო. იკითხება: ჯულია რობერტსი.

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

„საქართველოს საკაბელო ტელევიზიების კავშირი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ კავშირის თავმჯდომარეს გურამ ბერუაშვილს გარდაეცვალა მამა

**ნიკოლოზ ბერუაშვილი**

კავშირის კოლექტივი უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

**პანაშვიდი:** ოთხშაბათს, 17 თებერვალს;
**დაკრძალვა:** ხუთშაბათს, 18 თებერვალს, 14 საათზე.
**მისამართი:** სოფ. მარტყოფი.

გაზეთი „ალია“ იზიარებს თქვენს მწუხარებას

## ამერიკელები მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ პუდინგს ამზადებენ



ალბათ, ჭეშმარიტი გურმანები, რომლებსაც, რაღა თქმა უნდა, ჯიბეც აძლევთ ამის საშუალებას, ნიუ-იორკის ერთ-ერთ რესტორანში, სახელწოდებით „ინტუიცია“, მომზადებული პუდინგის დაგემოვნებაზე უარს არასოდეს ამბობენ, აი, რაც შეეხებათ „ჩვეულებრივ მოკვდავებს“, სამწუხაროდ, მათ ამერიკელების ამ ნაწარმის მხოლოდ ფასის გაგება თუ აქვთ პერსპექტივაში – პუდინგი, რომელსაც აღნიშნულ რესტორანში ამზადებენ, 26 ათასი აშშ დოლარი ღირს!

აღსანიშნავია, რომ ნიუ-იორკის რესტორნის პუდინგი გინესის რეკორდების წიგნშიც კია შეყვანილი და პრინციპში, სრულებით სამართლიანადაც, რადგან ფასის მხრივ მას კონკურენტი არ გააჩნია.

ამერიკელების პუდინგი 26 ათასი დოლარი, თურმე, იმიტომ ღირს, რომ იგი 28 სახეობის ეგზოტიკური კაკაოსგან მზადდება და ზედ 23-კარატიანი ჭამისთვის ვარგისი ოქრო ეფრქვევა.

გარდა იმისა, რომ რესტორნის სტუმრებს ასეთი ძვირად ღირებული დესერტის დაგემოვნება შეუძლიათ, მათ იმ ჭურჭლის წაღების უფლებაც აქვთ, რომელშიც პუდინგი იყო მოთავსებული და ასევე, მათ საკუთრებაში გადადის ბრილიანტებით გაფორმებული ოქროს კოვზიც.

*myjane.ru*

## ბავშვობაში ძილის გატეხას ასაკში ალკოჰოლიკობა და ნარკომანობა მოჰყვება?!



მეცნიერებმა დაასახელეს კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რატომ უნდა მიაქციონ მშობლებმა განსაკუთრებული ყურადღება ჩვილებისა და მოზარდების ძილის ხარისხს.

საქმე ისაა, რომ ბავშვები, რომლებსაც ძილი არ უვარგათ, ექცევიან რისკის ისეთ არასასიამოვნო ჯგუფში, რომლის ბოლოც ალკოჰოლიკობა ან ნარკომანობაა.



ამ თემაზე კვლევა აიდაჰოს შტატის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს, რომლებიც 386 თინეიჯერზე დაკვირვებას რამდენიმე წლის განმავლობაში ახორციელებდნენ.

კვლევის ბოლოს, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მოზარდები, რომლებიც ბავშვობის ასაკში ძილთან დაკავშირებულ პრობლემებს განიცდიდნენ, თინეიჯერობისას კიდევ უფრო რთულ სიტუაციაში ვარდებოდნენ: იწყებდნენ ალკოჰოლის დიდი რაოდენობით სმას, სიგარეტის მოწევას და რაც ყველაზე მეტად შემზარავია, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებას. გარდა ამისა, ასეთ მოზარდებს მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემებიც უფრო ხშირად ექმნებათ, ვიდრე დანარჩენებს.

სპეციალისტების განმარტებით, ყველაზე ხშირად, შფოთვები ძილის დროს 3-დან 5 წლამდე ასაკის პატარებს უჩნდებათ და თუ ამ უსიამოვნების გამოსწორებაზე მშობლები თავის დროზევე არ იფიქრებენ, შედეგი უკიდურესად ნეგატიური იქნება. ამასთანავე, რისკის ჯგუფში შედიან არა მხოლოდ ვაჟები, არამედ გოგონებიც.

– ბავშვებს მინიმუმ 10 საათი მაინც უნდა ეძინოთ. ეს კანონია და ყველაზე მთავარია, რომ ძილი მშვიდი იყოს, – განმარტავენ ამერიკელი სპეციალისტები.

*mamindom.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**17 თებერვალი:** რაც არ უნდა მოხდეს, განწყობას ვერაფერი გაგიფუჭებთ. პირადი ცხოვრებისთვის საუკეთესო დღეა, სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია.

**კურო 22.04-21.05**
**17 თებერვალი:** თუ რამეში ეჭვს შეიტანთ, არ გაჩუმდეთ, ხმამაღლა თქვით. დღეს გამოჩენილი წინდახედულება ახლო მომავალში უსიამოვნებას აგაცილებთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**17 თებერვალი:** ხანგრძლივ დასვენებას იმსახურებთ. ყველაფერი ილონეთ, რომ დიდი ხნით თუ არა, რამდენიმე დღე მაინც დაისვენოთ და ენერგია აღიდგინოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**17 თებერვალი:** მორალის სადარაჯოზე იდგებით. შეეცადეთ, ძალიან არ გადაამლაშოთ და ჭკუის სწავლება არავის დაუწყოთ, უნებლიეთ აწყენინებთ.

**ლომი 23.07-22.08**
**17 თებერვალი:** თქვენი ყურადღების მიპყრობას ბევრი შეეცდება, ოჯახის წევრებიდან დაწყებული, შემთხვევითი ნაცნობებით დამთავრებული. წინდახედულად მოიქეცით.

**ქალწული 23.08-22.09**
**17 თებერვალი:** უამრავი რესურსი გაგიჩნდებათ. შეეცადეთ, დაუფიქრებლად არაფერი მოიმოქმედოთ და საკმაოდ ნაყოფიერი დღე იქნება.

**სასწორი 23.09-22.10**
**17 თებერვალი:** მოულოდნელად რაღაც იდეა გაგიჩნდებათ. სანამ ყველაფერს კარგად არ აწონ-დაწონით, მოქმედება არ დაიწყოთ, შეცდომის უფლება არ გაქვთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**17 თებერვალი:** შეეცადეთ, თავს სძლიოთ და ახლობელს უნებლიე შეცდომა აპატიოთ. ამას სათანადოდ დაგიფასებენ. ფული არავის ასესხოთ, დღეს თავად დაგჭირდებათ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**17 თებერვალი:** თქვენი მოქმედებების მანერა ყველას არ მოსწონს. თუ ასევე აპირებთ გაგრძელებას, არაერთი კრიტიკოსი გამოგიჩნდებათ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**17 თებერვალი:** ეს დღე თქვენი არ არის. რაც უფრო ნაკლებად გამოჩნდებით და ცოტას ილაპარაკებთ, მით უფრო მშვიდად ჩაივლის ყველაფერი.

**მერწყული 20.01-18.02**
**17 თებერვალი:** წარმატებული და სასიამოვნო იქნება ლომის, ტყუპების და მერწყულის ნიშნებთან ურთიერთობა. სხვებთან ურთიერთობას მოერიდეთ, აქედან კარგი არაფერი გამოვა.

**თევზები 19.02-20.03**
**17 თებერვალი:** თქვენს სიმართლეში ვინმეს დარწმუნება გაგიჭირდებათ. ნურც შეეცდებით. ისე მოიქეცით, როგორც საჭიროდ ჩათვლით. თქვენს სიმართლეში მოგვიანებით დარწმუნდებიან.

**გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი (15 საათიდან)

## განცხადება

შევისყიდი ძველებურ ნივთებს: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის, მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქაღალდის ფულს 1898 წლამდე, რუსულ წიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრადისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.

**555 125 770; 596 777 773**

## მოლდაველ ჩინოვნიკებს თანამდებობაზე დანიშვნამდე ფსიქიატრის დასკვნის აღება მოუწევთ

როგორ გაუმართლათ მოლდოვის მოქალაქეებს და რა სამწუხაროა, რომ მსგავსი აზრი ჩვენთან არავის მოსდის თავში, თორემ, ხომ თქვენც კარგად იქნებოდით, ჩვენც და ტრიფონიაც აღარ ირბენდა მელიტოპოლში ზურგზე მოგდებული კარტოფილის ტომრით, არა?!

როგორც ირკვევა, მოლდავეთის მთავრობამ მიიღო შესწორება კანონში სახელმწიფო მოხელის მოვალეობებისა და სტატუსის შესახებ და ფსიქიატრიული დასკვნის წარდგენა ყველასთვის სავალდებულო გახადა.

ჰოდა, თუკი მომავალი თანამდებობების პირები ექიმების მოსყიდვას ვერ შეძლებენ, აღნიშნული ცვლილება მოლდოვის რიგით მოქალაქეებს მართლაც დიდ შვებას მოუტანს: შემოწმდებიან როგორც პარლამენტში ან სხვა სახელმწიფო უწყებაში მოხვედრის მსურველები, ისე პრეზიდენტობის კანდიდატები და თუკი სპეციალისტი მის მდგომარეობას არ მოიწონებს, პოლიტიკურ კარიერას წერტილი დაესმება, რაც, დაგვეთანხმებით, ძალიან მნიშვნელოვანია!..

*lenta.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



დირექტორმა მდივან გოგოს დავალება მისცა:

– თინიკო, მიდი ერთი თანამშრომლები შემიკრიბე და 5 წუთში ჩემთან თათბირზე შემოვიდნენ.

– ავთანდილოვიჩ, 5 წუთში ყველას როგორ მოვძებნი, დრო ხო მჭირდება?

– რად უნდა, გოგო, მაგას დრო? შედი „ფეისბუკზე“ და ყველანი იქ იქნებიან შევარდნილები. ჰოდა, 5 წუთში ჩემთან კაბინეტში ყველა.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

გაზეთი „ალია“

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.20